სტრასბურგი, 2015 წლის 22 ივნისი CEPEJ-SATURN(2015)2

მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისია (CEPEJ)

SATURN-ის სახელმძღვანელო მითითებები

სასამართლოს დროის მართვაზე

კომენტარები და დანერგვის მაგალითები

მარკო ფაბრი და ნადია კარბონი

(IRSIG-CNR) 2

სარჩევი

შესავალი 4

ნაწილი 1 5

SATURN-ის 15 საწყისი პრიორიტეტული სახელმძღვანელო მითითება 5

კომენტარები და დანერგვის მაგალითები 15 საწყის პრიორიტეტულ სახელმძღვანელო მითითებასთან დაკავშირებით 8

სახელმძღვანელო მითითება 1 8

სახელმძღვანელო მითითება 2 16

სახელმძღვანელო მითითება 3 19

სახელმძღვანელო მითითება 4 23

სახელმძღვანელო მითითება 5 27

სახელმძღვანელო მითითება 6 34

სახელმძღვანელო მითითება 7 38

სახელმძღვანელო მითითება 8 41

სახელმძღვანელო მითითება 9 44

სახელმძღვანელო მითითება 10 46

სახელმძღვანელო მითითება 11 47

სახელმძღვანელო მითითება 12 49

სახელმძღვანელო მითითება 13 50

სახელმძღვანელო მითითება 14 52

სახელმძღვანელო მითითება 15 55

ნაწილი 2 58

SATURN-ის სახელმძღვანელო მითითებების კომენტარები და დანერგვის მაგალითები 58

I. ზოგადი პრინციპები და სახელმძღვანელო მითითებები 58

II. სახელმძღვანელო მითითება კანონმდებლებისა და პოლიტიკის შემმუშავებელი პირებისათვის 74

III. სახელმძღვანელო მითითებები მართლმსაჯულების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი ხელისუფლებისათვის 83

IV. სახელმძღვანელო მითითებები სასამართლოს მენეჯერებისთვის 88

V. სახელმძღვანელო მითითებები მოსამართლეებისთვის 89

ქვეყნების სია 100

SATURN-ის სახელმძღვანელო მითითებები სასამართლოს დროის მართვაზე

კომენტარები და დანერგვის მაგალითები

შესავალი

სამართალწარმოების გადაჭარბებული ხანგრძლივობა მნიშვნელოვანი პრობლემაა ევროპის ბევრ სახელმწიფოში. სასამართლოებმა საქმეები უნდა განიხილონ *„გონივრულ ვადაში“,* როგორც აღნიშნულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლში.

CEPEJ-ის Saturn-ის ცენტრის მისიის ნაწილია ინსტრუმენტების შემუშავება და წევრი სახელმწიფოების დახმარება იმ ღონისძიებების დანერგვაში, რომლებიც მიმართულია „გონივრული ვადის“ დარღვევათა პრევენციაზე. ამ ინსტრუმენტთა შორისაა: “Saturn-ის სახელმძღვანელო მითითებები სასამართლოს დროის მართვაზე” (Cepej 2008-8 Rev) - იგი ჩამოთვლის ქმედებათა 63 ვარიანტს, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს სამართალწარმოების გადაჭარბებულ ხანგრძლივობასთან საბრძოლველად; და სახელმძღვანელო “სასამართლოებში Saturn-ის დროის მართვის ინსტრუმენტების დანერგვაზე” (Cepej-Saturn 2001-9) - ის ფოკუსირდება ნაბიჯებზე, რომლებიც უნდა გადაიდგას 63-იდან 15 (როგორც საწყისი ეტაპისათვის პრიორიტეტული) სახელმძღვანელო მითითების დასანერგად.

ეს 15 სახელმძღვანელო მითითება შეირჩა იმის გამო, რომ ითვალისწინებენ საკითხებს, რომელთა წარმატებით დანერგვაც თავად შეუძლიათ სასამართლოებს სხვადასხვა იურისდიქციაში.

წინამდებარე ნაშრომიც ამ 15 სახელმძღვანელო მითითების დანერგვისკენ გადადგმული ნაბიჯია. სასურველია, ის იყოს *ცოცხალი დოკუმენტი* და აერთიანებდეს კომენტარებსა და ეფექტიან მაგალითებს იმ სასამართლოებიდან, რომლებმაც *რეალური ქმედებები* განახორციელეს მათ დასანერგად.

ამრიგად, სასამართლოებს მოვუწოდებთ, გამოიყენონ ეს სახელმძღვანელო მითითებები, აცნობონ CEPEJ-ის Saturn-ის ცენტრს თავიანთი შედეგები და გამუდმებით გააახლონ ეს დოკუმენტი მაგალითებითა და კომენტარებით.

დოკუმენტი დაყოფილია ორ ნაწილად.

პირველი შეეხება იმ 15 სახელმძღვანელო მითითებას, რომლებიც მიჩნეულია “Saturn-ის პრიორიტეტებად”. თითოეული მათგანისთვის შეგროვებულია კომენტარები და მაგალითები CEPEJ-ისთვის არსებული ინფორმაციიდან. კერძოდ, ისინი მეტწილად მომდინარეობს შემდეგი დოკუმენტებიდან: ა) ბოლო (2011 წ.) “ანგარიშები სასამართლოს

დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე"; ბ) "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", რომელიც შემუშავდა 2006 წელს; გ) "დროის მართვა მართლმსაჯულების სისტემებში: ჩრდილოეთ ევროპის კვლევა" (2007); დ) "იუსტიციის საბჭოების ევროპული ქსელის 2010-2011 წლების ანგარიში დროულობის თაობაზე". ასევე გათვალისწინებულია "CEPEJ-ის 2010 წლის ანგარიში ევროპული სასამართლო სისტემების შესახებ".

ნაშრომის მეორე ნაწილი შეეხება მთლიანად "Saturn-ის სახელმძღვანელო მითითებებს სასამართლოს დროის მართვაზე", მაგალითებითა და კომენტარებით დარჩენილი 48 სახელმძღვანელო მითითების შესახებ, რომლებიც ამოღებულია იმავე წყაროებიდან და საჭიროებს განახლებას წევრი სახელმწიფოებიდან მომდინარე ახალი ინფორმაციით.

გთხოვთ, გაუგზავნეთ CEPEJ-ის Saturn-ის ცენტრს თქვენი კომენტარები და მაგალითები კარგი პრაქტიკის გასამდიდრებლად და გასაზიარებლად, რომელიც ევროპაში გამოიყენება სამართალწარმოების გადაჭარბებულ ხანგრძლივობასთან გასამკლავებლად.

ნაწილი 1

Saturn-ის 15 საწყისი პრიორიტეტული სახელმძღვანელო მითითება

ინფორმაციის დაგეგმვა და მოგროვება

სახელმძღვანელო მითითება 1

სამართალწარმოების ხანგრძლივობა უნდა დაიგეგმოს როგორც ზოგად (კონკრეტული ტიპის საქმეების ან ცალკეული ტიპის სასამართლოებში პროცესის საშუალო ხანგრძლივობა), ისე კონკრეტული სამართალწარმოების დონეზე.

სახელმძღვანელო მითითება 2

მომხმარებლებს აქვთ უფლება, მათთან გაიარონ კონსულტაცია სამართალწარმოების დროის მართვისას და ყველა სამომავლო პროცედურული საფეხურის თარიღისა ან დროის განსაზღვრისას.

ინტერვენცია

სახელმძღვანელო მითითება 3

თუ გამოვლინდება ან მოსალოდნელია სასამართლო ვადების სტანდარტებიდან და მიზნებიდან გადახვევა, დაუყოვნებლივ უნდა მიიღონ ზომები მისი გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად.

სახელმძღვანელო მითითება 4

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემთხვევებს, როდესაც მთლიანი ხანგრძლივობის გამო შეიძლება დადგინდეს საქმის „გონივრულ ვადაში“ განხილვის უფლების დარღვევა.

სახელმძღვანელო მითითება 5

მონიტორინგმა უნდა უზრუნველყოს, რომ სამართალწარმოების პასიური პერიოდები (ლოდინის დრო) არ იყოს გადაჭარბებულად ხანგრძლივი და, ასეთის არსებობის შემთხვევაში, კონკრეტული მცდელობები განხორციელდეს სამართალწარმოების დასაჩქარებლად და დაყოვნების კომპენსაციისათვის.

ინფორმაციის შეგროვება

სახელმძღვანელო მითითება 6

სასამართლოს მენეჯერებმა უნდა შეაგროვონ ინფორმაცია სამართალწარმოების ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპების შესახებ და აღრიცხონ ხანგრძლივობა მათ შორის. ეტაპების მონიტორინგის მხრივ, სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს დროის მართვის საკონტროლო სიას, კერძოდ, მეოთხე ინდიკატორს.

მართალია, ინდიკატორები შემუშავებულია მეტწილად სამოქალაქოსამართლებრივი დავebის განმხილველი სასამართლოებისთვის, მაგრამ ისინი გამოიყენება სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველ სასამართლოებშიც. მიუხედავად ამისა, მათი უმეტესობა ნაკლებად რელევანტურია პროკურორთა მიერ წინასასამართლო სამუშაოს შესრულების თვალსაზრისით.

წინასასამართლო სამუშაოს ზოგიერთი შესაძლო ეტაპი, რომლებიც შეიძლება აღირიცხოს, ასეთია:

- გამოძიების დაწყება;

- ინფორმაცია ბრალდებულისა და დაზარალებულის შესახებ;

- მხარის შესაგებლის მიღება;

- ექსპერტიზის მტკიცებულებების შეგროვება;

- მოწმეთა ჩვენებების შეგროვება;

- საბოლოო გადაწყვეტილება მსჯავრდების თაობაზე;

- გადაწყვეტილების მიწოდება მხარეებისთვის (ბრალდებული და დაზარალებული).

საჭიროა ეტაპების სიის შედარება მე-4 სახელმძღვანელო მითითებაში ჩამოთვლილ ეტაპებთან და მისი შესაბამისად შევსება.

სახელმძღვანელო მითითება 7

შეგროვებული ინფორმაცია უნდა იყოს ხელმისაწვდომი, რათა მას ეფუძნებოდეს სასამართლოს ადმინისტრატორების, მოსამართლეებისა და მართლმსაჯულების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი ცენტრალური ხელისუფლების მუშაობა. სათანადო ფორმით ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს მხარეებისა და ფართო საზოგადოებისათვის.

განგრძობადი ანალიზი

სახელმძღვანელო მითითება 8

ყველა შეგროვებული ინფორმაცია გამუდმებით უნდა გაანალიზდეს და გამოიყენებოდეს მუშაობის მონიტორინგისა და გაუმჯობესებისათვის.

სახელმძღვანელო მითითება 9

ანგარიშები ანალიზის შედეგებზე უნდა მომზადდეს რეგულარული ინტერვალებით, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ და ერთვოდეს სათანადო რეკომენდაციები.

განსაზღვრული მიზნები

სახელმძღვანელო მითითება 10

ზედა (ეროვნულ, რეგიონულ) დონეზე დადგენილი სტანდარტებისა და მიზნების გარდა, უნდა არსებობდეს ცალკეული სასამართლოების დონეზე განსაზღვრული მიზნები. სასამართლოს მენეჯერებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი უფლებამოსილება და ავტონომია, რომ აქტიურად განსაზღვრონ ეს მიზნები, ან მიიღონ მონაწილეობა ამ პროცესში.

სახელმძღვანელო მითითება 11

მიზნები ნათლად უნდა განსაზღვრავდეს შესასრულებელ ამოცანებს და იყოს მიღწევადი. ისინი უნდა გამოქვეყნდეს და პერიოდულად გადაფასდეს.

სახელმძღვანელო მითითება 12

შესაძლოა, სასამართლოს მუშაობა შეფასდეს მიზნებთან მიმართებით. თუ ისინი არ არის მიღწეული, მდგომარეობის გამოსასწორებლად უნდა გადაიდგას და განხორციელდეს კონკრეტული ნაბიჯები და ქმედებები.

კრიზისის მართვა

სახელმძღვანელო მითითება 13

სასამართლოს დონეზე დასახული მიზნებიდან მნიშვნელოვანი გადახვევის შემთხვევებში, უნდა არსებობდეს კონკრეტული ზომები პრობლემის მიზეზთა სწრაფად და ადეკვატურად აღმოფხვრისათვის.

დროის შეთანხმება მხარეებსა და ადვოკატებთან

სახელმძღვანელო მითითება 14

თუ შესაძლებელია, მოსამართლე უნდა ეცადოს, პროცესის ყველა მონაწილეს შეუთანხმოს პროცედურული კალენდარი. ამ მიზნების მიღწევაში მას უნდა ეხმარებოდეს სასამართლოს შესაბამისი თანამშრომლების (კლერკები) ჯგუფი და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება.

სახელმძღვანელო მითითება 15

შეთანხმებული კალენდრიდან გადახვევები უნდა იყოს მინიმალური და შემოიფარგლებოდეს საპატიო შემთხვევებით. შეთანხმებული ვადების გაგრძელება შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ ყველა მხარის თანხმობით, ან მართლმსაჯულების ინტერესების გათვალისწინებით.

კომენტარები და დანერგვის მაგალითები 15 საწყის პრიორიტეტულ სახელმძღვანელო მითითებასთან დაკავშირებით

დაგეგმვა და ინფორმაციის შეგროვება

სახელმძღვანელო მითითება 1

სამართალწარმოების ხანგრძლივობა უნდა დაიგეგმოს როგორც ზოგად (კონკრეტული ტიპის საქმეების ან ცალკეული ტიპის სასამართლოებში პროცესის საშუალო ხანგრძლივობა), ისე კონკრეტული სამართალწარმოების დონეზე.

კომენტარები და დაგეგმვის მაგალითები

 დანია – *Esbjerg-ის რაიონული სასამართლო* –

	დროის საზომი ერთეული	2015	2016	2017	2018
ყველა სისხლისსამართლებრივი დავა	2 თვე	80%	80%	80%	80%
ნაფიც მსაჯულთა სასამართლო	4 თვე	72%	74%	77%	80%
მცირე სისხლისსამართლებრივი საქმეები	4 თვე	75%	76%	78%	80%

	დროის საზომი ერთეული	2015	2016	2017	2018
ყველა სამოქალაქოსამართლებრივი დავა	6 თვე	70%	73%	76%	80%
ჩვეულებრივი სამოქალაქოსამართლებრივი დავები	15 თვე	62%	64%	67%	70%
მცირე სამოქალაქოსამართლებრივი საქმეები	9 თვე	65%	67%	69%	70%
ქორწინებასა და საოჯახო სამართალთან დაკავშირებული დავები	6 თვე	80%	80%	80%	80%

ფინეთი – *Rovaniemi-ის სააპელაციო სასამართლო* – მიზნები თანხმდება ყოველ წელს, ბიუჯეტის თაობაზე მოლაპარაკებებისას სასამართლოსა და იუსტიციის სამინისტროს შორის. შეთანხმდა, რომ ყველა საქმე უნდა გადაწყდეს წელიწადზე ნაკლებ დროში.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 6).

დავის დასაწყისიდან, ანუ პოლიციის მიერ საგამოძიებო მოსმენის ჩატარებიდან აპელაციამდე პერიოდში გათვალისწინებულია შეტყობინება საქმისწარმოების დროსთან დაკავშირებით. თუ წარმოების დრო მეტისმეტად გრძელია, მაგალითად, რაიონულ სასამართლოში, საჭირო იქნება, სააპელაციო სასამართლოში უფრო სწრაფად წარიმართოს საქმის განხილვა.

ფინეთი – *ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველი უზენაესი სასამართლო* – საქმისწარმოების საშუალო ვადაა 10 თვე. გარდა ამისა, დასახულია მიზანი - საქმეთა 25% განიხილონ 4 კვირაზე ნაკლებ დროში, ხოლო 35% – 6-9 თვეში. 2006 წელს განისაზღვრა ამოცანა, რომ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს საქმისწარმოების ზოგად ვადებს ფინეთის ადმინისტრაციულ საქმეთა განმხილველ უზენაეს სასამართლოსა და, ზოგადად, ქვეყნის სასამართლოებში; განსაკუთრებით კი გაიზარდოს იმ საქმეთა განხილვა, რომლებიც წელიწადზე მეტია არ გადაწყვეტილა. სააპელაციო სასამართლოს მხრივ დასახული მიზნები ამგვარია: უნდა შემცირდეს განსხვავება ინივიდუალურ სასამართლოებს შორის საქმისწარმოების ვადების თვალსაზრისით. კერძოდ, სააპელაციო სასამართლოებში განსხვავება საქმისწარმოების ყველაზე გრძელ და მოკლე ვადებს შორის 2006 წლისთვის შემცირდეს 6 თვეზე მეტი ხნიდან (2005 წლის მაჩვენებელი) 5.5 თვემდე. ფინეთის რაიონულ სასამართლოებში სისხლისსამართლებრივ საქმეთა განხილვისთვის დაწესებულია 3.1-თვიანი ვადა, ხოლო იმ საქმეებში, სადაც მხარეთა სასამართლოში გამოძახებისთვის წარდგენილია შუამდგომლობა ვადის გაგრძელების თაობაზე – 7.9 თვე. თითქმის ყველა რაიონული სასამართლოსთვის საქმეთა 50%-ის განსახილველად დადგენილია 2-თვიანი ვადა. საქმისწარმოება არ უნდა აჭარბებდეს 9 თვეს საქმეთა 10%-ზე მეტ შემთხვევაში. რაიონული სასამართლოები ასევე უნდა ცდილობდნენ უკვე გაჭიანურებული სისხლისსამართლებრივი საქმეების რაც შეიძლება სწრაფ იდენტიფიცირებასა და განხილვას.

(წყარო:"დროის მართვა მართლმსაჯულების სისტემებში: ჩრდილოეთ ევროპის კვლევა", CEPEJ (2007), გვ. 18).

ფინეთი –*Varsinais Suomi-ის რაიონული სასამართლო* – მიზნები და ამოცანები ყოველწლიურად თანხმდება სასამართლოს და თითოეული სასამართლო ერთეულის ხელმძღვანელს შორის. ასევე თანხმდება ოპტიმალური ვადები კონკრეტული ტიპის საქმისათვის. თითოეული სასამართლო ერთეულის ხელმძღვანელი ამ ერთეულის თითოეულ მოსამართლესთან ათანხმებს მიზნებს. მიზნები ყოველწლიურად თანხმდება სასამართლოსა და იუსტიციის სამინისტროს შორის ბიუჯეტთან დაკავშირებული მოლაპარაკებებისას.

(წყარო: “საუკეთესო პრაქტიკის” კრებული სასამართლოს დროის მართვაზე”, CEPEJ (2006), 13, გვ. 6).

ფინეთი – *Turku-ს რეგიონული ადმინისტრაციული სასამართლო* – თითოეული სასამართლო ერთეულის (ე.წ. სექტორი ან სექცია) მიზნები და ამოცანები ყოველწლიურად თანხმდება სასამართლოს თავმჯდომარესა და ამ ერთეულის ხელმძღვანელს შორის. ასევე თანხმდება ოპტიმალური ვადები კონკრეტული ტიპის საქმისათვის. ამრიგად, თითოეული ერთეულის მთავარი მოსამართლე მოლაპარაკებას აწარმოებს და მიზნებს ათანხმებს თითოეულ მოსამართლესა და თითოეული ერთეულის რეფერენდართან.

(წყარო: “საუკეთესო პრაქტიკის” კრებული სასამართლოს დროის მართვაზე”, CEPEJ (2006), 13, გვ. 6).

2014 წლის ოქტომებრში ფინეთმა აღნიშნული ზომები ძალაში დატოვა.

საფრანგეთი – *სტრასბურგის უმაღლესი ინსტანციის სასამართლო* – იუსტიციის სამინისტრომ *“VIA მართლმსაჯულების”* მისიის ფარგლებში სტრასბურგის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოსთვის დანერგა აუდიტი. წამოწეულია წინადადებები, რომ საოჯახო სამართლის საქმეთა წარმოების ვადებზე დაწესდეს ლიმიტი, შეიზღუდოს რეფერალი და გაერთიანდეს წინასასამართლო პროცედურები. გარდა ამისა, შეიქმნა მოსამართლის თანაშემწის დამატებითი და *სარეზერვო მაგისტრატი მოსამართლის* (პენსიაზე გასული მაგისტრატი მოსამართლე, რომელიც დროებით მისიებში მონაწილეობს) ვაკანსიები.

საქართველო – *თბილისის სააპელაციო სასამართლო* – საპროცესო კანონმდებლობა მკაცრად განსაზღვრავს, რომ სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეები დასრულდეს 2 თვის, ხოლო რთული საქმეები – 5 თვის განმავლობაში. აღნიშნული დებულებები მკაცრად კონტროლდება სასამართლოს მენეჯმენტის მხრიდან და საქმეთა უმრავლესობა სრულდება 5-თვიან ვადაში. თუ საქმის განხილვის ვადა გადააჭარბებს აღნიშნულ ვადებს, ეს ფაქტი აისახება ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში. სისხლისსამართლებრივი საქმეებისთვის არ არის განსაზღვრული კონკრეტული ვადა. არ არსებობს დროის დაგეგმვის ინსტრუმენტები, რომლებიც ითვალისწინებს მხარეთა ჩართულობას, თუმცა საქმეთა განხილვის ვადებზე მიმდინარეობს მკაცრი მონიტორინგი, რაც შესაძლებლობას იძლევა, შენარჩუნდეს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში დასრულებულ საქმეთა მაღალი რიცხვი.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1, გვ. 13).

ირლანდია – *დუბლინის კომერციული სასამართლო* – მუდმივად მიმდინარეობს მონიტორინგი კომერციული სასამართლოს საქმეებთან დაკავშირებულ ყველა ასპექტზე და აითვლება თითოეული საქმის სხვადასხვა ეტაპთან დაკავშირებული ვადები.

(წყარო: “საუკეთესო პრაქტიკის” კრებული სასამართლოს დროის მართვაზე”, CEPEJ (2006), 13, გვ. 7).

იტალია – *ბოლონიის სააპელაციო სასამართლო* – ეროვნული სტანდარტი 2 წელია (“Pinto”-ს კანონმდებლობა), თუმცა ეს ციფრი შორსაა რეალური მონაცემებისგან: საქმეთა ძირითადი ნაწილის გადაწყვეტას 2 წელზე მეტი დრო სჭირდება (გარდა საოჯახო-სამართლებრივი დავებისა სამოქალაქო საქმეებში).

ლატვია – 2014 წლის 1 იანვარს ლატვიის სასამართლოებმა დაიწყეს სამართალწარმოების ხანგრძლივობის დაგეგმვა 1) ზოგად (სახელმწიფო), 2) სასამართლოს და 3) ცალკეული სამართალწარმოების დონეებზე.

ლიტვა – *ვილნიუსის რეგიონული ადმინისტრაციული სასამართლო* – სამართალწარმოების ხანგრძლივობა დაგეგმილია კანონით ადმინისტრაციული პროცესის შესახებ. ამ კანონის 65-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით: თუ მხარეები არ შეთანხმებულან სამართალწარმოების უფრო მოკლე ვადებზე, პირველი ინსტანციის ადმინისტრაციულმა სასამართლომ ადმინისტრაციულსამართლებრივი საქმე უნდა განიხილოს და გადაწყვეტილება მიიღოს სასამართლო სხდომის ჩანიშვნაზე განჩინების გამოტანიდან 2 თვის განმავლობაში; საჭიროების შემთხვევაში, ზემოხსენებული ზოგადი ვადა შეიძლება გაგრძელდეს სასამართლოს მოტივირებული განჩინებით, თუმცა არაუმეტეს 1 თვის ვადით, ხოლო საქმეებში, სადაც გასაჩივრებულია ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის კანონიერება – არაუმეტეს 3 თვის ვადით (65-ე მუხლის მე-4 ნაწილი). აღნიშნული დებულების მიუხედავად, ადმინისტრაციულსამართლებრივი საქმეების განხილვას ვილინიუსის რეგიონულ ადმინისტრაციულ სასამართლოებში უფრო მეტი დრო სჭირდება.

ეროვნული სასამართლოების ადმინისტრაციის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით: ვილნიუსის რეგიონულ ადმინისტრაციულ სასამართლოში 2012 წლის განმავლობაში ყველა დასრულებული საქმის (3,636) 17.35% (631 საქმე) და 2013 წლის განმავლობაში ყველა დასრულებული საქმის (5,189) 1.19% (62 საქმე) განიხილებოდა წელიწადზე მეტხანს.
ვილნიუსის რეგიონული ადმინისტრაციული სასამართლოს საქმიანობაზე წლიური ანგარიშის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2013 წლის მანძილზე ამ სასამართლოში სამართალწარმოების საშუალო ხანგრძლივობა 7.57 თვე იყო.

ნორვეგია – თუ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა, ან იგი არსრულწლოვანია, სისხლისსამართლებრივ საქმეებში პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომა უნდა ჩატარდეს რაიონულ სასამართლოში სარჩელის აღძვრიდან 6 კვირის განმავლობაში. სააპელაციო სასამართლოში სხდომა უნდა ჩატარდეს საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 8 კვირის განმავლობაში. ზოგიერთ სამოქალაქოსამართლებრივ საქმეს ენიჭება ზოგადი პრიორიტეტი სამართალწარმოების ვადების თვალსაზრისით. ამის მაგალითია ბავშვის მეურვეობასთან დაკავშირებული და შრომისსამართლებრივი დავები.

(წყარო: “დროის მართვა მართლმსაჯულების სისტემებში: ჩრდილოეთ ევროპის კვლევა”, CEPEJ (2007) გვ. 19).

ნორვეგია – ვადებს წარადგენს იუსტიციის სამინისტრო და ამტკიცებს ნორვეგიის პარლამენტი. დღესდღეობით, სამოქალაქოსამართლებრივი საქმეების 100% უნდა გადაწყდეს 6 თვის განმავლობაში, ხოლო სისხლისსამართლებრივი საქმეების 100% – 3 თვის განმავლობაში. ეს ვადები ვრცელდება სასამართლო სისტემის ყველა ინსტანციაზე (მაგ.: სამოქალაქოსამართლებრივი დავის განხილვის ვადა არ უნდა აჭარბებდეს 6 თვეს როგორც პირველი ინსტანციის, ისე სააპელაციო სასამართლოში).

(წყარო: “საუკეთესო პრაქტიკის” კრებული სასამართლოს დროის მართვაზე”, CEPEJ (2006), 13, გვ. 7).

ნორვეგია – *Nedre Romerike Tingrett* – ყველა სამოქალაქოსამართლებრივ საქმეში სასამართლო შეხვედრებს ნიშნავს მალევე საქმის მიღებიდან. ამ შეხვედრებში მონაწილეობენ მხარეთა ადვოკატები და განმხილველი მოსამართლე – თუმცა, არა უშუალოდ მხარეები – და ისინი ემსახურება საქმის თითოეული ეტაპის დაგეგმვას მის გადაწყვეტამდე. შეხვედრისას ხდება მხარეთა მოთხოვნების, მათი მთავარი მხარდამჭერი არგუმენტებისა და მტკიცებულებების გამორკვევა. შეხვედრის განმავლობაში იგეგმება საქმის მიმდინარეობა, განისაზღვრება საბოლოო ვადები, მთავარი სხდომის თარიღი და საჭირო დღეების რაოდენობა. ნორვეგიაში, ჩვეულებრივ, არ ინიშნება მთავარ სხდომაზე მეტი მოსამზადებელი სხდომა. ყველა მტკიცებულება მზად უნდა იყოს განსაზღვრული თარიღისთვის და, ამრიგად, მხარეებმა სათანადოდ უნდა დაგეგმონ მტკიცებულებათა მოპოვება და წარდგენა. სხდომათა თარიღები განისაზღვრება სასამართლოს დროის გამოყენებასთან დაკავშირებული ზოგადი სტანდარტების მიხედვით – 6 თვე ჩვეულებრივი სამოქალაქოსამართლებრივი საქმეების შემთხვევაში და 3 თვე მცირე დავებისას (დავა მიიჩნევა მცირედ, თუ სარჩელის ფასი არ აღემატება 15,000 ევროს). სხდომის უფრო გვიანდელ თარიღზე ჩანიშვნა მოითხოვს სპეციალურ დასაბუთებას და იშვიათად უნდა მოხდეს. თითქმის ყველა სისხლისსამართლებრივ საქმეში დაგეგმვაზე ხორციელდება კონტროლი პროკურატურის მხრიდან და იგი სასამართლოს პასუხისმგებლობის მიღმაა. პროკურატურა იწვევს ბრალდებულსა და მოწმეებს და აწარმოებს ტექნიკურ მტკიცებულებებს. სასამართლო ზედამხედველობს პროკურატურის მოსამზადებელ სამუშაოებს და უფლებამოსილია, მოითხოვოს ცვლილებები. გარდა ამისა, სისხლისსამართლებრივი საქმეები განიხილება ერთ მთავარ სხდომაზე და გადაწყვეტილება უნდა დაიწეროს მისი დასრულებიდან დაუყოვნებლივ. ასევე, არსებობს სასამართლოს მიერ დროის გამოყენების ეროვნული სტანდარტები სისხლისსამართლებრივ საქმეებში და სასამართლო მთავარ სხდომებს ნიშნავს ამ სტანდარტების შესაბამისად. მცირე გამონაკლისებში, მთავარი სხდომა შეიძლება გაგრძელდეს კვირების, მეტიც, თვეების განმავლობაში. ამის შემდეგ მოსამართლე ორგანიზებას უწევს დაგეგმვით შეხვედრას პროკურორისა და დაცვის მხარის მონაწილეობით.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1, გვ. 33).

ნორვეგიული სასამართლოს ეფექტიანობის მთავარი ფაქტორები მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- თითოეულ საქმეში ტარდება მხოლოდ ერთი მთავარი სხდომა (როგორც სამოქალაქოსამართლებრივი, ისე სისხლისსამართლებრივი დავების შემთხვევაში);
- მთავარი სხდომა ინიშნება სასამართლოში სარჩელის დარეგისტრირებიდან რამდენიმე დღეში;
- სამოქალაქოსამართლებრივი დავების შემთხვევაში, მოსამზადებელი შეხვედრა მოსამართლეებსა და მხარეთა წარმომადგენლებს შორის იმართება საქმის რეგისტრირებიდან მალევე. შეხვედრები, ჩვეულებრივ, იმართება სატელეფონო კონფერენციების სახით. მოსამზადებელი შეხვედრები შეიძლება გაიმართოს სისხლისსამართლებრივ საქმეებშიც;
- მხარეთა წარმომადგენლების მიმართ არსებობს მოლოდინი, რომ განსაზღვრავენ განრიგს მთავარი სხდომისათვის, რომელიც შემოიფარგლება მხოლოდ სადავო საკითხებით.

პრაქტიკაზე მინიშნება Nedre Romerike tingrett-ში შეიძლება მიჩნეულ იქნას როგორც Frostating Lagmannsrett-ის და, ალბათ, ზოგადად ნორვეგიის სასამართლო სისტემის ამსახველი. სამოქალაქოსამართლებრივი პრაქტიკა ასახავს 2005 წლის სამოქალაქო საპროცესო კოდექსს, რომელიც ძალაში შევიდა 2008 წელს.

** სლოვენია** – *Maribor-ისა და Novo Mesto-ს რაიონული სასამართლო* – სასამართლო წესების მიხედვით, საქმე უნდა განიხილონ წარდგენიდან 18 თვის განმავლობაში. თუ ამ ხნის მანძილზე გადაწყვეტილება არ მიიღება, საქმე მიიჩნევა გაჭიანურებულად. სასამართლოს ხელმძღვანელი უფლებამოსილია, პასუხისმგებელ მოსამართლეს მოსთხოვოს ანგარიშგება გადაწყვეტილების მიუღებლობის გამომწვევ გარემოებებზე.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 6).

შვედეთი – მიზნებს სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი საქმეებისთვის განსაზღვრავს მთავრობა. სასამართლოში არსებული უწყებები თვითონ განსაზღვრავენ საკუთარ ამოცანებს.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 6).

2014 წლის ოქტომბერში შვედეთმა აღნიშნული ზომა ძალაში დატოვა.

შვეიცარია – *მართლმსაჯულების სასამართლოს ადმინისტრაციული პალატა* – LPH/CE-ის 77-ე მუხლის მიხედვით, შვეიცარიის სასამართლომ გადაწყვეტილება საქმეზე უნდა მიიღოს საჩივრის წარდგენიდან 1 წლის განმავლობაში. მხარეებს ეცნობებათ, თუ ვერ ხერხდება ამ ვადის დაცვა.

შვეიცარია – *Dorneck Thierstein-ის რაიონული სასამართლო* – Dorneck-Thierstein-ის რაიონული სასამართლო ადგენს მომდევნო წლის გეგმას სამართალწარმოების ხანგრძლივობის თაობაზე. ის გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული წლიური ხელშეკრულებით და მოიცავს შემდეგ ინდიკატორებს:

- გადაწყვეტილი საქმეების შემოსულ საქმეებთან თანაფარდობა (საქმის გადაწყვეტის სიჩქარის ინდიკატორი, მაქსიმალური რიცხვი 1);
- მთლიანი გადაწყვეტილი საქმეების შემოსულ საქმეებთან თანაფარდობა (თუ >1, გადაუწყვეტელი საქმეების რიცხვის შემცირება; თუ <1, გადაუწყვეტელი საქმეების რიცხვის ზრდა);
- გადაწყვეტის ხანგრძლივობა: საანგარიშო პერიოდის განმავლობაში (წელიწადში) აღსრულებული საქმეების ვადისმიერი სტრუქტურა; ეს სტრუქტურა შეიცავს შემდეგ ქვედანაყოფებს: 0-3 თვე; 0-6 თვე; 0-12 თვე და 0-24 თვე.

შემდეგი ტიპის საქმეებისთვის წლიური მიზნები ასე განისაზღვრება:
ა) საოჯახო სამართალი იყოფა განქორწინების საქმეებად (მათ შორის, ცვლილებები, სარჩელები ქორწინების ნამდვილობასა და *a mensa et thoro* განქორწინებასთან დაკავშირებით, ასევე, ბათილობისა და *a mensa et thoro* განქორწინების შესახებ ერთსქესიანთა პარტნიორობის აქტის შესაბამისად) და პროცესუალური ზომები ქორწინების კავშირის დასაცავად (მათ შორის, დაჩქარებული წარმოება ერთსქესიანთა პარტნიორობის აქტის შესაბამისად);
ბ) სხვა სამოქალაქოსამართლებრივი საქმეები, რომლებიც იყოფა ჩვეულებრივი, გამარტივებული, დაჩქარებული, ვალის ამოღებისა და გადახდისუუნარობის წარმოებებად;
დ) სისხლისსამართლებრივი საქმეები იყოფა "პრეზიდენტის კომპეტენციისა" (ერთი მოსამართლე) და რაიონული სასამართლოს კომპეტენციის (სამი მოსამართლე) საქმეებად.
(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1, გვ. 48).

გაერთიანებული სამეფო – *ინგლისი და უელსი (Milton Keynes-ის საოლქო სასამართლო)* – შიდა ზომებს განსაზღვრული და განუსაზღვრელი სარჩელებისთვის ეროვნულ დონეზე ადგენენ ადმინისტრატორები სასამართლო ხელისუფლებასთან ერთად. ეს მოიცავს შემდეგ საკითხებს: მცირე დავების 70% უნდა განიხილონ 30 კვირის განმავლობაში (მიღებიდან ბოლო სხდომის ჩათვლით), საშუალო დავების 65% - 50 კვირის განმავლობაში (მიღებიდან ბოლო სხდომის ჩათვლით), ხოლო დიდი დავების 65% - 80 კვირის განმავლობაში (მიღებიდან ბოლო სხდომის ჩათვლით).
შიდა ზომები ასევე განისაზღვრება საოჯახო, კერძო და საჯაროსამართლებრივი საქმეებისთვის. მაგალითად: 31-ე პარაგრაფით გათვალისწინებული მზრუნველობის ან ზედამხედველობის საქმეთა საშუალო ხანგრძლივობა 26-30 კვირაა. მათი 60-70% უნდა დასრულდეს 26 კვირის განმავლობაში. კერძო სამართლის შემთხვევაში, მე-8

პარაგრაფით განსაზღვრული საქმეების საშუალო ხანგრძლივობა განცხადების შეტანიდან პირველ სრულ ორდერამდე არის 16 კვირა ან ნაკლები.

იხ: მე-10 სახელმძღვანელო მითითება ცალკეული სასამართლოების მიერ დაგეგმვის სხვა მაგალითების გასაცნობად

სახელმძღვანელო მითითება 2

მომხმარებლებს აქვთ უფლება, მათთან გაიარონ კონსულტაცია სამართალწარმოების დროის მართვისას და ყველა სამომავლო პროცედურული საფეხურის თარიღის ან დროის განსაზღვრისას.

კომენტარები და დანერგვის მაგალითები:

კომენტარი: ზოგიერთი სახელმწიფო დროულობას მიიჩნევს საჯარო სიკეთედ და მკაცრი რეგულაციები აქვს სასამართლოებში დროის გამოყენების შესახებ. ცალკეულ საქმეებში ისინი მხოლოდ შეზღუდულად უშვებენ დროის მართვასთან დაკავშირებულ შეთანხმებებს. ასეთი ვადების არსებობისას სასამართლოს მთავარი ამოცანაა მხარეთა მიერ მათი დაცვა.[1]

دანია – *Esbjerg-ის რაიონული სასამართლო* – სამოქალაქოსამართლებრივ საქმეებში პროცესის ადრეულ ეტაპზე ტარდება შეხვედრა, სადაც მხარეები თანხმდებიან საქმის მიმდინარეობაზე.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 15).

ფინეთი – *Rovaniemi-ს სააპელაციო სასამართლო* – არსებობს სპეციალურად მორგებული პროგრამა თითოეული საქმისათვის და მხარეებს ეძლევათ საინფორმაციო მითითებები წინასასამართლო ეტაპის, წინასასამართლო სხდომებისა და მთავარი სხდომის მიახლოებით ვადებთან დაკავშირებით. დეტალური სხდომების განრიგი წინასწარ ეგზავნებათ მხარეებს. შეტყობინების თანაადრესატებად ასევე უთითებენ ადვოკატებსა და პროკურორებსაც კომენატარებისათვის.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 8).

მხარეებს შეუძლიათ კანონმდებლობით გათვალისწინებული დაჩქარებული წარმოების მოთხოვნა.

ფინეთი – *Varsinais-Suomi-ის რაიონული სასამართლო* – მოსამართლეებსა და ადგილობრივ ადვოკატებს შორის ტარდება განხილვები საერთო იდეებისა და სახელმძღვანელო მითითებების მოსაფიქრებლად მართლმსაჯულების ეფექტიანობის გაუმჯობესებაზე, მათ შორის, წარმოების ვადებთან დაკავშირებით. სამოქალაქოსამართლებრივ საქმეებში ვადები (დიდი) განისაზღვრება მოსამართლეებისა და ადვოკატების თანამშრომლობის საფუძველზე.

---

[1] ამ კომენტარის ავტორია ბ-ნი ჯონ ჯონსენი;

(წყარო: “საუკეთესო პრაქტიკის” კრებული სასამართლოს დროის მართვაზე”, CEPEJ (2006), 13, გვ. 8).

საქართველო – *თბილისის სააპელაციო სასამართლო* – მომხმარებლებს უფლება აქვთ, მათთან გაიარონ კონსულტაცია სამართალწარმოების დროის მართვისას და ყველა სამომავლო პროცედურული საფეხურის თარიღისა ან დროის განსაზღვრისას.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1, გვ. 13).

გერმანია – *Stuttgart-ის რეგიონული სააპელაციო სასამართლო* – ორგანიზება გაეწევა რეგულარულ შეხვედრებს ადვოკატებთან, სასამართლო სერვისებით მომხმარებელთა კმაყოფილებისა და ამ მხრივ არსებული პრობლემების განსახილველად.

(წყარო: “საუკეთესო პრაქტიკის” კრებული სასამართლოს დროის მართვაზე”, CEPEJ (2006), 13, გვ. 8).

იტალია – *Turin-ის პირველი ინსტანციის სასამართლო* – სამართალწარმოების ხანგრძლივობის ზოგადი წინასწარგანჭვრეტის თვალსაზრისით, შეიძლება ძალიან სასარგებლო აღმოჩნდეს ამ საკითხთან დაკავშირებული ზოგადი სტატისტიკური და სხვა მონაცემების გაზიარება სექციების მიხედვით, ინიცირებული პრეზიდენტის მიერ. გარდა ამისა, სტატისტიკური მონაცემების გაზიარებით, რომლებიც ასახავს თითოეული მოსამართლის “პროდუქტიულობას”, წახალისდება ერთგვარი კონკურენცია, რაც ხელს შეუწყობს საქმეთა დაგროვების პრევენციას.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1, გვ. 20).

ლიტვა – *ვილნიუსის რეგიონული ადმინისტრაციული სასამართლო* – ყველა სახის ინფორმაცია გათვალისწინებულია კანონმდებლობით და, ამრიგად, მოსამართლეები არ გადიან კონსულტაციას მომხმარებლებთან სამართალწარმოების დროის მართვისას და ყველა სამომავლო პროცედურული საფეხურის თარიღის ან დროის განსაზღვრისას.

ნორვეგია – *Nedre Romerike Tingrett* – მათთან გაიარონ კონსულტაცია სამართალწარმოების დროის მართვისას და ყველა სამომავლო პროცედურული საფეხურის თარიღის ან დროის განსაზღვრისას. როგორც ზემოთ აღინიშნა, სამოქალაქოსამართლებრივ საქმეებში მოსამართლე ნიშნავს დაგეგმვით შეხვედრებს; მსგავს ფუნქციებს სისხლისსამართლებრივ საქმეებში ასრულებს პროკურორი. ადვოკატების გარდა, შეხვედრებში მონაწილეობენ ექსპერტებიც. თუმცა, როგორც ჩანს, სასამართლოს დაგეგმვის პროცესი არ მოიცავს კონსულტაციებს უშუალოდ მხარეებთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათ წარმომადგენელი არ ჰყავთ. ადვოკატების მიმართ არსებობს მოლოდინი, რომ ისინი მხარეებთან გაივლიან კონსულტაციას და წინ წამოწევენ თავიანთი კლიენტების ინტერესებს, ადვოკატთა კარგი პრაქტიკის კოდექსის

შესაბამისად. მიუხედავად ამისა, ნორვეგიის გადმოსახედიდან, საქმეთა სწრაფი განხილვა საჯარო სიკეთეა. როდესაც ორივე მხარე და მათი ადვოკატები თანხმდებიან, რომ მათთვის უფრო სარგებლიანი იქნება საქმის გაჭიანურება, საჯარო ინტერესი გულისხმობს, რომ დავა უნდა გადაიჭრას და მხარეებს ჰქონდეთ მოტივაცია თავიანთი ცხოვრების გასაგრძელებლად. ყველა საქმის მოკლე ვადებში დაგეგმვა მცირე გასაქანს უტოვებს ადვოკატებსა და მხარეებს განრიგზე მოლაპარაკების მხრივ. ნორვეგიაში დროის დაგეგმვის მიზანია არა სამართალწარმოების ხანგრძლივობაზე მოლაპარაკება – რაც ეროვნული ხელისუფლების სტანდარტებითაა განსაზღვრული – არამედ მხოლოდ იმის განსაზღვრა, როგორ უნდა ჩატარდეს სასამართლო პროცესი დადგენილი სტანდარტის დაცვით. დაგეგმვასთან დაკავშირებული ამგვარი საკითხები მეტწილად ტექნიკურია და ამ მხრივ მხარეებს მცირე წვლილს შეტანა შეუძლიათ.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1, გვ. 32).

ნორვეგია – *Midhordland Tingrett-ის რაიონული სასამართლო* – სამოქალაქოსამართლებრივ საქმეთა 80%-ის შემთხვევაში მოსამზადებელი შეხვედრები სრულდება მორიგებით.

(წყარო: “საუკეთესო პრაქტიკის” კრებული სასამართლოს დროის მართვაზე”, CEPEJ (2006), 13, გვ. 15).

შვედეთი – *Huddinge-ის რაიონული სასამართლო და დასავლეთ შვედეთის სააპელაციო სასამართლო* – თითოეულ სამოქალაქოსამართლებრივ საქმეში ვადები განისაზღვრება მომხმარებლებთან თანამშრომლობით.

(წყარო: “საუკეთესო პრაქტიკის” კრებული სასამართლოს დროის მართვაზე”, CEPEJ (2006), 13, გვ. 8).

შვედეთი – *დასავლეთ შვედეთის სააპელაციო სასამართლო* – თითოეულ სამოქალაქოსამართლებრივ საქმეში ვადები განისაზღვრება მომხმარებლებთან თანამშრომლობით.

გაერთიანებული სამეფო – *ცენტრალური ლონდონის სამოქალაქო მართლმსაჯულების ცენტრი* – იმ საქმეებში, რომლებიც ექცევიან კლასიფიკაციაში “მცირე, საშუალო და დიდი”, მომხმარებლებს სთხოვენ, წარმოადგინონ წინადადებები მიახლოებით ვადებსა და საქმის მართვაზე. მოსამართლეები, თავის მხრივ, ითვალისწინებენ ამ ინფორმაციას მითითებების განსაზღვრისას. ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს, რომ მხარეებს დროულად ჩაბარდეთ სასამართლო ორდერი, რათა შეძლონ ვადების დაცვა.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1, გვ. 10).

იხ: ასევე მე-14 სახელმძღვანელო მითითება სასამართლოს სხვა მაგალითების გასაცნობად. ID1 სახელმძღვანელო მითითების მე-2 ნაწილი 29-ე გვერდზე მოიცავს მაგალითებს მხარეთა მონაწილეობაზე დროის მართვაში.

ინტერვენცია

სახელმძღვანელო მითითება 3

თუ გამოვლინდება ან მოსალოდნელია სასამართლო ვადების სტანდარტებიდან და მიზნებიდან გადახვევა, დაუყოვნებლივ უნდა მიიღონ ზომები მისი გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად.

კომენტარები და დანერგვის მაგალითები:

კომენტარი: ეროვნული სასამართლო ადმინისტრაციები და ადვოკატთა ასოციაციები უნდა აანალიზებდნენ, შეესაბამება თუ არა ადვოკატთა ანაზღაურების სტრუქტურა დროის ეფექტიანად გამოყენების მიზანს და რამდენად საჭიროებს ის გადახედვას. მაგალითისთვის, მათ არ უნდა დაუშვან ადვოკატის ანაზღაურების მიბმა ცალკეულ დოკუმენტსა ან სხდომაზე, რათა თავიდან აიცილონ ხელფასის ზრდა მეტი დოკუმენტის წარმოების, ან პროცესის გადავადების გამო. საჭირო ცვლილებები უნდა გატარდეს, რათა ადვოკატებს სათანადო გასამრჯელო ეძლეოდეთ საქმის სწრაფი გადაწყვეტისათვის.[2]

ფინეთი – *Varsinais-Suomi-ის რაიონული სასამართლო* – საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა იძლევა ინფორმაციას საქმისწარმოების შესახებ. გაჭიანურების შემთხვევაში, მთავარ მოსამართლეს აქვს ჩარევის უფლებამოსილება.

საფრანგეთი – *Poitiers-ის უმაღლესი ინსტანციის სასამართლო* – ცალკეული იურისდიქციებისთვის შექმნილია კომისია პროცედურების განხილვისა და სისხლისსამართლებრივ დავებში საქმისწარმოების ვადებზე მონიტორინგის მიზნით. კომისია შედგება სხდომების თავმჯდომარეების, ასევე, პროკურატურისა და სისხლის სამართლის კანცელარიის წარმომადგენლებისაგან.

მისი როლია გამომძიებელი მოსამართლეების მიერ გადამისამართებული საქმეების დაგეგმილი ხანგრძლივობის დადგენა, სასამართლოსთვის საქმისწარმოების შესაძლებლობათა უზრუნველყოფა პროკურატურის მითითებების შესაბამისად, სასამართლოს ხელმძღვანელებისა და მაგისტრატი მოსამართლეების გენერალური ასამბლეისთვის წინადადებების წარდგენა სისხლისსამართლებრივ საქმეთა რაოდენობასა და ბუნებაზე.

საქართველო – *თბილისის სააპელაციო სასამართლო* – ის ამ დროისთვის ერთადერთი სასამართლოა საქართველოში, რომელსაც აქვს საქმის მართვის საკუთარი

[2] ამ კომენტარის ავტორია ბ-ნი ჯონ ჯონსენი;

ელექტრონული სისტემა და იყენებს მას. იგი ყველა ტიპის საქმისთვის შეიმუშავებს მნიშვნელოვან ორიენტირებს, რომლებიც მოიცავს შემდეგ ასპექტებს: ა) ხანდაზმულობის ვადა სარჩელის დასაშვებობისთვის; ბ) პირველი სხდომის ჩანიშვნის ვადები; გ) გადაწყვეტილების დაწერის ვადები. გარდა ამისა, თითოეული პროცედურული ნაბიჯი და დოკუმენტი რეგისტრირდება ვებსაიტზე: შესაბამის გვერდზე აიტვირთება ყველა დოკუმენტი word-ის ფორმატში და მხარეებს – თავიანთი პაროლების გამოყენებით – შეუძლიათ საქმის მიმდინარეობისათვის თვალის მიდევნება და დოკუმენტების word-ის ფორმატში გადმოწერა. ვადების გადაცილების შემთხვევაში, საქმეები ეკრანზე წარმოჩნდება წითელი ასოებით. შესაბამისად, ადვილია დადგენა, რომ საქმეს აქვს გარკვეული პრობლემა. სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლია ინფორმაციის მოპოვება გაჭიანურებული საქმეების, მათი ხარისხისა და შინაარსის თაობაზე. თუ ვითარება ძალზე პრობლემურია, შეიძლება ჩატარდეს სპეციალური შეხვედრა გაჭიანურებულ საქმეთა მდგომარეობის განსახილველად.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1, გვ. 13).

იტალია – *პირველი ინსტანციის სასამართლო* – სასარგებლოა დაგროვებულ საქმეებსა და შემავალი თუ გადაწყვეტილი საქმეების სწორ თანაფარდობაზე მონიტორინგი. სამომავლოდ შეიძლება დაინერგოს ავტომატური მონიტორინგი იმ საქმეებზე, რომლებიც გრძელდება დადგენილ დროზე მეტხანს. სისტემამ შეიძლება ავტომატურად გაგზავნოს ერთგვარი "გაფრთხილება" მოსამართლეებისთვის (პირდაპირ ფოსტაზე), რისი საშუალებითაც ეცნობებათ შესაძლო პრობლემის თობაზე. ამჟამად მოსამართლეები ვალდებულნი არიან, პირადად იზრუნონ ამ ასპექტსა და სტატისტიკურ მონაცემთა მონიტორინგზე. ცხადია, ეს ხორციელდება კომპიუტერიზებული სისტემების დახმარებით, თუმცა, დღესდღეობით ინიციატივა მოსამართლისგან უნდა მოდიოდეს. ამ სასამართლოში, თუკი სამართალწარმოება გრძელდება 3 წელზე მეტხანს, პრეზიდენტის მიერ უფლებამოსილი ზოგიერთი თანამშრომელი აღნიშნულის თაობაზე ატყობინებს შესაბამის მოსამართლეს (ან მისი სექციის პრეზიდენტს). სამომავლოდ მნიშვნელოვანი იქნებოდა დროული გაფრთხილება – მანამდეც, ვიდრე ეს ვადები ამოიწურება.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1, გვ. 21).

იტალია – *პირველი ინსტანციის სასამართლო* – სტრასბურგის დეკალოგი:

მუხლი 1: ყველა სამოქალაქოსამართლებრივი დავა, რომელიც 2.5 წელზე მეტია არ გადაწყვეტილა, უნდა მოინიშნოს განსხვავებული ფერით და წლების მიხედვით, რომელთა განმავლობაშიც გადაწყვეტილება არ გამოტანილა: ა) 6 წელზე მეტი; ბ) 2.5-6 წელი; გ) 2.5 წელი. მოსამართლეები ვალდებულნი არიან, პრიორიტეტი მიანიჭონ ყველა ზემოხსენებულ საქმეს.

მუხლი 2: მოსამართლეებმა 1-ელი მუხლით განსაზღვრულ საქმეებზე გადაწყვეტილება უნდა მიიღონ შემდეგი პროგრამის შესაბამისად:
- "ა" ჯგუფში შემავალი საქმეებისთვის: არაუგვიანეს 6 თვისა;
- "ბ" და "გ" ჯფუფის საქმეებისთვის: არაუგვიანეს 1 წლისა.
ყველა სხვა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება უნდა გამოიტანონ არაუგვიანეს 3 წლისა მათი დაწყებიდან. ამ ეტაპზე, სასამართლოს დირექტორის მიერ მიღებული წესები, ტურინის შემთხვევის მსგავსად, პრიორიტეტებს ანიჭებს სხვადასხვა საქმეს, მაგალითად: მაქსიმალური ხანგრძლივობის შემცირება არაუმეტეს 3 წლამდე; პრიორიტეტის მინიჭება იმ საქმეებისთვის, რომლებიც სცილდება ვადებს ან სახიფათოდ უახლოვდება მათ და ა.შ. იტალიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ამ მხრივ სასამართლოს მცირე დისკრეციას ითვალისწინებს. მაგალითად, 183-ე მუხლის მიხედვით, პროცესის გადადება სავალდებულოა, თუ, სულ მცირე, ერთი მხარე მაინც მოითხოვს ამას, მაშინაც კი, როცა აშკარაა, რომ ეს ყოვლად უსარგებლოა და ადვოკატებს უბრალოდ გადავადებათა (და თითოეული მათგანისთვის მომზადებულ შუამდგომლობათა) "წასამატებლად" სჭირდებათ ანაზღაურებისა და ბონუსების საბოლოო ქვითარზე. თუმცა, სასამართლოს თავმჯდომარის წესები ვადების თაობაზე – როგორიცაა "სტრასბურგის პროგრამა" – დაეხმარება მოსამართლეს მხარეთა დარწმუნებაში, რომ თავი აარიდონ არასაჭირო მოთხოვნებს და ეცადონ "თავიანთი ტემპის მორგება" სწრაფი პროცესის მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1, გვ. 24).

იტალია – *ბოლონიის სააპელაციო სასამართლო* – არსებობს მთავრობის გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს სასამართლოებში დაგროვებული საქმეების მონიტორინგს. 3 წელზე მეტხანს გადაუწყვეტელი საქმეების პროცენტული მაჩვენებელი გულმოდგინედ შემოწმდება და სასამართლოებს მოეთხოვებათ მისი შემცირება (cf. Pinto-ს კანონმდებლობა).

ლიტვა – *ვილნიუსის რეგიონული ადმინისტრაციული სასამართლო* – არ არის განსაზღვრული რეგულაცია ინტერვენციის შესაძლებობასთან დაკავშირებით; თუმცა, არსებობს სასამართლოს დირექტორის 3 თვეზე მეტხნიანი უმოქმედო საქმეებზე ინფორმირების პრაქტიკა.

ნორვეგია – *Nedre Romerike Tingrett* – ეროვნული ელექტრონული საქმის მართვის სისტემა (LOVISA) სამოქალაქოსამართლებრივ დავებში საქმის რეგისტრაციიდანვე აწარმოებს მნიშვნელოვან ორიენტირებს. ესენია: ა) სარჩელის მოპასუხისთვის გადაგზავნის ვადა; ბ) მოპასუხის შესაგებლის მიღების ვადა; გ) დაგეგმვის შეხვედრის ჩანიშვნის საბოლოო ვადა; დ) მთავარი სხდომის ჩანიშვნის ვადა; ე) გადაწყვეტილების დაწერის ვადა. ამის შემდეგ სასამართლომ წარმოადგინა აღნიშნული ორიენტირების გამოყენება სამოქალაქოსამართლებრივი საქმეების დამუშავებისას, ასევე, თითოეულ საქმეზე მონიტორინგი ამ ორიენტირების შესაბამისად, იმ ყოველთვიური ანგარიშების საშუალებით, რომლებიც გენერირდება ელექტრონული საქმის მართვის სისტემიდან.

ანგარიშები მოწმდება მთავარი მოსამართლისა და ადმინისტრატორის მიერ და თითოეულ მოსამართლეს ეგზავნება მათი საქმეების მიმდინარეობაზე ინფორმირებისათვის. მოსამართლეები ამ ანგარიშებს სასარგებლოდ მიიჩნევენ, თუმცა ზოგიერთმა მსუბუქად შენიშნა, რომ მათ გამო მცირე წნეხის ქვეშაც ექცევიან, და რომ გადაწყვეტილების ხარისხი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სისწრაფე. მთავარ მოსამართლეს აქვს ჩარევის უფლებამოსილება, თუკი დადგინდება მნიშვნელოვანი გადახვევა ორიენტირებიდან და არ არსებობს უფრო ფართო უფლებამოსილების მქონე პირთა ჩარევის საჭიროება.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1, გვ. 36).

შვედეთი – *დასავლეთ შვედეთის სააპელაციო სასამართლო* – შვედეთში მხარეებს შეუძლიათ სასამართლოს მიმართონ სწრაფი ქმედებების მოთხოვნით ცალკეულ საქმეებზე.

შვედეთი –*Dorneck-Thierstein-ის რაიონული სასამართლო (პირველი ინსტანციის სამოქალაქო და სისხლის სამართლის სასამართლო)* – ყოველ 6 თვეში (30/06 და 31/12) იბეჭდება იმ საქმეთა სია, რომლებიც 2 წელზე მეტხანს გრძელდება. Solothurn-ის კანტონის სასამართლოები ვალდებული არიან, ადმინისტრაციული სასამართლოს კომისიას მიაწოდონ დასაბუთება აღნიშნული სამართალწარმოების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით. ამრიგად, Dorneck-Thierstein-ის რაიონული სასამართლო ვალდებულია, ყურადღება გაამახვილოს ზემოხსენებულ სიაში საქმეთა მაქსიმალურად მცირე რაოდენობის ასახვაზე. 2010 წლის 30 ივნისს 5 საქმე იყო სიაში ხანგრძლივობით 27-32 თვე. 3 საქმეზე სასამართლო გაიმართება შემდეგი 3 თვის განმავლობაში. ერთ შემთხვევაში განისაზღვრა საბოლოო ვადა შესაგებლის წარსადგენად, რომლის გაგრძელებაც დაუშვებელია.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1, გვ. 42).

გაერთიანებული სამეფო – *ცენტრალური ლონდონის სამოქალაქო მართლმსაჯულების ცენტრი* – ეს საკითხები მოწესრიგებულია სამოქალაქო საპროცესო წესებით. ამ წესების საქმის მართვასთან დაკავშირებულ დებულებათა მიხედვით, დავის მხარე უფლებამოსილია, მიმართოს სასამართლოს, თუკი მეორე მხარე არ იცავს ვადებს. ეს, ჩვეულებრივ, ხდება სასამართლოსთვის განცხადებით მიმართვის გზით ან კორესპონდენციის საშუალებით. მოსამართლეს ეძლევა ჩარევის შესაძლებლობა. მიმართვას განცხადების სახე ექნება თუ კორესპონდენციის, ადმინისტრაცია ვალდებულია, აღნიშნულ სამართალწარმოებას მიანიჭოს პრიორიტეტი და სასამართლო ორდერი გამოიცეს გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე. სხვაგვარად ადმინისტრაციულმა დაყოვნებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს მომხმარებელსა და პროცესის ხანგრძლივობაზე.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1, გვ. 10).

გაერთიანებული სამეფო – *მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს სამეფო კარის განყოფილება* – სასამართლო საქმის მართვის ფუნქციების შემსრულებელი მოსამართლე უზრუნველყოფს ვადების დაცვას მხარეებისა და სასამართლოს მიერ. თუ საქმე არ მიმდინარეობს გეგმის შესაბამისად, მოსამართლე მიიღებს სათანადო ზომებს მხარეებისთვის მითითებების მიცემისა და, საჭიროების შემთხვევაში, მათზე სანქციების დაკისრების გზით.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1, გვ. 8).

გაერთიანებული სამეფო – *Milton Keynes-ის საოლქო სასამართლო* – ადმინისტრაციის გუნდი საქმის მართვის სისტემას იყენებს ვადების მონიტორინგისათვის. სისტემა აწარმოებს ანგარიშს იმ საქმეთა იდენტიფიცირების მიზნით, რომლებშიც ცალკეული დოკუმენტები არ წარდგენილა ვადების დაცვით. ამის შემდეგ, ადმინისტრაციის გუნდი მხარეებს მოსთხოვს აღნიშნული დოკუმენტების წარდგენას, ან აცნობებს მოსამართლეებს ამ ვადების დარღვევის შესახებ. სასამართლო საქმეებს უძღვება სამოქალაქო საპროცესო წესების შესაბამისად, რათა შემცირდეს გაჭიანურებები, უზრუნველყოს მხარეების მზადყოფნა პროცესისათვის და ა.შ.

სახელმძღვანელო მითითება 4

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემთხვევებს, როდესაც მთლიანი ხანგრძლივობის გამო შეიძლება დადგინდეს საქმის „გონივრულ ვადაში“ განხილვის უფლების დარღვევა.[3]

კომენტარი: მე-4 სახელმძღვანელო მითითებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 6(1) მუხლით გათვალისწინებული "გონივრულ ვადის" კრიტერიუმის დარღვევათა პრევენციისათვის. ასეთი დარღვევები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საქმეების მოზრდილ წილს შეადგენს და მნიშვნელოვან ფაქტორად მიიჩნევა დიდი რაოდენობით სასამართლო საქმეების დაგროვებაში.

ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით, "გონივრული ვადის" სადავო დარღვევის შეფასება დამოკიდებულია კომპლექსურ ანალიზზე, რომელსაც

[3] იხ: CEPEJ-ის კვლევა No. 3: "ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში სამართალწარმოების ხანგრძლივობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით";

დისკრეციული ხასიათი აქვს. შესაბამისად, ყველა სასამართლო სიღრმისეულად უნდა იაზრებდეს ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს დროულობასთან დაკავშირებით. SATURN რეკომენდაციას უწევს Calvez-ის კვლევას, რომელიც ხელმისაწვდომია CEPEJ-ის ვებსაიტზე.[4] კვლევა ამომწურავად განსაზღვრავს გამოყენებულ კრიტერიუმებს და გვთავაზობს ზოგიერთ კონკრეტულ ვადას, რომელთა გადაცილებისას საქმეში შეიძლება დადგინდეს "გონივრული ვადის" კრიტერიუმის დარღვევა.

ევროპულმა სასამართლომ შეიმუშავა დროის გამოყენების ათვლის კრიტერიუმებიც.

სამოქალაქოსამართლებრივ დავებში ათვლა *იწყება* სასამართლოს მიერ საქმის მიღების თარიღიდან, სისხლისსამართლებრივ დავებში კი იმ მომენტიდან, როდესაც გამოძიება ფოკუსირდება იდენტიფიცირებულ ბრალდებულზე – ანუ, პირი ექვემდებარება საგამოძიებო ქმედებებს, რაც სასამართლოს მიერ საქმის მიღებაზე გაცილებით ადრე იწყება. ადმინისტრაციულსამართლებრივ დავებში საწყის თარიღად მიიჩნევა საქმის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღების დღე, რაც, ჩვეულებრივ, საქმის ადმინისტრაციულ სასამართლოში გადამისამართებამდე ხდება. სამივე ტიპის საქმეებში დროის ათვლა *წყდება* იმ მომენტიდან, როდესაც მიიღება საბოლოო გადაწყვეტილება საქმის არსებით ნაწილზე. თუ გადაწყვეტილებები სამოქალაქოსამართლებრივ დავებში საჭიროებს აღსრულებას, დროის ათვლა გრძელდება მათ აღსრულებამდე. როდესაც გადაწყვეტილება საჩივრდება, აპელაციის ეტაპზე გამოყენებული დრო ასევე უნდა დაემატოს საერთო ხანგრძლივობას.

ბევრ იურისდიქციაში ათვლა იწყება საქმის სასამართლოში მიღებიდან და სრულდება გადაწყვეტილების გამოტანისას, ან იმ მომენტში, როდესაც იგი სხვა ინსტანციას ეგზავნება. როგორც ჩანს, დროის ამგვარი გაზომვა შეიძლება მარტივად გახდეს არასრული. სისხლისსამართლებრივი დავების განმხილველ სასამართლოებს შესაბამის საქმეებზე ინფორმაცია უნდა მიეწოდოთ პირველი ინსტანციის სასამართლოში მიღებამდე (მაგ.: პოლიციისგან ან პროკურატურისგან). ადმინისტრაციულმა სასამართლოებმა უნდა მიიღონ ინფორმაცია ადმინისტრაციულ ეტაპზე დროის გამოყენებასთან დაკავშირებით (მაგ.: ადმინისტრაციული ორგანოსგან). ინფორმაცია სააპელაციო სასამართლოებსა და აღსრულების ორგანოებსაც უნდა მიეწოდოთ წინა ეტაპებზე დროის გამოყენების შესახებ (მაგ.: წინა ინსტანციის სასამართლოსგან). სასამართლოებმა და აღსრულების ორგანოებმა ამის შემდეგ შეიძლება დააჩქარონ იმ დავის განხილვა, რომელიც წინა ეტაპებზე ნელა მიმდინარეობდა, ასევე, თავი აარიდონ

[4] იხ: CEPEJ-ის კვლევა No. 3: "ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში სამართალწარმოების ხანგრძლივობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით", კვლევის განახლებულ ვერსიაზე მუშაობს SATURN.

უნებლიე დარღვევებს, რომლებიც გამოწვეულია არასრული ინფორმაციის ფლობით გამოყენებული დროის სრულ ოდენობაზე.

სტატისტიკა, რომელიც მეტწილად ფოკუსირდება გამოყენებული დროის საშუალო მაჩვენებელზე, მაინცდამაინც კარგად არ წარმოაჩენს მის განსაკუთრებულად დიდ ხანგრძლივობას ატიპურ საქმეებში. დროის გამოყენება უნდა გაიზომოს თითოეულ საქმეში.[5]

კომენტარები და დანერგვის მაგალითები:

 ფინეთი – *Turku-ს რეგიონული ადმინისტრაციული სასამართლო* – საქმის მართვის სისტემა ითვალისწინებს გაფრთხილებას საქმეებში, სადაც განხილვის მთლიანი ხანგრძლივობა უახლოვდება ისეთ სახიფათო ზღვარს, რომ შეიძლება დაირღვეს საქმის „გონივრულ ვადაში“ განხილვის უფლება.

 საქართველო – *თბილისის სააპელაციო სასამართლო* – ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მთავარი მოთხოვნა „გონივრულ ვადასთან“ მიმართებით არის ე.წ. ლოდინის დროის არარსებობა საქმეში, ანუ როდესაც საქმესთან დაკავშირებით არაფერი ხდება. სასამართლოს პრაქტიკიდან ვხედავთ, რომ ამგვარი ლოდინის დრო შეიძლება საერთოდ არ არსებობდეს, ან მინიმუმამდე შემცირდეს. დასაშვებად ცნობიდანვე სხდომა საქმეზე ჩაინიშნება დაუყოვნებლივ და სააპელაციო საჩივარი ყველა თანდართულ მასალასთან ერთად ეგზავნება მოწინააღმდეგე მხარეს. გადადებული სხდომის თარიღი და დრო განისაზღვრება გადავადების მომენტშივე, გარდა ერთადერთი შემთხვევისა, როდესაც დოკუმენტები ან ინფორმაცია გამოთხოვილია სხვა დაწესებულებებიდან და მათი მიღების თარიღი უცნობია. თუმცა, ამგვარი შემთხვევები ძალზე იშვიათია და გავლენას არ ახდენს საერთო მდგომარეობაზე. რაც შეეხება სისხლისსამართლებრივ დავებს, სასამართლოს არ აქვს საქმის განხილვის განსაზღვრული ვადები, ვინაიდან საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი გამოცხადებიდან, თუმცა ის შეიძლება გასაჩივრდეს. ამის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლო მსგავს საქმეებს მკაცრად განსაზღვრულ ვადებში განიხილავს. თითქმის ყველა საქმის დასაშვებად ცნობისთანავე სხდომის ჩანიშვნა ადასტურებს, რომ ფაქტობრივად არ არსებობს ლოდინის დრო. ამ გადმოსახედიდან, ვადების გაგრძელება საქმეში შეიძლება აიხსნას სხვა გარემოებებით (მაგ.: საქმის სირთულე, ათობით თუ ასობით მხარის ჩართულობა და ა.შ.) და არა სასამართლოს უმოქმედობით.

[5] ამ კომენტარის ავტორია ბ-ნი ჯონ ჯონსენი;

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1,გვ. 14).

 იტალია – *ბოლონიის სააპელაციო სასამართლო* – სასამართლოს თავმჯდომარე წელიწადში ერთხელ ადგენს ძველი საქმეების სიას, ასევე, ითვალისწინებს პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმოებასაც – სრულ ხანგრძლივობას საქმისწარმოების დასაწყისიდან – და მოსამართლეებს მოეთხოვებათ მათი, როგორც პრიორიტეტული საქმეების გადაწყვეტა (cf. Pinto-ს კანონმდებლობა).

 ლიტვა – *ვილნიუსის რეგიონული ადმინისტრაციული სასამართლო* – არ არის განსაზღვრული რეგულაცია, რომელიც ითვალისწინებს ჩარევის შესაძლებლობას. თუმცა, არსებობს სასამართლოს დირექტორის 3 თვეზე მეტხნიან უმოქმედო საქმეებზე ინფორმირების პრქატიკა.

 ნორვეგია – *Nedre Romerike Tingrett* – სასამართლო მიიჩნევს, რომ დროის გამოყენების საშუალო ხანგრძლივობა როგორც სამოქალაქო, ისე სისხლისსამართლებრივ დავებში, სავარაუდოდ, აარიდებს მას "გონივრული ვადის" მოთხოვნის დარღვევას. ასევე, მან სთხოვა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, მიეწოდებინა სტანდარტების განმარტების განახლებული ვერსია. სტატისტიკა, რომელიც მეტწილად ფოკუსირდება გამოყენებული დროის საშუალო მაჩვენებელზე, მაინცდამაინც კარგად არ წარმოაჩენს მის განსაკუთრებულად დიდ ხანგრძლივობას ატიპურ საქმეებში. საქმეები უნდა მოწმდებოდეს ინდივიდუალურად.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1, გვ. 35).

 გაერთიანებული სამეფო – *ცენტრალური ლონდონის სამოქალაქო მართლმსაჯულების ცენტრი* – ადმინისტრაცია დახმარებას უნდა უწევდეს მოსამართლეებს ვადების დაცვასა და მხარეთა უმოქმედობის ხანგრძლივი პერიოდების თავიდან არიდებაში. თუ დავის მხარე მიიჩნევს, რომ ვადა არაგონივრულად ახანგრძლივებს სამართალწარმოებას, იგი უფლებამოსილია, წარადგინოს განცხადება. თუმცა, სამოქალაქო საპროცესო წესებით დადგენილი ვადების განსაზღვრის პროცედურა არ ითვალისწინებს საერთო დაყოვნებას.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1, გვ. 10).

 გაერთიანებული სამეფო – *მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს სამეფო კარის განყოფილება* – სამოქალაქო მართლმსაჯულების სამსახურის დირექტორის მოადგილე ამჟამად პასუხისმგებელია იმ საქმეების მონიტორინგზე, რომლებშიც შეიძლება ირღვეოდეს მე-6 მუხლის მოთხოვნები, თუმცა, არ არსებობს ადგილობრივი რეგულაციები, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ეს ადეკვატური კომპიუტერული მხარდაჭერის არარსებობისას. საბედნიეროდ, სასამართლოს საქმის მართვასთან დაკავშირებული ზოგადი დებულებებით უზრუნველყოფილია, რომ საქმე არ მოექცეს დარღვევების კატეგორიაში.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1,გვ. 8).

 გაერთიანებული სამეფო – *Milton Keynes-ის საოლქო სასამართლო* – ადმინისტრაციის თანამშრომლები პასუხისმგებელნი არიან, აწარმოონ მართვის ყოველთვიური ანგარიშები იმ საქმეთა იდენტიფიცირებისათვის, რომლებიც არღვევს ან უახლოვდება სამიზნე თარიღებს. საქმეები გადაიხედება და, საჭიროების შემთხვევაში, ეგზავნება მოსამართლეს სახელმძღვანელოდ. ამის შემდეგ სამოქალაქო საპროცესო წესები მოითხოვს განრიგის განსაზღვრას სასამართლოს მიერ. საოჯახო საპროცესო წესები ადგენს საზღვრებს, რომელთა ფარგლებშიც მოსამართლეები ითვალისწინებენ ადამიანის უფლებებს.

სახელმძღვანელო მითითება 5

მონიტორინგმა უნდა უზრუნველყოს, რომ სამართალწარმოების პასიური პერიოდები (ლოდინის დრო) არ იყოს გადაჭარბებულად ხანგრძლივი და, ასეთის არსებობის შემთხვევაში, კონკრეტული მცდელობები განხორციელდეს სამართალწარმოების დასაჩქარებლად და დაყოვნების კომპენსაციისათვის.[6]

კომენტარები და დანერგვის მაგალითები:

 ავსტრია – *ლინცის რაიონული სასამართლო* – თითოეული საქმე, რომელთან დაკავშირებითაც ელექტრონულ რეესტრში 3 თვეზე მეტხანს არ გაკეთებულა ახალი

[6] უმოქმედობის პერიოდებისთვის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევის ვალდებულების დაკისრება სასამართლოებსა და სხვა სახელმწიფო ხელისუფლებაზე ასევე გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან, რომელიც უკავშირდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს;

ჩანაწერი, ავტომატურად ხვდება საკონტროლო სიაში. სია ყოველთვიურად ეგზავნებათ სასამართლოს დირექტორს, მოსამართლეებსა და თანამშრომლებს კონტროლის მიზნებისათვის.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 11).

ავსტრიამ აღნიშნული ზომა ძალაში დატოვა 2015 წლის მარტში.

 ჩეხეთის რესპუბლიკა – *პრაღის რაიონი* – ფუნქციონირებს ვადების ელექტრონული მცველის პროექტი. სასარგებლო იქნებოდა არსებული საინფორმაციო სისტემის გაფართოება ვადების მცველში განცხადების წარდგენის შესაძლებლობის დამატებით, ანუ ინფორმაციულ სისტემაში განცხადების გაკეთებით, რათა მოსამართლეს ეცნობოს ე.წ. სარისკო ვადების მქონე დავებსა ან საქმეებზე, რომლებიც უნდა დამუშავდეს (ანუ გადაწყვეტილება დაიწეროს და ა.შ. თუ, მაგალითად, 2 თვეზე მეტხანს არ განხორციელებულა პროცედურული მოქმედება, ან საქმე 2 წელზე მეტი ხნისაა და საჭიროებს სპეციალურ ყურადღებას). როცა მოსამართლე კომპიუტერს რთავს, ასეთი საქმეები მონიშნული უნდა იყოს გამოკვეთილი ფერით. ასე თითოეულ მოსამართლეს შეეძლება გაეცნოს მდგომარეობას საკუთარი საქმეების შესახებ. ერთ-ერთი პროექტი მიზნად ისახავს ინფორმაციული ტექნოლოგიების პროგრამის ისე გაფართოებას, რომ იზრუნოს ძველ საქმეებზე. ეს გულისხმობს, რომ პროგრამას შესაძლებლობა ექნება, დანიშნოს პრაღის N1 საპილოტე რაიონული სასამართლოს მოსამართლეები, რომლებიც ამ პროექტში მონაწილეობის სურვილს გამოთქვამენ და მიაწოდოს ინფორმაცია იმ საქმეებზე, რომლებიც 1 ან 2 თვეზე მეტია უმოქმედოდაა. მას შემდეგ, რაც პროექტი დაადასტურებს მის სარგებლიანობას და დადებს დადებით შედეგებს (როგორიცაა ძველი საქმეების რაოდენობის შემცირება), იგი გავრცელდება სხვა სასამართლოებშიც.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1,გვ. 6).

 ჩეხეთის რესპუბლიკა – *პრაღის რაიონი* – ძველი საქმეების (3 წელზე მეტი ხანგრძლივობის) პერიოდულ კონტროლს (ყოველ 6 თვეში) ახორციელებს თითოეული სასამართლოს პრეზიდენტი. ყველა მოსამართლე ვალდებულია, შესაბამისი დასაბუთება წარმოადგინოს. პრეზიდენტს აქვს სათანადო ზომების მიღების უფლებამოსილება, რაც, ჩვეულებრივ, გულისხმობს მოსამართლისთვის მითითების მიცემას, არ დააყოვნოს საქმე. არსებობს კონტროლის სხვა მექანიზმებიც უფრო მაღალი ინსტანციის სასამართლოებისა და იუსტიციის სამინისტროს მხრიდან.

(წყარო: “საუკეთესო პრაქტიკის” კრებული სასამართლოს დროის მართვაზე”, CEPEJ (2006), 13, გვ. 9).

 ფინეთი – *სადაზღვევო დავების განმხილველი სასამართლო* – მოქმედებს ვადების საგანგაშო სისტემა, როგორც სამუშაოს დაგეგმვის ინსტრუმენტი და დახარჯული დროის გათანაბრების, ასევე, 12 თვეზე მეტხანს გადაუწყვეტელ საქმეთა რაოდენობის შემცირების მნიშვნელოვანი საშუალება. ის განსაკუთრებულ მიზნად ისახავს მეტისმეტი დაყოვნების პერიოდების აღმოფხვრას ცალკეულ საქმეებში. სისტემა შემუშავდა შუქნიშნის იდეაზე დაყრდნობით და შედგება ორი დონისგან: ქვედა საგანგაშო დონე (როდესაც საქმე უახლოვდება კონკრეტული ფაზისთვის განსაზღვრულ ვადებს) და ზედა საგანგაშო დონე (როდესაც საქმეში ირღვევა კონკრეტული ფაზისთვის განსაზღვრული ვადები). საკონტროლო პუნქტებისთვის ვადები და საგანგაშო დონეები ცალ-ცალკე შემუშავდა პრიორიტეტული (საქმეზე გასაწევი მთლიანი სამიზნე დრო 5 თვე) და სხვა დანარჩენი საქმეებისთვის (საქმეზე გასაწევი მთლიანი სამიზნე დრო 12 თვე). საგანგაშო სისტემის სიმბოლოებისა და სიების დახმარებით, პირს შეუძლია, მარტივად აკონტროლოს საკუთარი მდგომარეობა და ადვილად დაგეგმოს სამუშაო, საქმის წარმოებაში ყოფნის დროის გათვალისწინებით. ასევე, მონაცემთა სისტემა შესაძლებლობას აძლევს მენეჯერებს, მონიტორინგი გაუწიონ გადაუწყვეტელი საქმეების ზოგად მდგომარეობას ონლაინ რეჟიმში – ამგვარი საქმეების სია მონაცემთა ბაზაში ხელმისაწვდომია მთელი სასამართლოსთვის, დეპარტამენტების, ცალკეული პირებისა და თემატური ჯგუფებისთვის. საქმეები ასევე დაჯგუფებულია კომპლექსურობის, პრიორიტეტულობისა და მიღებული გადაწყვეტილებების ნიშნით. თუ რომელიმე საკონტროლო პუნქტში გადაუწყვეტელმა საქმემ რაიმე მიზეზით გადააჭარბა დადგენილ ვადებს, საქმის შემდგომ დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირისთვის მონაცემთა ბაზის საქმეთა ჩამონათვალში ჩნდება საგანგაშო სისტემის სიმბოლოები: ქვედა საგანგაშო დონის გადაცდომისას - ერთი ძახილის ნიშანი, ხოლო ზედა საგანგაშო ზღვრის გადაჭარბებისას - სამი. სია საქმეებს ჩამოთვლის საქმისწარმოების ხანგრძლივობისა და საგანგაშო დონეების დარღვევის გათვალისწინებით: პირველ რიგში, პრიორიტეტული საქმეები, სამი ძახილის ნიშნით და საქმისწარმოების ხანგრძლივობის მიხედვით, შემდეგ ჩვეულებრივი საქმეები სამი ძახილის ნიშნით და საქმისწარმოების ხანგრძლივობის მიხედვით და ა.შ. ამ სიმბოლოების გარდა, ჩამონათვალში ყოველდღიურად ახლდება საქმისწარმოების მთლიანი ხანგრძლივობა. სხვადასხვა სიმბოლოს გამოყენება ამარტივებს გადაუწყვეტელი საქმეების ზოგადი მდგომარეობის კონტროლს ისეთ საკითხებთან მიმართებით, როგორიცაა: საქმისწარმოების ზუსტი ხანგრძლივობა; ვადაგადაცილებული საქმეების რიცხვი; პრიორიტეტული და რთული საქმეების რაოდენობა.

(წყარო: Pekkanen, D. (2011), დაყოვნებების შემცირება მართლმსაჯულების სასამართლოებში – პროფესიულ საჯარო ორგანიზაციებში პროცესის გაუმჯობესების შესაძლებლობები და გამოწვევები, სადოქტორო ნაშრომი, Acta Universitatis Lappeenrantaensis, გვ. 135). [დამატებულია ოქტ. 14 (13)] "საგანგაშო სისტემა საქმის ყველა ეტაპზე".

 ფინეთი – *Turku-ს რეგიონული ადმინისტრაციული სასამართლო* – თითოეული საქმის ყველა საპროცესო ეტაპი აღირიცხება როგორც საქმის მართვის სისტემაში, ისე **დოკუმენტურად.** შესაძლებელია ლოდინის დროებზე მონიტორინგი და მისი ანალიზი.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 11).

ფინეთმა აღნიშნული ზომა ძალაში დატოვა 2014 წლის ოქტომბერში.

გარდა ამისა, ფინეთის სადაზღვევო დავების განმხილველი სასამართლოს შემთხვევაში მოქმედი საგანგაშო სისტემა ამჟამად გამოიყენება ყველა ადმინისტრაციულ სასამართლოსა და უმაღლეს ადმინისტრაციულ სასამართლოში. დაყოვნების სიმბოლო გახლავთ რომბი (♦). არსებობს 4 ეტაპი და 1-ელ და მე-2 ეტაპებს აქვთ ქვედა და ზედა საგანგაშო დონეები.

 ფინეთი –*Varsinais-Suomi-ის რაიონული სასამართლო* – თითოეული საქმის ყველა საპროცესო ეტაპი აღირიცხება როგორც საქმის მართვის სისტემაში, ისე დოკუმენტურად. შესაძლებელია ლოდინის დროებზე მონიტორინგი და მისი ანალიზი.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვის თაობაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 11).

 ფინეთი – *Rovaniemi-ის სააპელაციო სასამართლო* – მოქმედებს ზუსტად იგივე საგანგაშო სისტემა, რაც აღწერილია სადაზღვევო დავების განმხილველი სასამართლოს შემთხვევაში (იხ: ზემოთ). მასზე მონიტორინგს ახორციელებს როგორც კონკრეტული მოსამართლე, ისე სასამართლოს დირექტორი. თანამშრომელთა ყოველთვიურ თათბირებზე თითოეული მოსამართლე ვალდებულია, განმარტოს სამართალწარმოების დაყოვნების მიზეზები.

არსებობს განგაშის სისტემა საქმის თითოეული ეტაპისთვის.

მხარეებს შეუძლიათ დაჩქარებული სამართალწარმოების მოთხოვნა, რომელიც რეგულირებულია კანონმდებლობით.

 საქართველო – *თბილისის სააპელაციო სასამართლო* – ლოდინის დრო დაყვანილია მინიმუმამდე, რაც გულისხმობს, რომ სამართალწარმოებისას არ არსებობს უმოქმედობის მნიშვნელოვანი პერიოდები. თუ სამართალწარმოება ძალიან დიდხანს გრძელდება, ასეთი საქმეების იდენტიფიცირება და მათთან გამკლავება მარტივადაა შესაძლებელი საქმის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით. ამჟამად უმოქმედობის დრო კონტროლდება სწორედ ამ სისტემით, რომელიც გამოავლენს შესაბამის დარღვევებს.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1,გვ. 15).

 ირლანდია – ირლანდიაში უმაღლესი სასამართლო იყენებს საქმის მართვის სისტემას სამართალწარმოებისას დაყოვნებების შესამცირებლად. ის ფართოდ არის დანერგილი ისეთ საქმეებში, რომელთა სამართალწარმოებაც, სავარაუდოდ, დიდხანს გაგრძელდება, სისტემა კი შესაძლებელს ხდის ამ ხანგრძლივობის მნიშვნელოვნად შემცირებას. შესაგებლის მიღების შემდეგ, მოსამართლეს შეუძლია სადავო საკითხების დაზუსტება, სათანადო წინასასამართლო ზომების განსაზღვრა (მაგ.: მოკლვევის), მათი ფარგლების შეზღუდვა და მორგება სადავო საკითხებზე. შესაძლებელია როგორც წინასასამართლო პროცედურების, ისე უშუალოდ სასამართლო პროცესის განრიგის დადგენა, რათა ეს პროცესი, მტკიცებულებები და სამართლებრივი არგუმენტები შემოიფარგლებოდეს უშუალოდ სადავო საკითხებით. მოსამართლეს შეუძლია: განსაზღვროს მოსამზადებელი სხდომის დასრულების განრიგი, თუკი ის გაუმართლებლად ყოვნდება; მოსთხოვოს მხარეს დაყოვნების მიზეზების განმარტება, გამოიტანოს განჩინება ან გასცეს მითითება პროცესის დასაჩქარებლად; პროცესის მიმდინარეობით უკმაყოფილების შემთხვევაში, დაუშვებლად ცნოს არარელევანტურ ან გადაჭარბებულად ხანგრძლივ პროცესთან დაკავშირებული ხარჯები. საქმის მართვა შესაძლებელია საქმის მართვის კონფერენციებზეც, რომლებსაც ატარებს მოსამართლე და ესწრებიან მხარეთა იურისტები და წარმომადგენლები. ამ კონფერენციებს ნიშნავს მოსამართლე - მოსამზადებელ პერიოდის განმავლობაში; თუ აღნიშნულ ეტაპზე მოსამართლე კონფერენციას არ ჩანიშნავს, თითოეული მხარე უფლებამოსილია, მთავარ სხდომამდე ნებისმიერ დროს შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს ამგვარი კონფერენციის ჩანიშვნის თაობაზე. კონფერენციების ზოგადი მიზანია საქმის მომზადება მთავარი სხდომისთვის - სამართლიანი და დაჩქარებული გზით, ისე, რომ პროცესის ხარჯები მინიმუმამდე შემცირდეს. მოსამართლე ფოკუსირდება სამართალწარმოების დროულ მიმდინარეობაზე და მისი მზაობა, არ დაუშვას მსგავსი ხარჯები, მხარეებს უკარგავს საპროცესო მოქმედებებში (მაგ.: მოკვლევაში) ზედმეტად ჩართვის მოტივაციას. თითოეული საქმეში – იმისგან დამოუკიდებლად, ინიშნება თუ

არა საქმის მართვის კონფერენცია – ტარდება წინასასამართლო კონფერენცია, სადაც მოსამართლე განსაზღვრავს დარჩენილ ნაბიჯებს მთავარი სხდომისთვის მოსამზადებლად. მოსამართლემ უნდა დაადგინოს ამ სხდომის ხანგრძლივობა და მასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები. თუ მიაჩნია, რომ საქმე მზადაა მთავარი სხდომისთვის, იგი განსაზღვრავს თარიღს. მოსამართლეს შეუძლია მოსთხოვოს მხარეებს, გაეცნონ მთავარი სხდომის დოკუმენტაციას და შეთანხმდნენ მასზე.

(წყარო: "იუსტიციის საბჭოების ევროპული ქსელის 2010-2011 წლების ანგარიში დროულობის თაობაზე", გვ. 25)

 ლიტვა – *ვილნიუსის რეგიონული ადმინისტრაციული სასამართლო* – არ არის განსაზღვრული რეგულაცია ჩარევის შესაძლებობასთან დაკავშირებით. თუმცა, არსებობს სასამართლოს დირექტორის 3 თვეზე მეტხნიან უმოქმედო საქმეებზე ინფორმირების პრაქტიკა.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვის თაობაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 11).

სასამართლოს დირექტორი მონიტორინგს უწევს სამართალწარმოების ხანგრძლივობას საორგანიზაციო საქმიანობებზე მონიტორინგის გეგმის შესაბამისად. ეს შესაძლებელია ელექტრონულად, ლიტვის სასამართლოების საინფორმაციო სისტემის (LITEKO) გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოს ვადების მონიტორინგის ტექნიკურ გადაწყვეტას.

 ნორვეგია – *Frostating Lagmannsrett-ის სააპელაციო სასამართლო* – სასამართლო პროცესის ხანგრძლივობაზე მონიტორინგი და მისი შეფასება სტატისტიკური საშუალებების გამოყენებით ხორციელდება რეგულარულად, სულ მცირე, 3 თვეში ერთხელ.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 11).

 პოლონეთი – *ლუბლინის რაიონული სასამართლო, გადახდისუუნარობის დავების კომერციული სასამართლო* – გადახდისუუნარობის დავები, რომლებიც 3 წელზე მეტხანს გრძელდება, ყოველ თვე რეგულარულად გადაიხედება დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, ორდერს გამოსცემს მოსამართლეების სახელზე და მიუთითებს მათ, რომ მიიღონ გადაწყვეტილება საქმეზე. ეს არ გულისხმობს მითითებას დავის შინაარსობრივ მხარეზე, მხოლოდ და მხოლოდ ხაზს უსვამს გადაწყვეტილების მიღების საჭიროებას საქმეში არსებული დაყოვნებების

გამო. სისტემა მოიწონეს აღნიშნული დეპარტამენტის მოსამართლეებმა, ვინაიდან ის ეხმარება მათ პროცესის სათანადოდ ჩატარებაზე ზედამხედველობაში, ასევე, გავლენას ახდენს სამართალწარმოების უფრო სწრაფად დასრულებაზე. მისი დანერგვა შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ ამ დეპარტამენტის მოსამართლეებს უწევთ გადახდისუუნარობის 30-მდე დავის განხილვა, საიდანაც 5-10 საქმე 3 წელიწადზე მეტხანს გრძელდება. პროცესის ეფექტიანობის მხრივ, საქმეებზე დეპარტამენტის თავმჯდომარის მხრიდან მონიტორინგი უფრო უკეთესი გარანტიაა, ვიდრე ელექტრონული სისტემით მონიტორინგი, რომელიც განხორციელებულ ქმედებებს ყოველთვის სათანადოდ ვერ განმარტავს.

 შვეიცარია – *Dorneck-Thierstein-ის რაიონული სასამართლო (პირველი ინსტანციის სამოქალაქო და სისხლის სამართლის სასამართლო)* – Dorneck–Thierstein-ის რაიონული სასამართლო იყენებს საქმის მართვის შემდეგ წესებს: ყველა საქმისთვის უნდა განისაზღვროს შემდეგი ეტაპის ვადა. აღნიშნული ვადა შეიძლება იყოს როგორც გარე (მაგ.: შესაგებლის წარდგენის), ისე შიდა (მაგ.: პროცესის განახლების ან გაგრძელების). ეს უზრუნველყოფს, რომ არცერთი საქმე არ გაჩერდეს უმოქმედოდ. დამატებითი ზომის სახით, სასამართლოს კანცელარიისგან უფროსი კლერკი ყოველ 3 თვეში ითხოვს ყველა გადაუწყვეტელი საქმის სტატუსის კონტროლს. თუ გამოვლინდება ისეთი საქმე, სადაც ვადა არ არის განსაზღვრული, ის დგინდება შესაბამისად.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1,გვ. 43).

 გაერთიანებული სამეფო – *ცენტრალური ლონდონის სამოქალაქო მართლმსაჯულების ცენტრი* – იმ საქმეების შემთხვევაში, რომლებიც ექცევიან კლასიფიკაციაში "მცირე, საშუალო და დიდი", მომხმარებლებს სთხოვენ, წარმოადგინონ წინადადებები მიახლოებით ვადებსა და საქმის მართვასთან დაკავშირებით. მოსამართლეები, თავის მხრივ, ითვალისწინებენ ამ ინფორმაციას მითითებების განსაზღვრისას. ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს, რომ მხარეებს დროულად ჩაბარდეთ სასამართლო ორდერი, რათა შეძლონ ვადების დაცვა. ლოდინის დროებზე მონიტორინგი უნდა განახორციელოს ადმინისტრაციამ, როგორც ელექტრონულად შეგროვებული მონაცემების შემოწმებით, ისე ადგილობრივი ლოდინის დროების გათვალისწინებით, რომლებსაც ათანხმებენ მოსამართლეებთან და რომლებიც აკმაყოფილებს მომხმარებელთა საჭიროებებს. ამის მისაღწევად, ადმინისტრატორებმა უნდა უზრუნველყონ სასამართლოს დროის ხელმისაწვდომობა საქმეთა ჩამონათვალის განრიგის მიხედვით შესადგენად; თუკი არსებობს პრობლემები ამ ჩამონათვალთან დაკავშირებული ამოცანების გადაჭრის მხრივ, უნდა გამოიყენონ დამატებითი

რესურსებიც (ნახევარ განაკვეთზე მომუშავე მოსამართლეები), რათა ლოდინის დროები კვლავ მიზნებს შეესაბამებოდეს. ხანგრძლივი სასამართლო პროცესებისთვის, რომლებიც 1 ან მეტი დღე გრძელდება, ჩვენ შევიმუშავეთ სიის შედგენის პრაქტიკა. მისი მეშვეობით, დღე არ არის გადატვირთული სასამართლო სხდომებით. ეს ითვალისწინებს დავების გვიან გადაწყვეტის ტენდენციას და ამავდროულად უზრუნველყოფს, რომ ჩამონათვალი მუდამ შევსებული იყოს.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1, გვ. 35).

 გაერთიანებული სამეფო – *მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს სამეფო კარის განყოფილება* – სასამართლოში საქმის მართვისას მოსამართლე გადაწყვეტილებას იღებს იმ მხარესთან დაკავშირებით, რომლის მიზეზითაც გამოწვეულია დაყოვნება და მას სანქციებს აკისრებს, ან მიუთითებს მეორე მხარის ხარჯების ანაზღაურებაზე. თუ დაყოვნებაზე პასუხისმგებელია სასამართლო, შეიძლება განისაზღვროს კომპენსაცია დაყოვნების მიზეზით გამოწვეული დამატებითი ხარჯების დასაფარავად. გარდა ამისა, შესაძლოა, მოსამართლემ მხარეთა წარმომადგენლებს მიუთითოს დაყოვნებით გამოწვეული ხარჯების ანაზღაურება მეორე მხარისათვის, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, განუხილველად დატოვოს სარჩელი ან შესაგებელი და გადაწყვეტილება მიიღოს მეორე მხარის სასარგებლოდ. თუ დაყოვნებაზე პასუხისმგებელნი არიან სასამართლოს თანამშრომლები ანდა მენეჯმენტი, ამის იდენტიფიცირება მოხდება სასამართლო ანგარიშებით და აისახება თანამშრომელთა შეფასებაში, რაც პოტენციურად გავლენას მოახდენს მათ ანაზღაურებასა თუ დაწინაურების პერსპექტივაზე.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1,გვ. 6). 21

ინფორმაციის შეგროვება

სახელმძღვანელო მითითება 6

სასამართლოს მენეჯერებმა უნდა შეაგროვონ ინფორმაცია სამართალწარმოების ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპების შესახებ და აღრიცხონ ხანგრძლივობა მათ შორის.

ეტაპების მონიტორინგის მხრივ, სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს დროის მართვის საკონტროლო სიას, კერძოდ, მეოთხე ინდიკატორს.[7]

კომენტარები და დანერგვის მაგალითები

 ალბანეთი – *ტირანას რაიონული სასამართლო* – მონაცემები სხდომების ხანგრძლივობისა და გადადების შესახებ ხელმისაწვდომია ვებსაიტზე.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვის თაობაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 12).

 დანია – *Esbjerg-ის რაიონული სასამართლო* – სასამართლოს სტატისტიკას იყენებს სასამართლოს მენეჯერი, რათა შეაფასოს თითოეული საქმის დამუშავების დრო, ასევე, სასამართლოს პროდუქტიულობა, და მონიტორინგი გაუწიოს მათ.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 12).

 ესტონეთი – *ტალინის ადმინისტრაციული სასამართლო* – ესტონეთის სასამართლოები იყენებენ ეროვნულ დონეზე არსებულ სასამართლოს საინფორმაციო სისტემას (KIS), რომელიც საქმეებზე ონლაინმონიტორინგის საშუალებას იძლევა. მოსამართლესა და სასამართლოს პრეზიდენტს შეუძლიათ სამართალწარმოების ეტაპების რეალურ დროში შემოწმება. არსებობს რამდენიმე ასეთი ეტაპი: 1) წინსწარი, როდესაც სასამართლო გადაწყვეტილებას იღებს სარჩელის „recevabilité"-ის (დასაშვებობის) თაობაზე; 2) წერილობითი წინასასამართლო პროცედურა მხარეთა პოზიციებისა და მტკიცებულებების შესაგროვებლად; 3) სასამართლო სხდომა (ზეპირი ან წერილობითი); 4) გადაწყვეტილების გამოტანის თარიღის განსაზღვრა; 5) საქმეზე გადაწყვეტილების მიღება.

შესაძლებელია შეირჩეს მოსამართლე და შემოწმდეს, რამდენი საქმეა 1-ელ, მე-2, მე-3 და ა.შ. ეტაპებზე კონკრეტული მოსამართლისთვის. KIS საერთოა ყველა სასამართლოსთვის და, მსგავსი საქმისწარმოების მიზეზით სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში (პროცედურული ორდერის აპელაცია ან საქმისწარმოება იმავე დავაზე სხვა სასამართლოში), მარტივად შესაძლებელია წვდომა სხვა საქმისწარმოების თარიღზეც.

[7] დროის მართვის საკონტროლო სია (CEPEJ(2005)12Rev);

 ფინეთი – *Varsinais-Suomi-ის რაიონული სასამართლო* – თითოეული სასამართლო აქვეყნებს ყოველწლიურ ანგარიშს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას ვადებისა და გამოყენებული სტრატეგიების თაობაზე.

 ფინეთი – *Rovaniemi-ის სააპელაციო სასამართლო* – ყოველთვიური სტატისტიკა და, საჭიროების შემთხვევაში, ყოველდღიური თვალის მიდევნება.

 ფინეთი – *Turku-ს რეგიონული ადმინისტრაციული სასამართლო* – სტატისტიკა იწარმოება ყოველთვიურად და ეგზავნება სასამართლოს ყველა თანამშრომელს ელექტრონული ფოსტით.

მართლმსაჯულების სტატისტიკის ყოველწლიური პუბლიკაცია და სასამართლოს მიერ საქმიანობის შესრულების ყოველწლიური ანგარიში. ყოველწლიური ანგარიშები, რომლებიც ასახავს სტატისტიკას სხვადასხვა ტიპის დავის გადაუწყვეტლად ყოფნის დროებზე, ქვეყნდება ინტერნეტში.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვის თაობაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 12).

ფინეთმა აღნიშნული ზომები ძალაში დატოვა 2014 წლის ოქტომბერში.

 ფინეთი – *Varsinais-Suomi-ის რაიონული სასამართლო* – თითოეული სასამართლო აქვეყნებს ყოველწლიურ ანგარიშებს, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას ვადებისა და გამოყენებული სტრატეგიების შესახებ.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 12).

 საქართველო – *თბილისის სააპელაციო სასამართლო* – იყენებს საქმის მართვის საკუთარ ელექტრონულ სისტემას, რომელიც ხელმისაწვდომია სასამართლოს მენეჯმენტისთვის, ასევე, მოსამართლეების, თანამშრომლებისა და სასამართლოს მომხმარებლებისათვის (თუმცა, მოგვიანებით მათ წვდომა მხოლოდ საკუთარ საქმეზე ექნებათ და არა მთლიან მონაცემთა ბაზაზე). სამოქალაქო და ადმინისტრაციულსამართლებრივ დავებში სისტემა იყენებს პროგრესის 12-ეტაპიდან 10-ს, რომლებიც მოცემულია დროის მართვის საკონტროლო სიის მეოთხე ინდიკატორში. არ გამოიყენება მხოლოდ "v. მოსამზადებელი კონფერენციის ან წინასწარი სხდომის გამოყენება და დრო" და "vii. ტექნიკური ექსპერტიზის არსებობა და ხანგრძლივობა". სასამართლო ასევე არ იყენებს xiii-xvii ეტაპებს, ვინაიდან ისინი შეეხება საკასაციო წარმოებას.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1,გვ. 15).

 იტალია – *ბოლონიის სააპელაციო სასამართლო* – ითვალისწინებენ დაყოვნებებს მხოლოდ მსჯავრდებაზე გადაწყვეტილების დაწერის მხრივ - ანუ დროს ბოლო სხდომიდან გადაწყვეტილების დაწერამდე. მოსამართლეებს ამ საკითხთან დაკავშირებით აფასებს მაგისტრატ მოსამართლეთა უმაღლესი საბჭო. საქმის მართვის ელექტრონული სისტემის მეშვეობით შესაძლებელია თითოეული ეტაპის გაზომვა.

 ლატვია – *რიგის ცენტრალური რაიონის სასამართლო* – სასამართლო ადმინისტრაციას, სასამართლოს ყველა თანამშრომელს და სხვა სასამართლოებს აქვთ წვდომა სასამართლოს საინფორმაციო სისტემაზე, რომელშიც განთავსებულია მონაცემები საქმეებთან დაკავშირებით.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 12).

ლატვიამ აღნიშნული ზომა ძალაში დატოვა 2014 წლის ოქტომბერში.

 ნორვეგია – *Nedre Romerike Tingrett* – როგორც სხვა ნორვეგიული სასამრთლოები, ეს სასამართლოც იყენებს ეროვნულ დონეზე არსებულ ელექტრონულ სისტემას საქმის მიმდინარეობისთვის თვალის მისადევნებლად. ინფორმაციაზე ხელი მიუწვდებათ როგორც სასამართლოს ადმინისტრატორებს, ისე მოსამართლეებს. ჩვეულებრივ სამოქალაქოსამართლებრივ დავებში საქმის მართვის ელექტრონული სისტემა აღრიცხავს პროგრესის პირველ 11 ეტაპს, რომლებიც მოცემულია დროის მართვის საკონტროლო სიის მე-4 ინდიკატორში. სავარაუდოდ, ის მოიცავს სხვა ეტაპებსაც აღნიშნული სიიდან, თუმცა საპილოტე სასამართლო – კერძოდ, პირველი ინსტანციის სასამართლო – არ არის ჩართული საქმისწარმოების შემდგომ ეტაპებში. როგორც აღინიშნა, სისტემა ელექტრონულ გაფრთხილებებსაც აწარმოებს ვადების დარღვევის შემთხვევაში.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1,გვ. 36).

 სლოვენია – *Nova Gorica-ის რაიონული სასამართლო* – სტატისტიკა ქვეყნდება იუსტიციის სამინისტროს ყოველწლიურ ანგარიშში.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 12).

 ესპანეთი – *ბარსელონის no. 3 კომერციული სასამართლო* – ყოველ 3 თვეში თითოეული სასამართლო ვალდებულია, აწარმოოს გადაუწყვეტელი საქმეების სტატისტიკა, რომელსაც აქვეყნებს Consejo general del poder (სასამართლო საბჭო).

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 12).

 შვედეთი – *დასავლეთ შვედეთის სააპელაციო სასამართლო* – საქმის მართვის ელექტრონულ სისტემაში "Vera" შესაძლებელია საქმისწარმოების მონიტორინგი "სტატუსის ინდიკატორის" საშუალებით. ის აჩვენებს, რა ეტაპზეა საქმისწარმოება (მაგ.: დასრულდა თუ არა მოსამზადებელი სამუშაოები და თუ დაიგეგმა მთავარი სხდომა). სტატუსი ხელმისაწვდომია თითოეულ საქმეზე, თუმცა საჭიროებს განახლებას თანამშრომლების მხრიდან. ის კარგი ინსტრუმენტია თითოეული საქმისთვის; გარდა ამისა, ერთნაირსტატუსიან საქმეებზე ინფორმაციის მარტივად მიღების შესაძლებლობას იძლევა.

 გაერთიანებული სამეფო – საქმის მართვის სისტემა ხელს უწყობს ეტაპებს შორის პერიოდზე მონიტორინგს. ინფორმაცია მენეჯმენტისთვის შეიცავს მონაცემებს დაყოვნების მიზეზებზე (მაგ.: პროცესი გადაიდო მოთხოვნათა შეუსრულებლობის გამო, ექსპერტი არ იყო ხელმისაწვდომი და ა.შ.), რათა ხელი შეეწყოს უწყებათაშორის განხილვებს დაყოვნებების შემცირებასთან დაკავშირებით.

იხ: სახელმძღვანელო IC3, ნაწილი 2, გვ. 27, 23, სასამართლოებისთვის საქმის მონიტორინგის სისტემების მეტი მაგალითის გასაცნობად.

სახელმძღვანელო მითითება 7

შეგროვებული ინფორმაცია უნდა იყოს ხელმისაწვდომი, რათა მას ეფუძნებოდეს სასამართლოს ადმინისტრატორების, მოსამართლეების და მართლმსაჯულების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი ცენტრალური ხელისუფლების მუშაობა. სათანადო ფორმით ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს მხარეებისა და ფართო საზოგადოებისათვის.[8]

კომენტარები და დანერგვის მაგალითები

[8] მაგალითად, სასამართლოს ვებსაიტი.

 ავსტრია – *ლინცის რაიონული სასამართლო* – იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული სამართლებრივი კომუნიკაციის ელექტრონული პროგრამით შესაძლებელია საქმის ელექტრონულად წარდგენა და სასამართლოსა და მხარეებს შორის მონაცემების მიმოცვლა. თითოეული მოსამართლე იღებს შეჯამებულ ინფორმაციას, მათ შორის, გადაუწყვეტელი საქმეების რაოდენობაზე, ხანგრძლივობების მიხედვით (მაგ.: 1, 2 ან 3 წელზე მეტი ხნის საქმეები). ამ ინფორმაციის გამოყენებით სასამართლოს დირექტორები მუდმივად ახორციელებენ აქტივობებს, როგორიცაა საქმეების რაოდენობის ბალანსირება ან დისციპლინური წარმოების დაწყება. მხარეებს შეუძლიათ მოსთხოვონ სააპელაციო სასამართლოს ვადის განსაზღვრა საქმისწარმოების კონკრეტული ეტაპებისთვის, თუკი მიაჩნიათ, რომ მოსამართლის ქმედებები არ არის დროული.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 17).

ავსტრიამ აღნიშნული ზომა ძალაში დატოვა 2015 წლის მარტში.

 ფინეთი – *Varsinais-Suomi-ის რაიონული სასამართლო* – ელექტრონული სერვისები სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივ დავებში უზრუნველყოფს ინფორმაციისა და დოკუმენტების მიმოცვლას მხარეებსა და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემას შორის.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 17).

სასამართლო ყოველწლიურად აქვეყნებს ბეჭდურ ანგარიშს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას, მაგალითად, სხვადასხვა ჯგუფის დავებში საქმის დამუშავების დროის შესახებ.

 ფინეთი –*Rovaniemi-ის სააპელაციო სასამართლო* – სასამართლოს ადმინისტრაციასა და იუსტიციის სამინისტროს იმავე სტატისტიკურ სისტემაზე აქვთ წვდომა.

 ფინეთი – *Turku-ს რეგიონული ადმინისტრაციული სასამართლო* – ყოველწლიურად თანხმდება საშუალო (ოპტიმალური) ვადები თითოეული ტიპის დავისათვის. მხარეებს წლის დასაწყისში წერილობით ეცნობებათ საქმისწარმოების ვადებზე.

 უნგრეთი – *Veszprem-ის მუნიციპალური სასამართლო* – ზედა ინსტანციის სასამართლო მონიტორინგს უწევს ქვედა ინსტანციის სასამართლოს მოსამართლის ყოველთვიურ ანგარიშს და ყოველთვიურად ამოწმებს 2 წელზე მეტხნიანი დავების გადაწყვეტას.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 9).

 იტალია – *ბოლონიის სააპელაციო სასამართლო* – მხოლოდ რამდენიმე ნაბიჯის შესახებ ეცნობება ადმინისტრაციულ ხელმძღვანელს ან მოსამართლეებს. სტატისტიკურ სისტემაში დიდი რაოდენობით მონაცემი გროვდება დოკუმენტების ბრუნვაზე, საქმეების რაოდენობასა და ვადებზე. აღნიშნულ საინფორმაციო სისტემაზე წვდომა აქვს იუსტიციის სამინისტროსა და 26 რაიონს.

 ლატვია – *რიგის ცენტრალური რაიონული სასამართლო* – კვირაში ერთხელ სასამართლოს დირექტორი ატარებს შეხვედრებს მოსამართლეებთან დავების დროულად განხილვის მხრივ არსებული პრობლემებისა და მათი მოგვარების გზების განსახილველად. მოსამართლეები ანგარიშვალდებულნი არიან და შეიძლება დაეკისროთ დისციპლინური პასუხისმგებლობა პროცესის გაჭიანურებისათვის.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 9).

 ლატვია – სასამართლოები აგროვებენ ინფორმაციას სასამართლოს ელექტრონული საინფორმაციო სისტემის საშუალებით. მხარეები სისტემაში შედიან თავიანთი პაროლებით, რომლებსაც მათ აწვდის სასამართლო ადმინისტრაცია. ფართო საზოგადოება ამ სისტემას მხოლოდ ნაწილობრივ იყენებს/ეცნობა ზოგად ინფორმაციას სასამართლო დავების თაობაზე.

 მაროკო – *Agadir-ის ადმინისტრაციული სასამართლო* – არსებობს ტერმინალები, რომლებიც მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას, გაეცნოს და თვალი მიადევნოს საკუთარ საქმეს.

ყველა მაგისტრატი მოსამართლე და უფროსი (მათ შორის, სასამართლოს თავმჯდომარეობით გამართული შეხვედრის) კლერკი ესწრებიან გენერალურ ასამბლეას, რომელზეც განიხილება რამდენიმე საკითხი: წლის განმავლობაში ეფექტიანი მუშაობის ანალიზი; მომდევნო წლის გეგმები; მაგისტრატ მოსამართლეებს შორის სამუშაოს განაწილება.

 ნორვეგია – *Nedre Romerike Tingrett* – სასამართლო ბეჭდური სახით აქვეყნებს ყოველწლიურ ანგარიშს, რომლის გადმოწერაც შესაძლებელია ინტერნეტით.[9] გარდა ამისა, სასამართლოს ვებსაიტი მოიცავს დავის განხილვის საშუალო დროისა და

[9] იხ: http://www.domstol.no/DAtemplates/Article____13797.aspx?epslanguage=NO;

ნორვეგიის პარლამენტის მიერ დადგენილი ეროვნული სტანდარტების ზოგად მიმოხილვას. როგორც სასამართლოს თანამშრომლებს, ისე მის ეროვნულ ადმინისტრაციას აქვთ წვდომა ზემოაღნიშნულ ინფორმაციაზე.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1,გვ. 36).

 ნორვეგია – *Midhordland Tingrett District Court* – რაიონული სასამართლოს დირექტორი ყოველთვიურად ატარებს ინსპექტირებას და იღებს ყოველთვიურ სტატისტიკურ ანგარიშებს სასამართლოს მიერ საქმის დამუშავებისთვის გამოყენებული მთლიანი დროის თაობაზე. არსებობს პროცედურა, რომელიც მხარეებს საშუალებას აძლევს, მოსამართლის შესახებ საჩივარი წარადგინონ მოსამართლეთა სუპერვიზიის საბჭოში.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 9).

 შვეიცარია – *მართლმსაჯულების სასამართლოს ადმინისტრაციული პალატა* - ინფორმაცია საპროცესო ვადების შესახებ ქვეყნდება შემდეგ ვებსაიტზე: ge.ch/justice/duree-des-procedures-la-chambre-administrative.

 გაერთიანებული სამეფო – "Money Claim Online" მოქალაქეებსა და მეწარმე სუბიექტებს შესაძლებლობას აძლევს, ინტერნეტის საშუალებით შეიტანონ სარჩელი, თუკი დავის საგნის ღირებულება 150,000 ევრომდეა.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 17). 25

განგრძობითი ანალიზი

სახელმძღვანელო მითითება 8

ყველა შეგროვებული ინფორმაცია გამუდმებით უნდა გაანალიზდეს და გამოიყენებოდეს მუშაობის მონიტორინგისა და გაუმჯობესებისათვის.

კომენტარები და დანერგვის მაგალითები

 ფინეთი – *Varsinais-Suomi-ის რაიონული სასამართლო* – სასამართლოში მმართველი გუნდის შეხვედრებზე ყოველთვიურად განიხილება ანგარიშები ჩვეულებრივი სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი დავების შესახებ.

 საქართველო – *თბილისის სააპელაციო სასამართლო* – სასამართლოს მენეჯმენტს ყოველდღიურად მიეწოდება ინფორმაცია საქმეების მდგომარეობაზე და, საჭიროების შემთხვევაში, ტარდება შეხვედრები არსებული პრობლემების მოსაგვარებლად. სტატისტიკური მონაცემები თითოეული მოსამართლის მუშაობაზე ყოველთვიურად გროვდება და, მისი მნიშვნელოვნად შემცირების შემთხვევაში, ანალიზდება მიზეზები.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1,გვ. 15).

 იტალია – *ბოლონიის სააპელაციო სასამართლო* – სტატისტიკური ანგარიშები საქმის მართვასა და მოსამართლეების მუშაობაზე წარდეგინება ყოველ 3 თვეში ერთხელ.

 ლიტვა – *ვილნიუსის რეგიონული ადმინისტრაციული სასამართლო* – მისი დირექტორი და ლიტვის უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლო, მენეჯერებთან ერთად, მუდმივ მონიტორინგს უწევენ სასამართლო პროცესებს ვილნიუსის რეგიონულ ადმინისტრაციულ სასამართლოში. ამის გაკეთება შესაძლებელია ელექტრონულად, ლიტვის სასამართლოთა საინფორმაციო სისტემის (LITEKO) გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს სასამართლოს ვადების მონიტორინგის ტექნიკურ გადაწყვეტას.

 ნორვეგია – *Nedre Romerike Tingrett* – სასამართლოში მმართველი გუნდის შეხვედრებზე ყოველთვიურად განიხილება ანგარიშები ჩვეულებრივი სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი დავების შესახებ. უძრავ ქონებასა და აღსრულებასთან დაკავშირებულ დავებზე ანგარიშები განიხილება კვარტალურად, ან უფრო ხშირად - როდესაც სპეციალური გარემოებები მოითხოვს. ამის მაგალითია მიმდინარე ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადახდისუუნარობის დავების რაოდენობის ზრდა. თუ გამოვლინდება მნიშვნელოვანი გადახვევა დროის გამოყენების მიზნებიდან, იდგმება შესაბამის ნაბიჯები (მაგ.: საქმეების გადანაწილება მოსამართლეებს შორის). ვინაიდან საპილოტე სასამართლოსთვის უმთავრესი ამოცანაა დავის სწრაფად განხილვა, მისი შესრულებისათვის ძალისხმევა გაიღება სტატისტიკისა და სხვა ინფორმაციის გასაანალიზებლად. როგორც აღინიშნა მაგალითში, ანალიზი არ შემოიფარგლება სტატისტიკური ინფორმაციით. სხვა მაგალითი: 2009 წელს ეროვნულ დონეზე პოლიციის თანამშრომელთა გაფიცვამ მნიშვნელოვნად შეანელა სისხლისსამართლებრივი საქმეების გამოძიება და გამოიწვია მათი დიდი რაოდენობით დაგროვება პოლიციაში. სისხლისსამართლებრივი საქმეების დიდი ნაკადის შემოდინებისადმი მზადყოფნისათვის, სასამართლო ცდილობს ინფორმაციის მიღებას პროგრესზე ადგილობრივ პოლიციასა და პროკურატურაში დაგროვებული საქმეების შემცირებასთან დაკავშირებით.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1,გვ. 36).

 შვედეთი – შვედეთის ყველა სასამართლომ დაიწყო საქმის მართვის ახალი ელექტრონული სისტემის "Vera" გამოყენება. "Vera"-ს მონაცემთა ბაზის საშუალებით შესაძლებელია ინფორმაციის შეჯერება სხვადასხვა მიზნებისთვის. SIV სისტემა (სტატისტიკა Vera-ში) იღებს ინფორმაცის Vera-დან და შეაჯერებს მონაცემებს სასამართლო ანგარიშების საფუძველზე. Vera-ში არსებული ყველა ინფორმაცია არა მხოლოდ სტატისტიკური ანგარიშების წარმოებისთვის გამოიყენება, არამედ იძლევა დამატებითი ანალიზების შესაძლებლობასაც სისტემაში არსებული ინსტრუმენტების გამოყენებით. მაგალითად, Vera-ში ძებნის ფუნქციის გამოყენებით შესაძლებელია ყველა იმ სამართალწარმოების ამსახველი შემაჯამებელი ანგარიშის წარმოება, სადაც მოცემულ დროს ჩართულია კონკრეტული პირი. Vera-ს საძიებო ფუნქციის გამოყენება, SIV ანგრიშებთან ერთად, შესაძლებელია სხვადასხვა მიზნებით (მაგ.: Excel-ის კალკულაციის ფუნქციებისთვის). მსგავსი პროცედურის მაგალითია მოდელი, რომელიც აჩვენებს, რამდენად აკმაყოფილებს ცალკეული სასამართლო ან დეპარტამენტი ადმინისტრაციულ ვადებს. Vera გამუდმებით ვითარდება და, როგორც ჩანს, იზრდება ახალი ინფორმაციის წარმოების შესაძლებლობები. ამ ეტაპზე მთავარი საკითხია საჭირო ინფორმაციის ტიპის განსაზღვრა.

(წყარო: "დროის მართვა მართლმსაჯულების სისტემებში: ჩრდილოეთ ევროპის კვლევა", CEPEJ (2007), გვ. 46).

შვედეთმა აღნიშნული ზომა ძალაში დატოვა 2014 წლის ოქტომბერში.

 შვეიცარია – *Dorneck-Thierstein-ის რაიონული სასამართლო (პირველი ინსტანციის სამოქალაქო და სისხლის სამართლის სასამართლო)* – Solothurn-ის კანტონიის სასამართლო ადმინისტრაციის კომისიის ზემდგომი სასამართლო, რომელიც ითხოვს რეგულარულ სტატისტიკასა და ჩამონათვალებს; სასამართლო ასევე აწარმოებს საკუთარ სტატისტიკას სასამართლო ადმინისტრაციის აპლიკაციის „JURIS 2011" გამოყენებით.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1,გვ. 43).

 გაერთიანებული სამეფო – *მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს სამეფო კარის განყოფილება* – მენეჯმენტისთვის საჭირო ინფორმაციის შეგროვების საფუძველზე ხელახლა ფასდება პრიორიტეტები და ნაწილდება რესურსები. სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებული და მენეჯმენტისთვის საჭირო ამ ინფორმაციის გარეშე

ვერ მოხერხდება პრობლემების იდენტიფიცირება და სამუშაოს შესრულების დონე კვლავაც გააგრძელებს კლებას.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1,გვ. 9).

 გაერთიანებული სამეფო – *Milton Keynes-ის საოლქო სასამართლო* – იწარმოება და ანალიზდება ყოველთვიური ანგარიშები ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე და იდგმება შესაბამისი ნაბიჯები, რათა ადგილობრივმა მენეჯერებმა და სასამართლო გუნდებმა შეინარჩუნონ სამუშაოს შესრულების დონე, ან შეძლონ მისი გაუმჯობესება. სამოქმედო გეგმები გამოიყენება გაუმჯობესებათა დოკუმენტირებისა და მონიტორინგის მიზნით. საზოგადოებისთვის ქვეყნდება ეროვნული სტატისტიკა.

სახელმძღვანელო მითითება 9

ანგარიშები ანალიზის შედეგებზე უნდა მომზადდეს რეგულარული ინტერვალებით, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ და ერთვოდეს სათანადო რეკომენდაციები.

კომენტარები და დანერგვის მაგალითები

 იტალია – *ბოლონიის სააპელაციო სასამართლო* – სასამართლოს ხელმძღვანელი წელიწადში ერთხელ წერს ანგარიშს, სადაც აღნიშნავს დაგროვებული საქმეების რაოდენობის შემცირებას და გაწერს მომდევნო წლის ამოცანებს ამ საქმეების შემცირებასა და პროცესის ხანგრძლივობაზე (ანგარიში წარედგინება მაგისტრატი მოსამართლეების უმაღლეს საბჭოს, კანონმდებლობის შესაბამისად, რაც სავალდებულო პროცედურაა).

 ლიტვა – *ვილნიუსის რეგიონული ადმინისტრაციული სასამართლო* – ლიტვის უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლო, ვლინიუსის რეგიონული ადმინისტრაციული სასამართლო და სასამართლოების ეროვნული ადმინისტრაცია ყოველწლიურად აცხადებენ ვილნიუსის რეგიონულ ადმინისტრაციულ სასამართლოში სამართალწარმოების მონიტორინგთან დაკავშირებულ ძირითად მონაცემებს (იხ: სახელმძღვანელო მითითება 8).

 მაროკო – *Agadir-ის ადმინისტრაციული სასამართლო* – შეტყობინების ტაბლოები (როგორც შიდა, ისე გარე ინფორმაცია) და სტატისტიკა ხელმისაწვდომია მომხმარებლებისათვის.

 შვედეთი – სხვადასხვა ტიპის მიმდინარე საქმეების საშუალო ხანგრძლივობის, ასევე, 6 და 12 თვეზე მეტხნიანი დავების გათვალისწინებით, შვედეთის სასამართლოების ეროვნული ადმინისტრაცია შეიმუშავებს სტატისტიკასთან დაკავშირებულ შემდგომ ღონისძიებებს. სასამართლოების ეროვნული ადმინისტრაცია ასევე ეხმარება სასამართლოს იმ ინსტრუმენტების შემუშავებაში, რომლებიც ხელს უწყობს მათი საქმიანობისა და მისი შემდგომი ღონისძიებების დაგეგმვას. სასამართლოები თავადაც ახორციელებენ ამ ღონისძიებებს და მათი უმეტესობა ანგარიშებს წარადგენს კონკრეტულ ვადაში გადაუწყვეტელ დავებზე. ამ ანგარიშებიდან შესაძლებელია ინფორმაციის მიღება, მაგალითად, დაყოვნების მიზეზებზე.

(წყარო: "დროის მართვა მართლმსაჯულების სისტემებში: ჩრდილოეთ ევროპის კვლევა", CEPEJ (2007) გვ. 18).

შვედეთმა აღნიშნული ზომა ძალაში დატოვა 2014 წლის ოქტომბერში.

 შვეიცარია – *Dorneck-Thierstein-ის რაიონული სასამართლო (პირველი ინსტანციის სამოქალაქო და სისხლის სამართლის სასამართლო)* – სტატისტიკა რეგულარულად იწარმოება სასამართლოში. მოგვიანებით ხორციელდება შესაძლო ქმედებები. 3 თვეში ერთხელ ყველა საქმე მოწმდება ვადებთან მიმართებით და, საჭიროების შემთხვევაში, განისაზღვრება ეს ვადები. წელიწადში ერთხელ სასამართლო ადმინისტრაცია ყოველწლიურ ანგარიშს წარუდგენს ზედამხედველ ორგანოს (Solothurn-ის კანტონიის პარლამენტი). სასამართლო ადმინისტრაციის ანგარიში მენეჯმენტის თაობაზე შეიცავს ინფორმაციას, რომ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდენტმა და სასამართლოს ადმინისტრატორმა მოინახულეს რაიონული სასამართლო და წლიურ ხელშეკრულებაზე დაყრდნობით განიხილეს საქმის მართვა 2009 წლისათვის. ანგარიში ასევე შეიცავს რეკომენდაციებს იმ დავების უფრო სწრაფად დასრულებაზე, რომლებიც 2 წელზე მეტია არ გადაწყვეტილა.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1,გვ. 43).

 შვეიცარია - საქმიანობის მართვის აპლიკაცია „JURIS" შეიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას საქმის ხანგრძლივობის გასაკონტროლებლად და იძლევა საჭირო სტატისტიკის წარმოების შესაძლებლობას. მართლმსაჯულების ანგარიში შეიცავს ზოგად სტატისტიკას საქმესა და Dorneck-Thierstein-ის რაიონული სასამართლოს დროის მართვაზე, როგორიცაა ბიზნესსამართალსა და სამოქალაქო სამართალთან, ასევე,

სისხლის სამართალთან დაკავშირებული სტატისტიკა და ინდიკატორები, განსაკუთრებით, წარმოების ხანგრძლივობასთან მიმართებით.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1,გვ. 40). 28

განსაზღვრული მიზნები

სახელმძღვანელო მითითება 10

ზედა დონეზე (ეროვნულ, რეგიონულ) დადგენილი სტანდარტებისა და მიზნების გარდა, უნდა არსებობდეს ცალკეული სასამართლოების დონეზე განსაზღვრული ამოცანები. სასამართლოს მენეჯერებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი უფლებამოსილება და ავტონომია, რომ აქტიურად განსაზღვრონ ეს მიზნები, ან მონაწილეობა მიიღონ ამ პროცესში.

კომენტარები და დანერგვის მაგალითები (ასევე, 1-ელ სახელმძღვანელო მითითებასთან დაკავშირებული მაგალითები)

 ესტონეთი – *ტალინის ადმინისტრაციული სასამართლო* – მთავრობამ სასამართლოებს განუსაზღვრა მიზანი, რომ მიაღწიონ განხილვის 100-დღიან მაჩვენებელს, რისთვისაც ტალინის ადმინისტრაციულმა სასამართლომ დაადგინა შიდა ამოცანები და წესები:

1. მოსამართლემ საქმისწარმოება უნდა დაიწყოს სარჩელის შეტანიდან 30 დღის განმავლობაში;
2. არცერთი დავა არ უნდა განიხილებოდეს წელიწადზე მეტხანს. როდესაც ობიექტური გარემოებები მოითხოვს უფრო ხანგრძლივ წარმოებას, მოსამართლემ და სასამართლოს პრეზიდენტმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ მას. მონიტორინგი დადგენილია იმაზე დაყრდნობით, თუ როგორ მუშავდება საქმე;
3. დავებს, რომლებიც 2 წელი ან მეტია არ გადაწყვეტილა, მიენიჭებათ სპეციალური სტატუსი. თავად საქაღალდეს ექნება ახალი ყდა (მაგ.: კაშკაშა წითელი), რომელიც მუდმივად შეახსენებს მოსამართლესა და თანამშრომლებს, რომ აღნიშნული დავის სწრაფი დამუშავება არსებითი მნიშვნელობისაა;
4. მოსამართლეთა პლენარულ სესიაზე განისაზღვრა შიდა მიზნები.

 ნორვეგია – *Nedre Romerike Tingrett* – თავის წლიურ გეგმაში სასამართლო ნათლად ასრულებს საქმის დამუშავების ეროვნულ სტანდარტებს; გარდა ამისა, გარკვეული მოცულობით კიდევ უფრო მეტად აზუსტებს მათ. როდესაც კონკრეტულ სფეროსთან დაკავშირებით არ არსებობს ეროვნული სტანდარტი, სასამართლო ავსებს დროის გამოყენების საკუთარი ამოცანებით. სასამართლოს წლიურ გეგმაში განსაზღვრული მიზნის მიხედვით, ყველა ჩვეულებრივი სამოქალაქოსამართლებრივი დავის 95% უნდა განიხილონ 180 დღეში, ყველა მცირე დავის 75% კი – 90 დღეში. საპილოტე სასამართლოს ასევე აქვს ზოგადი ამბიცია, რომ საუკეთესო იყოს ნორვეგიის პირველი ინსტანციის სასამართლოებს შორის დავების სწრაფად განხილვის თვალსაზრისით. ეროვნული სტატისტიკა გამოიყენება სხვა სასამართლოებთან შედარებისათვის.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1, გვ. 37).

 გაერთიანებული სამეფო – *მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს სამეფო კარის განყოფილება* – ადგილობრივი მიზნები დგინდება სასამართლოს ოფისის სხვადასხვა დანაყოფისთვის. კონკრეტული ტიპის საქმიანობისთვის შეიძლება განისაზღვროს დასრულების ვადები და იწარმოებოდეს ყოველდღიური ანგარიშები მათ მიმდინარეობაზე მონიტორინგის მიზნით. ინფორმაცია გამოიყენება მაქსიმალური ეფექტიანობის მისაღწევად რესურსების ადგილობრივად განაწილების მხრივ.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1,გვ. 8).

სახელმძღვანელო მითითება 11

მიზნები ნათლად უნდა განსაზღვრავდეს შესასრულებელ ამოცანებს და იყოს მიღწევადი. ისინი უნდა გამოქვეყნდეს და პერიოდულად გადაფასდეს.

კომენტარები და დანერგვის მაგალითები

 ნორვეგია – *Nedre Romerike Tingrett* – დროის გამოყენების ეროვნული ამოცანები მტკიცდება ან რეგულარულად გადაიხედება ეროვნული ხელისუფლების მიერ (პარლამენტი, იუსტიციის სამინისტრო, სასამართლოების ეროვნული ადმინისტრაცია).

ეს ადმინისტრაცია ყოველ 6 თვეში აწარმოებს ანგარიშებს პირველი ინსტანციის ყველა სასამართლოს შესახებ. წელიწადში ერთხელ სასამართლო წარუდგენს ანგარიშს სასამართლოს ეროვნულ ადმინისტრაციას ყოველწლიური გეგმით განსაზღვრული მიზნების შესრულებაზე, ასევე, კომენტარებსა და განმარტებებს ტექსტში მოცემულ გრაფიკებთან დაკავშირებით. ყოველწლიური ანგარიში შეიცავს რეკომენდაციებს სხვა საკითხებზეც.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1,გვ. 37).

 შვეიცარია – *Dorneck-Thierstein-ის რაიონული სასამართლო (პირველი ინსტანციის სამოქალაქო და სისხლის სამართლის სასამართლო)* – Dorneck-Thierstein-ის რაიონული სასამართლოს შეთანხმებული მიზნები გაიწერება ყოველწლიურ ხელშეკრულებაში. ისინი შედგება ინდივიდუალური ამოცანებისა (როგორიცაა, თანამშრომლების სამომავლო როტაციასთან გამკლავება) და ინდიკატორებისგან (დავების გადაწყვეტის კოეფიციენტები და ხანგრძლივობები). წინა წლის ანგარიშებიდან ნათელია, რომ ამოცანები რეალისტურია. მიზნები არ გამოქვეყნდება. გამოქვეყნდება მხოლოდ სასამართლოს მუშაობაზე ინფორმაცია (დავების გადაწყვეტის კოეფიციენტები და ხანგრძლივობები) - კერძოდ, ყოველწლიურ და 6-თვიან ანგარიშებში, ასევე, ანგარიშებში საქმის მიმდინარეობის შესახებ. ყოველწლიური ხელშეკრულების შინაარსი ყოველ წელს გადაიხედება და, საჭიროების შემთხვევაში, ხელახლა განისაზღვრება.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1,გვ. 44).

 გაერთიანებული სამეფო – *მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს სამეფო კარის განყოფილება* – ქვეყნდება ეროვნული მიზნები (და ინფორმაცია მათთან დაკავშირებულ სამუშაოზე), რომლებიც განისაზღვრება ყოველ წელს, წინა წლის შედეგების გადახედვის შემდეგ, და მიიჩნევა მიღწევადად. ზოგიერთ ადგილობრივ მიზანზე ასეთი ინფორმაცია ხელმისაწვდომია საზოგადოებისათვის, ასევე, სასამართლოს სხვა მომხმარებლებისთვის, და ის განიხილება მომხმარებელთა ჯგუფურ შეხვედრებზე.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1,გვ. 9).

 გაერთიანებული სამეფო – *ცენტრალური ლონდონის სამოქალაქო მართლმსაჯულების ცენტრი* – მიზნები მიღწევადად მიიჩნევა სამუშაო ნაკადების საქმის ტიპთან, სასამართლოს ხელმისაწვდომობასა და მნიშვნელობასთან მიმართებით შეფასების შედეგად. ჩამონათვლის შედგენის პოლიტიკა გადაიხედება რეგულარულად, ვინაიდან საკანონმდებლო ცვლილებები, ასევე, ცვლილებები სამუშაო ნაკადებისა და სასამართლო რესურსების მხრივ, ის ფაქტორებია, რომლებიც გადახედვის პროცესში გასათვალისწინებელია. პოლიტიკა უნდა გამოქვეყნდეს და სასამართლოს მომხმარებლებს ჰქონდეთ ინფორმაცია მიზნებისა და ამოცანების თაობაზე.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1,გვ. 11). 30

სახელმძღვანელო მითითება 12

შესაძლოა, სასამართლოს მუშაობა შეფასდეს მიზნებთან მიმართებით. თუ ისინი არ არის მიღწეული, მდგომარეობის გამოსასწორებლად უნდა გადაიდგას და განხორციელდეს კონკრეტული ნაბიჯები და ქმედებები.

კომენტარები და დანერგვის მაგალითები

 იტალია – *ბოლონიის სააპელაციო სასამართლო* – 2015 წელს იტალიის ყველა სააპელაციო სასამართლოში იქნებიან დამხმარე მოსამართლეები, რომლებიც ხელს შეუწყობენ დავების გადაწყვეტასა და დაგროვებულ საქმეთა რაოდენობის შემცირებას. აქამდე ბოლონიის სააპელაციო სასამართლოში გადაუწყვეტელ საქმეთა 40% (სამოქალაქოსამართლებრივ დავებში) ამ მდგომარეობაში იყო 3 წელზე მეტი ხნის განმავლობაში.

 შვეიცარია – *Dorneck-Thierstein-ის რაიონული სასამართლო (პირველი ინსტანციის სამოქალაქო და სისხლის სამართლის სასამართლო)* – დავების გადაწყვეტის კოეფიციენტები და ხანგრძლივობა განსაზღვრულია მიზნებად და გათვალისწინებულ იქნება ყოველწლიურ ანგარიშში, როგორც დამატებითი შედეგის მტკიცებულება. სამომავლოდ, სასამართლოსა და ზედამხედველ ორგანოს შორის განხილვებისას მოხდება შესაძლო ღონისძიებებზე შეთანხმება.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1,გვ. 44).

 გაერთიანებული სამეფო – *ცენტრალური ლონდონის სამოქალაქო მართლმსაჯულების ცენტრი* – სასამართლოს მუშაობა, პირველ რიგში, ფასდება ეროვნულ მიზნებთან მიმართებით. ადგილობრივი მიზნები ასევე გამოიყენება სამუშაოს შესრულების დონის გასაზომად. მომხმარებლის გამდმოსახედიდან, ისინი არანაკლებ მნიშვნელოვანია და ეროვნული და ადგილობრივი მიზნები ერთმანეთს უკავშირდება. მაგალითად, საქმის მართვის შუალედური სხდომისათვის მიზნის შეუსრულებლობამ შეიძლება იმოქმედოს ძირითად სხდომებზე და ცუდად აისახოს სასამართლოს მუშაობაზე.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1, გვ. 11).

 გაერთიანებული სამეფო – *Milton Keynes-ის საოლქო სასამართლო* – იწარმოება და ანალიზდება ყოველთვიური ანგარიშები ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე და იდგმება შესაბამისი ნაბიჯები ადგილობრივი მენეჯერებისა და სასამართლო გუნდების მუშაობის დონის შენარჩუნებისა ან გაუმჯობესებისათვის.

კრიზის მართვა

სახელმძღვანელო მითითება 13

სასამართლოს დონეზე დასახული მიზნებიდან მნიშვნელოვანი გადახვევის შემთხვევებში, უნდა არსებობდეს კონკრეტული ზომები პრობლემის მიზეზთა სწრაფად და ადეკვატურად აღმოფხვრისათვის.

კომენტარები და დანერგვის მაგალითები

 საფრანგეთი – *Poitiers-ის უმაღლესი ინსტანციის სასამართლო* – კრიზისული სიტუაციების მოსაგვარებლად, შეიძლება საჭირო გახდეს იურისდიქციული პროექტის შემუშავება, რომელიც გააერთიანებს ყველა სასამართლო აქტორს (მოსამართლეები, პროკურორები, კლერკები, ადვოკატები) *მიზნების შესახებ ხელშეკრულებებით.*

 შვეიცარია – *მართლმსაჯულების სასამართლოს ადმინისტრაციული პალატა* - ინდიკატორები აჩვენებდა, რომ მართლმსაჯულების სასამართლოს ადმინისტრაციული პალატა არ იყო კარგ მდგომარეობაში. ამის პასუხად, მართლმსაჯულების სასამართლოსა და კანონმდებლის პლენარულ სესიაზე გაიზარდა მაგისტრატი მოსამართლეების რიცხვი. გარდა ამისა, მენეჯმენტის კომისიამ 5 თვის ვადით მოხსნა შეზღუდვები რედაქტორის პოზიციაზე, რათა მოსამართლეებთან ერთად მოეგვარებინათ დაგროვებული საქმეების პრობლემა.

 შვეიცარია – *Dorneck-Thierstein-ის რაიონული სასამართლო (პირველი ინსტანციის სამოქალაქო და სისხლის სამართლის სასამართლო)* - ყოველწლიური ხელშეკრულებების მიხედვით, ინდიკატორები და იმ საქმეების ჩამონათვალი, რომლებიც 2 წელზე მეტია არ გადაწყვეტილა, წლის შუაში და ბოლოს უნდა წარმოადგინონ და, მნიშვნელოვანი გადახვევების შემთხვევაში, რაიონული სასამართლოს პრეზიდენტი დაუყოვნებლივ აცნობებს მიზეზებს ადმინისტრაციული სასამართლოს კომისიას. ამ ვალდებულების მიზანია გადახვევების ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირება და, საჭიროებისას, კონკრეტული ზომების დროულად მიღება.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1, გვ. 45).

 შვეიცარია – *მართლმსაჯულების სასამართლოს ადმინისტრაციული პალატა* – ინდიკატორები აჩვენებდა, რომ მართლმსაჯულების სასამართლოს ადმინისტრაციული პალატა არ იყო კარგ მდგომარეობაში. ამის პასუხად, მართლმსაჯულების სასამართლოსა და კანონმდებლის პლენარულ სესიაზე გაიზარდა მაგისტრატი მოსამართლეების რიცხვი. გარდა ამისა, მენეჯმენტის კომისიამ 5 თვის ვადით მოხსნა შეზღუდვები რედაქტორის პოზიციაზე, რათა მოსამართლეებთან ერთად მოეგვარებინათ დაგროვებული საქმეების პრობლემა.

 გაერთიანებული სამეფო – *მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს სამეფო კარის განყოფილება* – შედეგები ადგილობრივ მიზნებთან მიმართებით მიეწოდება მთავარ მენეჯმენტს. სასამართლოს მენეჯერი პასუხისმგებელია მიზნების შეუსრულებლობაზე და, ასეთის შემთხვევაში, ვალდებულია, შეიმუშაოს რეკომენდაციები და გეგმა ამის გამოსასწორებლად. მნიშვნელოვანია, რომ მენეჯერები იყვნენ პროაქტიულები და გამოსასწორებელი ქმედებები განახორციელონ რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1,გვ. 9).

 გაერთიანებული სამეფო – *Milton Keynes-ის საოლქო სასამართლო* – იწარმოება და ანალიზდება ყოველთვიური ანგარიშები ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე და იდგმება შესაბამისი ნაბიჯები მუშაობის დონის შენარჩუნებისა ან გაუმჯობესებისათვის. საოლქო სასამართლო კლასტერის ნაწილია, რომელიც მოქმედებს რეგიონში, ამ შემთხვევაში - სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონში. ადგილობრივ დონეზე პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ, სასამართლო იღებს განგრძობადი

გაუმჯობესების ზომებს პრობლემის მიზეზებისა და, შემდგომში, მისი მოგვარების გზების იდენტიფიცრებისათვის. თუ ეს წარუმატებელი აღმოჩნდება, კლასტერი - და, საჭიროების შემთხვევაში, რეგიონი - ერთად იმუშავებენ პრობლემის გადაწყვეტაზე სასამართლო გუნდებთან ერთად, აღდგენის გეგმების გამოყენებით.

დროის შეთანხმება მხარეებსა და ადვოკატებთან

სახელმძღვანელო მითითება 14

თუ შესაძლებელია, მოსამართლე უნდა ეცადოს, პროცესის ყველა მონაწილეს შეუთანხმოს პროცედურული კალენდარი. ამ მიზნების მიღწევაში მას უნდა ეხმარებოდეს სასამართლოს შესაბამისი თანამშრომლების (კლერკები) ჯგუფი და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება.

კომენტარები და დანერგვის მაგალითები (იხ: მსგავსი მაგალითები მე-2 ნაწილში, მე-2 და ID1 სახელმძღვანელო მითითებები გვ. 29.)

 ფინეთი – *Varsinais-Suomi-ის რაიონული სასამართლო* – პროცესის დასაწყისში მოსამართლე ვალდებულია, სამოქალაქოსამართლებრივი დავის ვადები განიხილოს ადვოკატებთან.

 საფრანგეთი – *სტრასბურგის უმაღლესი ინსტანციის სასამართლო* – ადვოკატთა ასოციაციასთან გაფორმდა შეთანხმება, რომელიც მიზნად ისახავს გადამისამართებულ საქმეთა რაოდენობის ზედა ზღვრის დადგენას.

 იტალია – *ტურინის პირველი ინსტანციის სასამართლო* – იტალიის სამოქალაქო პროცესის ბოლო რეფორმამ წამოწია პროცედურული კალენდრის საჭიროება მოსამართლის მიერ თითოეული სამართალწარმოების დაწყებისას, რა დროსაც მოსამართლე - ითვალისწინებს რა ადვოკატთა რჩევებს - „წინასწარ განჭვრეტს“ და „ვარაუდობს“, როდის განხორციელდება თითოეული პროცედურული საფეხური. გარდა ამისა, პრეზიდენტის მიერ გამოცემული სახელმძღვანელო მითითებების მიხედვით, თითოეული მოსამართლე ვალდებულია, დაეხმაროს მხარეებს დავების მორიგებით გადაწყვეტაში. ასეთ დროს მოსამართლე მხარეებს განუმარტავს დავის მორიგებით გადაწყვეტის უპირატესობებს.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1,გვ. 20).

 იტალია – *ბოლონიის სააპელაციო სასამართლო* – შესაძლებელია მნიშვნელოვანი გაუმჯობესება ახალი ტექნოლოგიების მხრივ. ICT უკვე დაინერგა და გამოიყენება პირველი ინსტანციის სასამართლოებში. სააპელაციო სასამართლოში მოსამართლეები უფრო ასაკოვნები არიან და შეიძლება მეტად ორჭოფობდნენ ახალი ტექნოლოგიების გამოყენებაზე.

 ლატვია – ელექტრონული საინფორმაციო სისტემის გამოყენებით, მოსამართლეებს შეუძლიათ პროცედურული კალენდრის შეთანხმება პროკურორებსა და ადვოკატებთან.

 მაროკო – *Agadir-ის ადმინისტრაციული სასამართლო* – სამმხრივი კვარტალური კომისია: სასამართლო (პრეზიდენტი, აღმასრულებელი მოსამართლე, უფროსი კლერკი, ბუღალტერი...), ადვოკატთა ასოციაცია (ასოციაციის პრეზიდენტი), მანდატური (რეგიონული ოფისის პეზიდენტი).

 ნორვეგია – მოსამართლე პასუხისმგებელია მთავარი სხდომის აქტიურ ხელმძღვანელობაზე. ეს გულისხმობს, რომ პროცესი კონცენტრირებული იყოს და ჩატარდეს სასამართლოს ან ჩართული მხარეების დროის ხარჯვის გარეშე. ნორვეგიაში წამოწეულია წინადადებები: პროცესის დასაწყისში მოსამართლემ ჩართულ მხარეებთან ერთად განიხილოს ვადები და დააზუსტოს სადავო საკითხთან, მტკიცებულებასა და სხვა ასპექტებთან მიმართებით არსებული ბუნდოვანებები; ასევე, სასამართლოებმა ორგანიზება გაუწიონ შეხვედრებს ადვოკატთა ადგილობრივი ასოციაციების წარმომადგენლებთან, რათა შეიქმნას საშუალებები, რომლებიც გააძლიერებს და ხელს შეუწყობს სამოქალაქოსამართლებრივი დავების დამუშავებას. ასევე შემოთავაზებულია, ადვოკატებთან ერთად დაიგეგმოს და შემუშავდეს სახელმძღვანელო მითითებები სამოქალაქოსამართლებრივ დავებში მოსამზადებელი სამუშაოსა და მთავარი სხდომების ჩატარებასთან დაკავშირებით. როცა მიიღება ახალი სახელმძღვანელო მითითებები, ან სხვა ცვლილებები განხორციელდება სასამართლო პრაქტიკაში, სასურველია, სასამართლოს წარმომადგენელი მონაწილეობდეს ადვოკატთა ადგილობრივი ასოციაციების წევრთა შეხვედრებში. მნიშვნელოვანია ადვოკატთა ჩართვა თანამშრომლობაში. გაკეთდა მოწოდებები სხვადასხვა სასამართლოს შორის თანამშრომლობაზე, რათა შემუშავდეს სახელმძღვანელო მითითებები საუკეთესო პრაქტიკის დასანერგად.

(წყარო:“დროის მართვა მართლმსაჯულების სისტემებში: ჩრდილოეთ ევროპის კვლევა”, CEPEJ (2007), გვ. 24).

 შვედეთი – საერთო სასამართლოებში სამართალწარმოების გათანამედროვეობის მიზნით, წარდგენილია წინადადება ცვლილებებზე შვედეთის საპროცესო კოდექსში,

რომლებიც შეეხება როგორც სამოქალაქო, ისე სისხლისსამართლებრივ დავებს. წინადადებების ნაწილი მოიცავს ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას. ჩართული მხრეები ან მოწმეები სასამართლო პროცესში მონაწილეობას მიიღებენ ვიდეოკონფერენციის გზით, სასამართლო დარბაზში მისვლის ნაცვლად. გადაწყვეტილების მიღებისას, შეუძლია თუ არა პირს ვიდეოკონფერენციაში ჩართვა, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს სხვა შემთხვევაში არსებული ხარჯები ან უხერხულობა, ასევე, ხომ არ ეშინია პირს სასამართლოში პირადად გამოცხადების. გარდა ამისა, მოწმის ჩვენება რაიონულ სასამართლოში ჩაიწერება ვიდეოფირზე. ამგვარი ჩანაწერის გამოყენება შემდეგ შესაძლებელია სააპელაციო სასამართლოში, რაც საშუალებას იძლევა, საქმის განხილვა შემოფარგლოს მხოლოდ იმ ფაქტებით, რომლებიც ცნობილი იყო პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის. ვიდეოტექნოლოგიის გამოყენება შეამცირებს სასამართლო სხდომის გადადების რისკს მოწმეებისა და მხარეების სასამართლო სხდომაზე გამოუცხადებლობის მიზეზით. ის ასევე გაამარტივებს სხდომებისა და სხვა მოსმენების დაგეგმვასა და ჩატარებას, რის შედეგადაც მივიღებთ უფრო სწრაფ სამართალწარმოებას. ასევე წარდგენილია წინადადება სასამართლოს შესაძლებლობაზე, დაუშვებლად ცნოს მტკიცებულება, როცა – ყველა გონივრული ძალისხმევის მიუხედავად – შეუძლებელია მტკიცებულების განხილვა და მეტად აღარ შეიძლება სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის დაყოვნება. სისხლისსამართლებრივ დავებში ნორმალური პროცედურაა მთავარი სხდომის გამართვა საქმეზე გადაწყვეტილების მიღებამდე. სამომავლოდ, რაიონულ სასამართლოს შესაძლებლობა ექნება, სისხლისსამართლებრივ საქმეებზე გადაწყვეტილება მიიღოს მთავარი სხდომის გამართვის გარეშე, თუკი არ არსებობს ჯარიმის გარდა სხვა სასჯელის დაკისრების მიზეზი (მაგალითად, მხარე არ მოითხოვს მთავარი სხდომის გამართვას ან ამ სხდომის ჩატარება საჭიროა სასამართლო მოკვლევის მიზნებისთვის).

(წყარო:“დროის მართვა მართლმსაჯულების სისტემებში: ჩრდილოეთ ევროპის კვლევა”, CEPEJ (2007), გვ. 42).

 შვედეთი *–დასავლეთ შვედეთის სააპელაციო სასამართლო* – გატარდა ზემოაღნიშნული შეთავაზებული საკანონმდებლო ცვლილებები (2008, EMR). როგორც აღწერილია მე-2 სახელმძღვანელო მითითებაში, არსებობს ვადების განსაზღვრის შესაძლებლობა თითოეულ სამოქალაქოსამართლებრივ დავაში. ეს ხშირად ხორციელდება მხარეებთან თანამშრომლობის საფუძველზე.

 შვეიცარია – *Dorneck-Thierstein-ის რაიონული სასამართლო (პირველი ინსტანციის სამოქალაქო და სისხლის სამართლის სასამართლო)* – ახალი საქმის მიღებისთანავე

შემდგომი ნაბიჯების დაგეგმვა უნდა დაიწყოს დაუყოვნებლივ და, შეძლებისდაგვარად, ჩართულ მხარეებთან შეთანხმებით.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1,გვ. 45).

 გაერთიანებული სამეფო – *მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს სამეფო კარის განყოფილება* – პროცესზე მხარეები ცხადდებიან პირადად, ან ტელეფონის საშუალებით ერთვებიან განხილვებში ვადებსა და სამომავლო სხდომებთან დაკავშირებით. თუ მხარე არ ესწრება სხდომას, სასამართლოს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ასევე, მან შეიძლება მიიღოს მხარეთა მიერ შემოთავაზებული მორიგების აქტი, რომელსაც განიხილავს და დასაშვებად ცნობს, თუკი გონივრულია; სხვა შემთხვევაში, მხარეებს მოეთხოვებათ სხდომაზე გამოცხადება.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1,გვ. 7).

 გაერთიანებული სამეფო – ვირტუალური სასამართლოები (ვიდეო და სატელეფონო კონფერენციები): ეს სქემა მოიცავს ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებას და ვიდეოკავშირს ციხეებსა და პოლიციის განყოფილებებთან. სატელეფონო კონფერენციები, ჩვეულებრივ, არ მიიღება მოწმეთა ჩვენებისათვის, რომელიც საჭიროა სადავო და საქმის მნიშვნელოვანი გარემოებების დასადგენად.

(წყარო: "იუსტიციის საბჭოების ევროპული ქსელის 2010-2011 წლების ანგარიში დროულობის თაობაზე", გვ.24). 34

სახელმძღვანელო მითითება 15

შეთანხმებული კალენდრიდან გადახვევები უნდა იყოს მინიმალური და შემოიფარგლებოდეს საპატიო შემთხვევებით. შეთანხმებული ვადების გაგრძელება შესაძლებელი უნდა იყოს მხოლოდ ყველა მხარის თანხმობით ან მართლმსაჯულების ინტერესების გათვალისწინებით.

კომენტარები და დანერგვის მაგალითები

 ჩეხეთის რესპუბლიკა – *პრაღის რაიონი* – მხარეთა მოთხოვნები ვადის გაგრძელების თაობაზე არ კმაყოფილდება, თუ შესაძლებელია საქმეში უკვე არსებული მტკიცებულებების გამოყენება (სამოქალაქო საპროცესო კანონის 95-ე მუხლის მე-2

ნაწილი). როცა საჭიროა ექსპერტის დასკვნა, სასამართლო განსაზღვრავს შესაბამის ვადას. დაყოვნების შემთხვევაში, იგი დაჟინებით შეახსენებს ექსპერტს, წარადგინოს დასკვნა. სხვა შემთხვევაში მას დაეკისრება ჯარიმა.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1,გვ. 4).

 დანია – *Esbjerg-ის რაიონული სასამართლო* – სამართალწარმოების განრიგის დასაგეგმად სასამართლო ნიშნავს შეხვედრებს პროკურორთან და დაცვის მხარის წარმომადგენელთან, რათა თავიდან აიცილოს არასაჭირო გადავადებები საქმისწარმოებისას.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 15).

 იტალია – *ტურინის პირველი ინსტანციის სასამართლო* – იტალიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 117-ე მუხლი მოსამართლეს შესაძლებლობას აძლევს, გაითვალისწინოს მხარეთა ქცევა საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას. ხანდახან ისე ხდება, რომ მხარე (ან მისი წარმომადგენელი) არ თანამშრომლობს სასამართლოს მიერ დანიშნულ ექსპერტთან, არ აწვდის მას მოთხოვნილ ინფორმაციას, ან ექსპერტს განუსაზღვრავს თარიღებს შენობის, დანადგარის და ა.შ. ინსპექტირებისათვის, თუმცა შემდეგ არ ესწრება პროცედურას. ასეთ გარემოებებში, მოსამართლე ითვალისწინებს ამ ფაქტებს და გადაწყვეტილებას იღებს იმ მხარის საწინააღმდეგოდ, რომელმაც არ ითანამშრომლა. იმავე კოდექსის 96-ე მუხლის ახალი რედაქციის მიხედვით, იმ ეტაპზე შესაბამისი შუამდგომლობის არარსებობის შემთხვევაშიც კი, მოსამართლე უფლებამოსილია, *ex officio* დააკისროს წაგებულ მხარეს თანხის (რომლის ოდენობასაც მოსამართლე განსაზღვრავს) მეორე მხარისთვის გადახდა, თუკი წაგებული მხარის სარჩელი ან შესაგებელი აშკარად დაუსაბუთებელია. შედარებით ასაკოვანი მოსამართლეები წარსული „შემწყნარებლური" პრაქტიკისკენ უფრო იხრებიან, თუმცა მე მჯერა, რომ მოსამართლეთა ახალ თაობას მეტი მზაობა ექნება, დააკისროს სანქციები არალოიალურ მხარეებსა და ადვოკატებს. კიდევ ერთხელ: სასამართლოს დირექტორის სპეციალური სახელმძღვანელო მითითებები ამ თემაზე სასარგებლო იქნება "შედარებით ძველი თაობის" მოსამართლეთა დასარწმუნებლად, რომ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინონ მხარეებისა და ადვოკატების ქცევა.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1,გვ. 30).

 ლატვია – *რიგის ცენტრალური რაიონული სასამართლო* – სხდომების გადადება ახალი თარიღების განსაზღვრის გარეშე დაუშვებელია.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 15).

ლატვიამ აღნიშნული ზომა ძალაში დატოვა 2014 წლის ოქტომბერში.

 ნორვეგია – *Nedre Romerike Tingrett* – სასამართლო საქმეების ადმინისტრატორები აქტიურად მუშაობენ საქმეების განრიგის შედგენაზე დადგენილი ვადებისა და მიზნების შესაბამისად. მოსარჩელის ან მოპასუხის წარმომადგენელი ადვოკატი უნდა ეტეოდეს საქმისწარმოების ოფიციალურ ვადებში. თუ ადვოკატი ხელმისაწვდომი არ არის, ადმინისტრატორები ითხოვენ საქმის სხვა საადვოკატო ფირმისთვის გადაცემას. სასამართლოს პრაქტიკა გადადებასთან დაკავშირებით შემზღუდველია და მეტწილად შემოიფარგლება ავადმყოფობის მიზეზით, რაც ექიმის ცნობით უნდა დასტურდებოდეს.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1,გვ. 38).

 შვეიცარია – *Dorneck-Thierstein-ის რაიონული სასამართლო (პირველი ინსტანციის სამოქალაქო და სისხლის სამართლის სასამართლო)* – მხარეთა შუამდგომლობა ვადის გაგრძელების თაობაზე, ჩვეულებრივ, კმაყოფილდება მხოლოდ ერთხელ (Solothurn-ის კანტონიის სამოქალაქო საპროცესო კანონის 81-ე მუხლი, 1966 წლის 11 სექტემბერი).

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1,გვ. 41).

 შვეიცარია – თუ საჭიროა ექსპერტიზა, ვადები განისაზღვრება ექსპერტთან შეთანხმებით (მათ შორის, სატელეფონო ინტერვიუთი). დაყოვნების შემთხვევაში, მას დაჟინებით შეახსენებენ, რომ წარადგინოს დასკვნა. ჩვეულებრივ, ექსპერტიზის დაყოვნება პრაქტიკაში იშვიათია. თარიღების დამთხვევისა და დაყოვნების თავიდან ასაცილებლად, სხდომების ვადები და დრო განისაზღვრება ადვოკატებთან შეთანხმებით.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1,გვ. 41).

ნაწილი 2

Saturn-ის სახელმძღვანელო მითითებების კომენტარები და დანერგვის მაგალითები

I. ზოგადი პრინციპები და სახელმძღვანელო მითითებები

ა. გამჭვირვალობა და წინასწარგანჭვრეტადობა

1. მართლმსაჯულების სისტემის მომხმარებლები ჩართულნი უნდა იყვნენ სასამართლო პროცესის დროის მართვაში;
2. მომხმარებლები ინფორმირებულნი უნდა იყვნენ და, საჭიროების შემთხვევაში, გაიარონ კონსულტაცია ყველა რელევანტურ ასპექტთან დაკავშირებით, რომლებიც გავლენას ახდენს სამართალწარმოების ხანგრძლივობაზე;
3. სამართალწარმოების ხანგრძლივობის წინასწარ განჭვრეტა მაქსიმალურად უნდა იყოს შესაძლებელი;
4. საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ზოგადი სტატისტიკური და სხვა მონაცემები სამართალწარმოების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით, დავის ტიპების მიხედვით.

ამ ეტაპზე არ არის იდენტიფიცირებული რაიმე კომენტარი და დანერგვის მაგალითი

ბ. ოპტიმალური ხანგრძლივობა

1. სასამართლო პროცესის ხანგრძლივობა უნდა იყოს სათანადო;
2. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი საჯარო ინტერესის საგანია სასამართლო პროცესის გონივრული ხანგრძლივობა. საქმისწარმოება არ უნდა გრძელდებოდეს მეტისმეტად დიდხანს. საქმისწარმოება ზოგიერთი გარემოებებისას არ უნდა იყოს ძალიან მოკლე, თუკი არასათანადო გავლენას მოახდენს მომხმარებლის სასამართლოზე წვდომის უფლებაზე;
3. სასამართლო პროცესის დროის მართვა – თუკი იგი არ განისაზღვრება თავად მომხმარებელთა ქცევით – უნდა იყოს მიუკერძოებელი და ობიექტური და თავიდან აიცილონ მნიშვნელოვანი განსხვავება მსგავსი საქმეების ვადებისგან;

4. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სამართალწარმოების მთლიან სათანადო ხანგრძლივობას – მისი დაწყებიდან მხარეთა მიზნების საბოლოო დაკმაყოფილებამდე, რომელთა მიღწევასაც ცდილობდნენ სასამართლო გზით.

ამ ეტაპზე არ არის იდენტიფიცირებული რაიმე კომენტარი და დანერგვის მაგალითი

გ. დაგეგმვა და ინფორმაციის შეგროვება

1. სამართალწარმოების ხანგრძლივობა უნდა დაიგეგმოს როგორც ზოგად (კონკრეტული ტიპის საქმეების ან ცალკეული ტიპის სასამართლოებში პროცესის საშუალო ხანგრძლივობა), ისე კონკრეტული სამართალწარმოების დონეზე;
ეს სახელმძღვანელო მითითება ერთ-ერთია Saturn-ის 15 პრიორიტეტს შორის.

2. მომხმარებლებს აქვთ უფლება, მათთან გაიარონ კონსულტაცია სამართალწარმოების დროის მართვისას და ყველა სამომავლო პროცედურული საფეხურის თარიღის ან დროის განსაზღვრისას;
ეს სახელმძღვანელო მითითება ერთ-ერთია Saturn-ის 15 პრიორიტეტს შორის.

3. სასამართლო პროცესის ხანგრძლივობაზე უნდა ხორციელდებოდეს მონიტორინგი ინფორმაციის შეგროვების ერთიანი და მკაფიოდ განსაზღვრული სისტემით. ამ სისტემამ სწრაფად უნდა შეძლოს როგორც ზოგად დონეზე სამართალწარმოების ხანგრძლივობასთან დაკავშირებული დეტალური სტატისტიკური მონაცემების წარმოება, ისე გადაჭარბებული და არაგონივრული ხანგრძლივობების ინდივიდუალური შემთხვევების დასაწყისშივე იდენტიფიცირება.

კომენტარები და დანერგვის მაგალითები (იხ: მსგავსი მაგალითები 1-ელ ნაწილში, მე-6 პრიორიტეტული სახელმძღვანელო მითითება).

კომენტარი: სახელმწიფოებმა უნდა დანერგონ GIC3, კერძოდ, სასამართლოებში ეროვნული, ერთიანი საინფორმაციო სისტემების შექმნით, რომლებიც უზრუნველყოფს მონიტორინგის შესაძლებლობას მთლიანად გამოყენებულ დროსა და ვადებზე. ისინი რელევანტურია Saturn-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვის თვალსაზრისით.

სასურველია, სისტემა გარკვეული თვალსაზრისით ერთიანი იყოს ევროპულ დონეზეც, რაც ევროპულ ინსტიტუციებს, როგორიცაა CEPEJ, შესაძლებლობას მისცემს, შეადაროს

მთელი ევროპის მასშტაბით გამოყენებული დრო. CEPEJ დროის გაზომვის ევროპული სტანდარტების შემუშავების პროცესშია.[10]

 ავსტრია - *ლინცის რაიონული სასამართლო* - თითოეული საქმე, რომელზეც ელექტრონულ რეესტრში 3 თვეზე მეტხანს არ გაკეთებულა ახალი ჩანაწერი, ავტომატურად ხვდება საკონტროლო სიაში. სია ყოველთვიურად ეგზავნებათ სასამართლოს დირექტორს, მოსამართლეებსა და თანამშრომლებს კონტროლის მიზნით.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 11).

ავსტრიამ აღნიშნული ზომა ძალაში დატოვა 2015 წლის მარტში.

 ჩეხეთის რესპუბლიკა - ჩეხეთის სასამართლოები იყენებენ საინფორმაციო სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს ყველა სახის ინფორმაციას პროცესთან დაკავშირებით, მათ შორის, სხვადასხვა პერიოდის ხანგრძლივობებზე. საპილოტე სასამართლო აპირებს წინადადების წარდგენას შემდეგ პროექტზე: არსებული საინფორმაციო სისტემის გაფართოება ისე, რომ აჩვენოს ყოველდღიური მიმოხილვა იმ საქმეებზე, რომლებიც დროის კრიტიკულ საზღვრებში იმყოფება ან უმოქმედოდაა, ანდა გადასცდა კონკრეტულ ვადას (1 თვე). მონაცემებს აგროვებენ იუსტიციის სამინისტროს სტატისტიკური ორგანოები. მართლმსაჯულების ანგარიში შეიცავს ზოგად სტატისტიკას საქმეებსა და პრაღის N1 რაიონული სასამართლოს დროის მართვასთან დაკავშირებით, კერძოდ, ისეთ სფეროებში, როგორიცაა: ბიზნესსამართალი, სამოქალაქო, სისხლის თუ საოჯახო სამართალი, ასევე, გადაწყვეტილებების აღსრულება (*ეს სტატისტიკა იწარმოება იუსტიციის სამინისტროს გადმოსახედიდან, არის შიდა, კონფიდენციალური და ჩეხურ ენაზე*). ძველი საქმეების (3 წელზე მეტი ხანგრძლივობის) პერიოდულ კონტროლს (ყოველ 6 თვეში) ახორციელებს თითოეული სასამართლოს პრეზიდენტი. ყველა მოსამართლე ვალდებულია, შესაბამისი დასაბუთება წარმოადგინოს. პრეზიდენტს აქვს სათანადო ზომების მიღების უფლებამოსილება, რაც, ჩვეულებრივ, გულისხმობს მოსამართლისთვის მითითების მიცემას, არ დააყოვნოს საქმე. არსებობს კონტროლის სხვა მექანიზმებიც უფრო მაღალი ინსტანციის სასამართლოებისა და იუსტიციის სამინისტროს მხრიდან. ეს სამინისტრო პასუხისმგებელია ინფორმაციის მოგროვებასა და გამოქვეყნებაზე.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1, გვ. 3 - 6).

---

[10] ამ კომენტარის ავტორია ბ-ნი ჯონ ჯონსენი;

 ჩეხეთის რესპუბლიკა *პრაღის რაიონი* – ფუნქციონირებს ვადების ელექტრონული მცველის პროექტი. სასარგებლო იქნებოდა არსებული საინფორმაციო სისტემის გაფართოება ვადების მცველში განცხადების წარდგენის შესაძლებლობის დამატებით, ანუ ინფორმაციულ სისტემაში განცხადების გაკეთებით, რათა მოსამართლეს ეცნობოს ე.წ. სარისკო ვადების მქონე დავებსა ან საქმეებზე, რომლებიც უნდა დამუშავდეს (ანუ გადაწყვეტილება დაიწეროს და ა.შ. თუ, მაგალითად, 2 თვეზე მეტხანს არ განხორციელებულა პროცედურული მოქმედება, ან საქმე 2 წელზე მეტი ხნისაა და საჭიროებს სპეციალურ ყურადღებას). როცა მოსამართლე კომპიუტერს რთავს, ასეთი საქმეები მონიშნული უნდა იყოს გამოკვეთილი ფერით. ასე თითოეულ მოსამართლეს შეეძლება, გაეცნოს მდგომარეობას საკუთარი საქმეების შესახებ. ერთ-ერთი პროექტი მიზნად ისხავს ინფორმაციული ტექნოლოგიების პროგრამის ისე გაფართოებას, რომ იზრუნოს ძველ საქმეებზე. ეს გულისხმობს, რომ პროგრამას შესაძლებლობა ექნება, დანიშნოს პრაღის N1 საპილოტე რაიონული სასამართლოს მოსამართლეები, რომლებიც ამ პროექტში მონაწილეობის სურვილს გამოთქვამენ და მიაწოდოს ინფორმაცია იმ საქმეებზე, რომლებიც 1 ან 2 თვეზე მეტია უმოქმედოდაა. მას შემდეგ, რაც პროექტი დაადასტურებს მის სარგებლიანობას და დადებს დადებით შედეგებს (როგორიცაა ძველი საქმეების რაოდენობის შემცირება), იგი გავრცელდება სხვა სასამართლოებშიც.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის თაობაზე CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1, გვ. 3 - 6).

 ფინეთი - *Turku-ს რეგიონული ადმინისტრაციული სასამართლო* - თითოეული საქმის ყველა საპროცესო ეტაპი აღირიცხება საქმის მართვის სისტემაში. მიმდინარეობს ლოდინის დროებზე მონიტორინგი და მისი ანალიზი.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 11).

 საქართველო - *თბილისის სააპელაციო სასამართლო* - თბილისის სააპელაციო სასამართლო ამ დროისთვის ერთადერთი სასამართლოა საქართველოში, რომელსაც აქვს საქმის მართვის საკუთარი ელექტრონული სისტემა და იყენებს მას. იგი შეიმუშავებს მნიშვნელოვან ორიენტირებს ყველა ტიპის საქმეებისთვის. ამგვარი ორიენტირები მოიცავს შემდეგ ასპექტებს:

- ხანდაზმულობის ვადა სარჩელის დასაშვებობისთვის;
- პირველი სხდომის ჩანიშვნის ვადები;
- გადაწყვეტილების დაწერის ვადები.

გარდა ამისა, ყველა პროცედურული ნაბიჯი და დოკუმენტი რეგისტრირდება ვებსაიტზე: შესაბამის გვერდზე აიტვირთება ყველა დოკუმენტი word-ის ფორმატში და მხარეებს – თავიანთი პაროლების გამოყენებით – შეუძლიათ საქმის მიმდინარეობაზე თვალის მიდევნება და დოკუმენტების word-ის ფორმატში გადმოწერა. ვადების გადაცილების შემთხვევაში, საქმეები ეკრანზე წარმოჩნდება წითელი ასოებით. შესაბამისად, ადვილად შეიძლება დადგენა, რომ საქმეს აქვს გარკვეული პრობლემა.

სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლია ინფორმაციის მოპოვება გაჭიანურებული საქმეების, მათი ხარისხისა და შინაარსის თაობაზე. თუ ვითარება ძალიან პრობლემურია, შეიძლება ჩატარდეს სპეციალური შეხვედრა გაჭიანურებული საქმეების მდგომარეობის განსახილველად.

დასკვნა - ამ ეტაპზე ზემოხსენებული ინტერვენცია მიიჩნევა საკმარისად, მაგრამ ყოველთვის არსებობს გაუმჯობესების შესაძლებლობა, რომელიც არ უნდა იქცეს ტვირთად მოსამართლისა თუ თანამშრომლებისთვის და სწრაფი სამართალწარმოების საჭიროებამ არ გადაწონოს სამართლიანი სასამართლოს, შეჯიბრებითი პროცესისა და ხარისხიანი გადაწყვეტილების საჭიროება.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1, გვ. 13).

 იტალია - *ტურინის პირველი ინსტანციის სასამართლო* - სასარგებლოა დაგროვებულ საქმეებსა და შემავალი თუ გადაწყვეტილი საქმეების სწორ თანაფარდობაზე მონიტორინგი. სამომავლოდ შეიძლება დაინერგოს ავტომატური მონიტორინგი იმ საქმეებზე, რომლებიც გრძელდება დადგენილ დროზე მეტხანს. სისტემამ შეიძლება ავტომატურად გაგზავნოს ერთგვარი "გაფრთხილება" მოსამართლეებისთვის (პირდაპირ ფოსტაზე), რისი საშუალებითაც ეცნობებათ შესაძლო პრობლემის თობაზე. ამჟამად მოსამართლეები ვალდებულნი არიან, პირადად იზრუნონ ამ ასპექტსა და სტატისტიკურ მონაცემთა მონიტორინგზე. ცხადია, ეს ხორციელდება კომპიუტერიზებული სისტემების დახმარებით, თუმცა, დღესდღეობით ინიციატივა მოსამართლისგან უნდა მოდიოდეს. ამ სასამართლოში, თუკი სამართალწარმოება გრძელდება 3 წელზე მეტხანს, პრეზიდენტის მიერ უფლებამოსილი ზოგიერთი თანამშრომელი აღნიშნულის თაობაზე ატყობინებს შესაბამის მოსამართლეს (ან მისი სექციის პრეზიდენტს). სამომავლოდ მნიშვნელოვანი იქნებოდა დროული გაფრთხილება – მანამდეც, ვიდრე ეს ვადები ამოიწურება.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1, გვ. 21).

 ლიტვა - *ვილნიუსის რეგიონული ადმინისტრაციული სასამართლო* - 3 თვეზე მეტხანს უმოქმედო საქმეების შესახებ ეცნობება სასამართლოს დირექტორს.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 12).

 ნორვეგია - *Frostating Lagmannsrett-ის სააპელაციო სასამართლო* - სამართალწარმოების ხანგრძლივობაზე ხორციელდება მონიტორინგი და რეგულარულად, სულ მცირე, 3 თვეში ერთხელ ფასდება სტატისტიკური საშუალებების გამოყენებით.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 12).

 ნორვეგია - *Nedre Romerike Tingrett* – ეროვნული ელექტრონული საქმის მართვის სისტემა (LOVISA) სამოქალაქოსამართლებრივ დავებში საქმის რეგისტრაციიდანვე აწარმოებს მნიშვნელოვან ორიენტირებს. ესენია:

- სარჩელის მოპასუხისთვის გადაგზავნის ვადა;
- მოპასუხის შესაგებლის მიღების ვადა;
- დაგეგმვის შეხვედრის ჩანიშვნის საბოლოო ვადა;
- მთავარი სხდომის ჩანიშვნის ვადა;
- გადაწყვეტილების დაწერის ვადა.

ამის შემდეგ სასამართლომ წარმოადგინა აღნიშნული ორიენტირების გამოყენება სამოქალაქოსამართლებრივი საქმეების დამუშავებისას, ასევე, თითოეულ საქმეზე მონიტორინგი ამ ორიენტირების შესაბამისად, იმ ყოველთვიური ანგარიშების საშუალებით, რომლებიც გენერირდება ელექტრონული საქმის მართვის სისტემიდან. ანგარიშები მოწმდება მთავარი მოსამართლისა და ადმინისტრატორის მიერ და თითოეულ მოსამართლეს ეგზავნება მათი საქმეების მიმდინარეობაზე ინფორმირებისათვის. მოსამართლეები ამ ანგარიშებს სასარგებლოდ მიიჩნევენ, თუმცა ზოგიერთმა მსუბუქად შენიშნა, რომ მათ გამო მცირე წნეხის ქვეშაც ექცევიან, და რომ გადაწყვეტილების ხარისხი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სისწრაფე. მთავარ მოსამართლეს აქვს ჩარევის უფლებამოსილება, თუკი დადგინდება მნიშვნელოვანი გადახვევა ორიენტირებიდან და არ არსებობს უფრო ფართო უფლებამოსილების მქონე პირთა ჩარევის საჭიროება.

სისხლისსამართლებრივ დავებში, ელექტრონული საქმის მართვის ეროვნული სისტემა აწარმოებს სტატისტიკას მხოლოდ საქმისწარმოების საშუალო დროსთან დაკავშირებით, რომელსაც სასამართლო იყენებს კვარტალური მონიტორინგისათვის.

თუმცა, ელექტრონული საქმის მართვის ეროვნული სისტემა შესაძლებლობას აძლევს თითოეულ სასამართლოს, ეროვნულის გარდა, განსაზღვროს საკუთარი ვადებიც.

საპილოტე სასამართლო ამ შესაძლებლობას იყენებს სამივე ტიპის საქმეებისთვის. მაგალითად, აღსრულებასთან დაკავშირებულ დავებში სასამართლომ განსაზღვრა შემდეგი ვადები:

- აღმასრულებელი ოფიცრის შეტყობინება მხარისათვის (მოვალესათვის);
- 1-თვიანი ვადა მოვალისთვის მოთხოვნების შესასრულებლად;
- გადაწყვეტილების მიღება ჩამორთმეული ქონების იძულებითი გაყიდვის თაობაზე;
- 4-თვიანი ვადა აღმასრულებელი ოფიცრისათვის ქონების გასაყიდად;
- 2-კვირიანი ვადა მხარეებისთვის ნასყიდობის გასაჩივრებისათვის.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1, გვ. 36). 39

 ნორვეგია - *Nedre Romerike Tingrett* - სასამართლოში მმართველი გუნდის შეხვედრებზე ყოველთვიურად განიხილება ანგარიშები ჩვეულებრივი სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი დავების შესახებ. უძრავ ქონებასა და აღსრულებასთან დაკავშირებულ დავებზე ანგარიშები განიხილება კვარტალურად, ან უფრო ხშირად - როდესაც სპეციალური გარემოებები მოითხოვს. ამის მაგალითია მიმდინარე ეკონომიკური კრიზისი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადახდისუუნარობის დავების რაოდენობის ზრდა. თუ გამოვლინდება მნიშვნელოვანი გადახვევა დროის გამოყენების მიზნებიდან, იდგმება შესაბამის ნაბიჯები (მაგ.: საქმეების გადანაწილება მოსამართლეებს შორის). ვინაიდან საპილოტე სასამართლოსთვის უმთავრესი ამოცანაა დავის სწრაფად განხილვა, მისი შესრულებისათვის ძალისხმევა გაიღება სტატისტიკისა და სხვა ინფორმაციის გასაანალიზებლად. როგორც აღინიშნა მაგალითში, ანალიზი არ შემოიფარგლება სტატისტიკური ინფორმაციით. სხვა მაგალითი: 2009 წელს ეროვნულ დონეზე პოლიციის თანამშრომელთა გაფიცვამ მნიშვნელოვნად შეანელა სისხლისსამართლებრივი საქმეების გამოძიება და გამოიწვია მათი დიდი რაოდენობით დაგროვება პოლიციაში. სისხლისსამართლებრივი საქმეების დიდი ნაკადის შემოდინებისადმი მზადყოფნისათვის, სასამართლო ცდილობს ინფორმაციის მიღებას პროგრესზე ადგილობრივ პოლიციასა და პროკურატურაში დაგროვებული საქმეების შემცირებასთან დაკავშირებით. სასამართლო აწარმოებს ყოველთვიურ სტატისტიკას და წლიურ ანგარიშებს.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1, გვ. 36).

 შვეიცარია - *Dorneck-Thierstein-ის რაიონული სასამართლო* - საქმიანობის მართვის აპლიკაცია „JURIS“ შეიცავს ყველა საჭირო ინფორმაციას საქმის ხანგრძლივობის გასაკონტროლებლად და იძლევა საჭირო სტატისტიკის წარმოების შესაძლებლობას. მართლმსაჯულების ანგარიში შეიცავს ზოგად სტატისტიკას საქმესა და Dorneck-Thierstein-ის რაიონული სასამართლოს დროის მართვაზე, როგორიცაა ბიზნესსამართალსა და სამოქალაქო სამართალთან, ასევე, სისხლის სამართალთან დაკავშირებული სტატისტიკა და ინდიკატორები, განსაკუთრებით, წარმოების ხანგრძლივობასთან მიმართებით.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1, გვ. 40).

დ. მოქნილობა

1. სასამართლო პროცესის დროის მართვა უნდა მოერგოს კონკრეტული სამართალწარმოების საჭიროებებს, მომხმარებელთა საჭიროებებისთვის განსაკუთრებული ყურადღების დათმობით.

კომენტარები და დანერგვის მაგალითები (იხ: მსგავსი მაგალითები 1-ელ ნაწილში, მე-2 და მე-4 პრიორიტეტული სახელმძღვანელო მითითებები).

 დანია - *Esbjerg-ის რაიონული სასამართლო* - დანიის სასამართლოები თითოეულ რაიონში რეგულარულად ატარებენ მომხმარებელთა გამოკითხვას. რამდენიმე საპილოტე სასამართლოში დაინერგა კვლევები, რომლებიც მიზნად ისახავს მომხმარებელთა ნდობისა და კმაყოფილების გაზომვას სასამართლოს მიმართ.

(წყარო: “საუკეთესო პრაქტიკის” კრებული სასამართლოს დროის მართვაზე”, CEPEJ (2006), 13, გვ. 8).

 ფინეთი - *Rovaniemi-ის სააპელაციო სასამართლო* - გარე კვლევის ინსტიტუტი შეაჯერებს სამოქალაქოსამართლებრივ დავებში აპელანტთა მოსაზრებების გამოკითხვებს.

(წყარო: “საუკეთესო პრაქტიკის” კრებული სასამართლოს დროის მართვაზე”, CEPEJ (2006), 13, გვ. 8).

 გაერთიანებული სამეფო - *მანჩესტერის საოლქო სასამართლო* - წელიწადში ტარდება 3 საჯარო გამოკითხვა.

(წყარო: “საუკეთესო პრაქტიკის” კრებული სასამართლოს დროის მართვაზე”, CEPEJ (2006), 13, გვ. 8).

2. ვადების ნორმატიულად განსაზღვრა კანონმდებლობით ან სხვა ზოგადი აქტებით ფრთხილად უნდა გამოიყენონ; ასეთ დროს გასათვალისწინებელია შესაძლო განსხვავებები კონკრეტულ საქმეებში. თუ ვადები განისაზღვრება კანონმდებლობით, საჭიროა მათი დაცვისა და სათანადოობის მუდმივი მონიტორინგი და შეფასება.

კომენტარები და დანერგვის მაგალითები

 ფინეთი - 2006 წელს ფინეთის იუსტიციის სამინისტროს გაუჩნდა იდეა, რომ სრულიად ახალი პერსპექტივა და ექსპერტული ცოდნა იყო საჭირო დაყოვნებებთან საბრძოლველად და სასამართლო სისტემის საქმიანობისა და პროცესების ახლებური გამოსავლების მოსაძებნად. ეს იდეა იქცა სასამართლო პროცესის გაუმჯობესების, ასევე, დაყოვნების შემცირების ინოვაციად, რომელსაც ყოველდღიური გამოყენებისას უწოდებენ „ლოჯისტიკის პროექტს“. ამ ინოვაციის მიხედვით, სასამართლო სისტემის პროცესები განიხილება და ანალიზდება სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინის პერსპექტივიდან, ასევე, ცოდნისა და იდეების შეჯერებით ინდუსტრიული მენეჯმენტისა და სამართლის სფეროებიდან. მის განსახორციელებლად, მკვლევართა ჯგუფმა Lappeenranta-ს ტექნოლოგიური უნივერსიტეტიდან (მიწოდების ჯაჭვი და ოპერაციების მენეჯმენტი) ჩამოაყალიბა პროცესის გაუმჯობესების გუნდები ჰელსინკის სააპელაციო და სადაზღვევო დავების განმხილველი სასამართლოების მენეჯმენტსა და თანამშრომლებთან ერთად. პროექტის მთავარი ეტაპები იყო:

ა) სასამართლოს სხვადასხვა სამუშაო დანაყოფის გადაუწყვეტელი საქმეების დეტალური ჩამონათვალის (ხანგრძლივობა, ტიპი და გადაუწყვეტელი საქმის სიდიდე) შემუშავება;

ბ) პროცესისა და გაუმჯობესების საჭიროებათა ანალიზი და შეფასება (მაგ.: ოპერაციული სტატისტიკა და ინტერვიუები);

გ) გაუმჯობესების ინიციატივების დაგეგმვა (ჯგუფურ სამუშაო შეხვედრებში);

დ) გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ქმედებების განხორციელება (მაგ.: პილოტირება-ტესტირება; ტრენინგი; პერსონალური ხელმძღვანელობა),

ე) გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ქმედებების შეფასება (მაგ.: ინტერვიუები, რიცხობრივი ანალიზი, ცვლილებების საჭიროება).

ლოჯისტიკის პროექტის შედეგად, სასამართლოები იყენებენ ახალ სამუშაო და მართვის პროცედურებს, რომელთაც დიდი გავლენა იქონიეს პროცესის ეფექტიანობაზე. ახალი პროცედურები მოიცავს შემდეგ ასპექტებს:

ა) წარმოების დაგეგმვის ახალი პრაქტიკა პროექტის მრავალმხრივი კონტროლის გამოყენებით. შემუშავდა სამუშაოს დაგეგმვის ახალი პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც საქმეებს ეპყრობიან როგორც პროექტებს. საქმეში საპროცესო განრიგი გაიწერება მისი მიღებისთანავე და საქმისწარმოება იგეგმება ამ განრიგის შესაბამისად;

ბ) თვალის მიდევნებისა და კონტროლის ახალი სისტემა საქმისწარმოების თითოეული ეტაპის ვადების გამოყენებით. ინფორმაციული ტექნოლოგიებზე დაყრდნობით, შემუშავდა თვალის მიდევნების სისტემა, რომელიც ითვალისწინებს საქმისწარმოების თითოეული ეტაპის ვადებს და, თუკი ისინი ირღვევა საქმეში, გზავნის შეტყობინებას. სისტემის გამოყენება შესაძლებელია როგორც სამუშაოს თანმიმდევრობის დაგეგმვის, ისე მისი თვალის მიდევნების ზოგადი მენეჯმენტის ინსტრუმენტად.

გ) ახალი პროცედურები შედარებით რთული საქმეების მიმდინარეობის გამოსაკვეთად და მათი კონტროლისათვის. ასეთი საქმეები ხშირად იჭედება პროცესის განმავლობაში. ამის თავიდან ასაცილებლად, შემუშავდა პროცედურები, რომლებიც მათ გამოავლენს და გამოკვეთს საქმეთა მასებიდან.

დ) პრიორიტეტიზების წესების დანერგვა და სხვადასხვა ტიპის საქმეებისთვის კონკრეტული სამიზნე დროების განსაზღვრა. პროექტი მიზნად ისახავდა, არცერთი საქმე არ ყოფილიყო გადაუწყვეტელი 12 თვეზე მეტხანს და ეს ძალიან კარგად მოხერხდა. როდესაც პროექტი დაიწყო, ჰელსინიკის სააპელაციო სასამართლოში გადაუწყვეტელ საქმეთა 34% იყო 12 თვეზე მეტი ხნის, ხოლო სადაზღვევო დავების განმხილველი სასამართლოში - 16%. პროექტის შემდეგ მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა – სააპელაციო სასამართლოში 12 თვეზე მეტი ხნის გადაუწყვეტელი საქმეების წილია 7%, სადაზღვევო დავების განმხილველ სასამართლოში კი – 8%. მდგომარეობა კვლავაც უმჯობესდება მას შემდეგ, რაც ახალი პროცედურები უფრო და უფრო მეტად ხდება რუტინის ნაწილი.

(წყარო: იუსტიციის საბჭოების ევროპული ქსელი, დროულობის პროექტის გუნდი, 2010-2011 წლების ანგარიში დროულობის თაობაზე გვ. 28).

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1,გვ. 36).

(წყარო: იუსტიციის საბჭოების ევროპული ქსელი, დროულობის პროექტის გუნდი, 2010-2011 წლების ანგარიში დროულობის თაობაზე გვ. 28).

3. თუ კანონმდებლობა განსაზღვრავს კონკრეტული ტიპის საქმეებისთვის პრიორიტეტის მინიჭებას ან მათ სასწრაფოდ გადაწყვეტას, ეს ზოგადი წესი უნდა განიმარტოს გონივრულად, იმ მიზნების შესაბამისად, რის გამოც გაკეთდა ამგვარი ჩანაწერი.

კომენტარები და დანერგვის მაგალითები

 ჩეხეთის რესპუბლიკა - *პრაღის რაიონი* - ზოგიერთი ტიპის საქმეს ენიჭება პრიორიტეტი (ხანგრძლივობა დარეგულირებულია პროცედურული კანონმდებლობით – მაგ.: წინასწარი ზომები, საოჯახო და სისხლისსამართლებრივი დავები). ამ წესების შესრულებაზე ხორციელდება კონტროლი.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1, გვ. 6).

 იტალია - *ტურინის პირველი ინსტანციის სასამართლო* - პრიორიტეტები უნდა გაიწეროს სასამართლოსა და ადვოკატთა ასოციაციას შორის გაფორმებული ჩარჩო ხელშეკრულებით. ხშირად ხდება (განსაკუთრებით, ზაფხულში), როცა სასამართლოში შედის ბევრი "სასწრაფო" საქმე, რომლებსაც სინამდვილეში არაფერი აქვთ საერთო ამ ცნებასთან. ადვოკატებმა უნდა გააცნობიერონ, რომ თუ საქმე სასამართლოში შედის როგორც "სასწრაფო", მაშინ მისი ვადების შემდგომი გახანგრძლივება საფრთხეს უქმნის სხვა საქმეებს (შედარებით მცირე რაოდენობის), რომლებიც მართლაც სასწრაფოა.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1, გვ. 24).

 ნორვეგია - სისხლისსამართლებრივ დავაში პირველი ინსტანციის სასამართლო სხდომა იმართება რაიონულ სასამართლოში საქმის წარდგენიდან 6 კვირის განმავლობაში, თუ ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით

გამოყენებულია პატიმრობა ან იგი არსრულწლოვანია. სააპელაციო სასამართლოში სხდომა უნდა ჩატარდეს საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 8 კვირის განმავლობაში. ზოგიერთ სამოქალაქოსამართლებრივ საქმეს ენიჭება ზოგადი პრიორიტეტი სამართალწარმოების ვადების თვალსაზრისით. ამის მაგალითებია ბავშვის მეურვეობასთან დაკავშირებული და შრომისსამართლებრივი დავები.

(წყარო:"დროის მართვა მართლმსაჯულების სისტემებში: ჩრდილოეთ ევროპის კვლევა", CEPEJ (2007), გვ. 24).

 შვედეთი - ჩრდილოეთის ქვეყნებში ზოგიერთ საქმეს, როგორიცაა ცალკეული სისხლისსამართლებრივი დავები, ჩვეულებრივ, ენიჭება პრიორიტეტი. მაგალითად, შვედეთში კანონმდებლობა მოითხოვს, რომ საქმეები, სადაც პირის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა, ან იგი 18 წელზე ნაკლები ასაკისაა, განიხილონ კონკრეტულ მაქსიმალურ ვადებში. შვედეთში ზოგად მოთხოვნებს სისწრაფეზე არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პროცესში, რომლებიც მიემართებოდა პოლიციასა და პროკურატურას, რეფორმის ფარგლებში, კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით, დაემატა ვადები. ამჟამად წინასასამართლო გამოძიება 18 წელზე ნაკლები ასაკის პირთა მიმართ, ასევე, საქმეებში, სადაც საპატიმრო სასჯელი 6 თვეზე მეტია, განსაკუთრებული სისწრაფით მიმდინარეობს. გარდა ამისა, წინასწარი გამოძიება უნდა დასრულდეს რაც შეიძლება მალე და ბრალი წარედგინოს წინასასამართლო გამოძიების დასრულებიდან არაუგვიანეს 6 კვირის განმავლობაში. მთავარი სხდომა უნდა გაიმართოს ბრალის წარდგენიდან 2 კვირაში, თუ ბრალდებული 18 წელზე ნაკლები ასაკისაა და სასჯელი შესაბამისი დანაშაულისთვის ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6 თვეზე მეტი ვადით.

(წყარო:"დროის მართვა მართლმსაჯულების სისტემებში: ჩრდილოეთ ევროპის კვლევა", CEPEJ (2007), გვ. 46).

ე. *ყველა დაინტერესებული პირის ლოიალური თანამშრომლობა*

1. სამართალწარმოების ოპტიმალური და წინასწარგანჭვრეტადი ხანგრძლივობა[11] უნდა იყოს ყველა იმ დაწესებულებისა და პირის პასუხისმგებლობა, რომლებიც

[11] იხ: ჩარჩო პროგრამა: "ახალი მიზანი სასამართლო სისტემებისთვის: თითოეული საქმის დამუშავება ოპტიმალურ და წინასწარგანჭვრეტად ვადებში (CEPEJ(2004)19Rev2) და "CEPEJ-ის კვლევა N°3: სასამართლო პროცესის ხანგრძლივობა ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში ადამიანის უფლებათა ევროპული

მონაწილეობენ სასამართლო პროცესის შემუშავებაში, რეგულირებაში, დაგეგმვასა და ჩატარებაში, განსაკუთრებით კი ეთიკის წესების გათვალისწინებით.

კომენტარები და დანერგვის მაგალითები

 ავსტრია - *ლინცის რაიონული სასამართლო* - თითოეული მოსამართლე იღებს შეჯამებულ ინფორმაციას, მათ შორის, გადაუწყვეტელი საქმეების რაოდენობაზე, ხანგრძლივობების მიხედვით (მაგ.: 1, 2 ან 3 წელზე მეტი ხნის საქმეები). ამ ინფორმაციის გამოყენებით სასამართლოს დირექტორები მუდმივად ახორციელებენ აქტივობებს, როგორიცაა საქმეების რაოდენობის ბალანსირება ან დისციპლინური წარმოების დაწყება. მხარეებს შეუძლიათ მოსთხოვონ სააპელაციო სასამართლოს ვადის განსაზღვრა საქმისწარმოების კონკრეტული ეტაპებისთვის, თუკი მიაჩნიათ, რომ მოსამართლის ქმედებები არ არის დროული.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 11).

ავსტრიამ აღნიშნული ზომა ძალაში დატოვა 2015 წლის მარტში.

 ფინეთი - *Varsinais-Suomi-ის რაიონული სასამართლო* - სასამართლოს დირექტორი ყოველწლიურად ესაუბრება თითოეულ მოსამართლეს. ამ საუბრების განმავლობაში განიხილება ყველა ის საქმე, რომლებიც დიდი ხანია არ გადაწყვეტილა.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 11).

 გერმანია - *შტუტგარტი რეგიონული სააპელაციო სასამართლო* - არსებობს ინსპექტირების სისტემა (Nachshau), რომელიც მოიცავს ზედა ინსტანციის მოსამართლეების პერიოდულ ვიზიტებს ქვედა ინსტანციის სასამართლოებში - ყველა იმ საქმის კონტროლისათვის, რომლებიც გადაუწყვეტელია კონკრეტულ ვადაზე მეტხანს.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 11).

 უნგრეთი - *Veszprem-ის მუნიციპალური სასამართლო* - ზედა ინსტანციის სასამართლო მონიტორინგს უწევს ქვედა ინსტანციის სასამართლოს ყოველთვიურ

სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით" (F. Calvez – ევროპის საბჭოს გამომცემლობა), ხელმისაწვდომია ვებსაიტზე www.coe.int/cepej;

ანგარიშებს და ყოველ თვე ამოწმებს იმ საქმეების მდგომარეობას, რომლებიც 2 წელზე მეტია არ გადაწყვეტილა.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვის თაობაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 11).

 იტალია - საქმის მართვის მხრივ მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ადვოკატები. ამრიგად, მნიშვნელოვანია ადვოკატთა ასოციაციის ჩართვა პროცესში, რათა შემცირდეს დაყოვნებები სასამართლოში. შესაძლებელია, ძალიან მსგავს საქმეებს ძალიან განსხვავებული ხანგრძლივობა ჰქონდეს მხოლოდ იმიტომ, რომ ადვოკატებმა ზოგიერთ საქმეში სცადეს პროცედურული ტაქტიკებისა და "ხერხების" გამოყენება, რომლებმაც შეიძლება დროის ფუჭად ხარჯვა გამოიწვიოს. ცხადია, მოსამართლეზეა დამოკიდებული სიფხიზლის შენარჩუნება და ამგვარი პრაქტიკის თავიდან არიდება. მაგალითად, შეიძლება გადადება მოითხოვონ ადვოკატებმა, რომლებიც ირწმუნებიან, რომ დავას მორიგებით დაასრულებენ, თუმცა, რეალურად, ამისთვის დრო სჭირდებათ. ასეთ შემთხვევაში, მოსამართლეზეა დამოკიდებული, რომ არ იყოს მეტისმეტად "ხელგაშლილი" და გულმოდგინედ გაუწიოს მონიტორინგი შესაძლო მორიგების სერიოზულობას, ასევე, ადვოკატთა და ჩართულ მხარეთა მიზნების პატიოსნებასა და სანდოობას.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1,გვ. 20).

 ლატვია - *რიგის ცენტრალური რაიონული სასამართლო* - კვირაში ერთხელ სასამართლოს დირექტორი ატარებს მოსამართლეებთან შეხვედრებს, რომლებიც შეეხება დავების დროულად განხილვის მხრივ არსებულ პრობლემებსა და მათი მოგვარების გზებს. მოსამართლეები ანგარიშვალდებულნი არიან და შეიძლება დაეკისროთ დისციპლინური პასუხისმგებლობა პროცესის გაჭიანურებისათვის.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 11).

აღნიშნული ზომა კვლავაც ძალაშია, თუმცა 2014 წლის 1 იანვარს ლატვიამ საკანონმდებლო ცვლილებები გაატარა სასამართლო ხელისუფლების კანონში, რომლის მიხედვითაც მთავარმა მოსამართლემ უნდა დაამტკიცოს საქმის განხილვის დროის სტანდარტები/ვადები.

 მალტა - მოსარჩელის განცხადების საფუძველზე, სასამართლოს პრეზიდენტმა საქმე შეიძლება გადასცეს სხვა მოსამართლეს. რამდენადაც ახალი მოსამართლე ვალდებულია,

პრიორიტეტი მიანიჭოს აღნიშნულ დავას, საქმის გადაცემა მხარეებს მიაახლოებს სასამართლო გადაწყვეტილებასთან. თუმცა, როგორც ჩანს, სამართლებრივი დაცვის ეს საშუალება ეწინააღმდეგება პრინციპს, რომლის მიხედვითაც გადაწყვეტილება უნდა გამოიტანოს მტკიცებულებების გამომკვლევმა მოსამართლემ. საქმე შეიძლება გადაეცეს მაშინ, როცა ის გადაუწყვეტელია 3 წელზე მეტხანს, ან ბოლო სხდომის შემდეგ გადაწყვეტილება არ გამოტანილა 18 თვეზე მეტხანს.

(წყარო: იუსტიციის საბჭოების ევროპული ქსელი, დროულობის პროექტის გუნდი, 2010-2011 წლების ანგარიში დროულობის თაობაზე, გვ. 25)

 ნორვეგია - *Midhordland Tingrett-ის რაიონული სასამართლო* - ამ სასამართლოს დირექტორი ყოველთვიურად ატარებს ინსპექტირებას და იღებს ყოველთვიურ სტატისტიკურ ანგარიშებს სასამართლოს მიერ საქმის დამუშავებისთვის გამოყენებული მთლიანი დროის შესახებ. არსებობს პროცედურა, რომელიც მხარეებს შესაძლებლობას აძლევს, მოსამართლის შესახებ საჩივარი წარადგინონ მოსამართლეთა ზედამხედველობის საბჭოში.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 15).

 სლოვენია - *მარიბორის რაიონული სასამართლო, ნოვა გორიკას რაიონული სასამართლო* - მხარის საჩივრებმა პროცესის გადაჭარბებულ ხანგრძლივობაზე შეიძლება გამოიწვიოს სასამართლოს დირექტორის ჩარევა პროცესის დასაჩქარებლად.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 9).

 შვედეთი - *Huddinge-ის რაიონული სასამართლო* - გადაუწყვეტელ საქმეებს აანალიზებს სასამართლოს დირექტორი, რომელმაც შეიძლება მოითხოვოს განმარტებები.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 9).

2. კერძოდ, ამ დოკუმენტში მოცემული პრინციპებისა და სახელმძღვანელო მითითებების დანერგვისათვის საჭირო ქმედებები უნდა განახორციელონ კანონმდებლებმა, პოლიტიკის შემმუშავებელმა პირებმა და მართლმსაჯულების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელმა ხელისუფლებამ.

ამ ეტაპზე არ არის იდენტიფიცირებული რაიმე კომენტარი და დანერგვის მაგალითი.

3. მართლმსაჯულების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელ ცენტრალურ ორგანოებს ეკისრებათ ვალდებულება, უზრუნველყონ დროის სათანადოდ მართვისთვის საჭირო საშუალებები და პირობები და, საჭიროების შემთხვევაში, განახორციელონ შესაბამისი ქმედებები. სასამართლო ადმინისტრაციის ორგანოები მათ დახმარებას უნდა უწევდნენ დროის მართვაში, ინფორმაციის შეგროვებითა და სასამართლო პროცესის ორგანიზების გამარტივებით. პროცესის წარმმართველი ორგანოები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი მის დაგეგმვასა და ორგანიზებაში.

კომენტარები და დანერგვის მაგალითები

 იტალია - *ტურინის პირველი ინსტანციის სასამართლო urin First Instance Court* – ბოლო თვეების განმავლობაში სასამართლოს პრეზიდენტის მიერ გატარებული ინიციატივის წყალობით, მომდევნო კვირებში ხელი მოეწერება შეთანხმებას ადგილობრივ იურიდიულ ფაკულტეტებთან. ამ შეთანხმების მიხედვით, რამდენიმე თვის განმავლობაში ჩვენს სასამართლოში პრაქტიკანტად დაინიშნებიან (გარკვეული რაოდენობით) სამართლის ფაკულტეტის შერჩეული და კვალიფიციური სტუდენტები, ასევე ახალკურსდამთავრებულები. ჩვენ გამოვიყენებთ ამ ინიციატივას, რათა, ერთი მხრივ, გვყავდეს ახალგაზრდები, რომლებიც უკეთ არიან გაწვრთნილნი და მომზადებულნი მოსამართლეობის ძალიან რთული და კონკრეტული გამოცდისათვის (ცხადია, თუკი ამ გზით გადაწყვეტენ წასვლას; სხვა შემთხვევაში, ისინი იურიდიულ პროფესიაში წავლენ უფრო მაღალი ინფორმირებულობით "იურიდიული მანქანის" ფუნქციონირებასა თუ უფრო სწრაფი და ეფექტიანი მართლმსაჯულების რეალურ საჭიროებებზე). მეორე მხრივ, ეს პირები "დახმარების ხელს" გაუწვდიან მოსამართლეებსა და კანცელარიის თანამშრომლებს ყოველდღიურ საქმიანობაში, შეეშველებიან რა მოსამართლეებს ისეთ საკითხებში, როგორიცაა: სხდომის ოქმის შედგენა; სამართლებრივი კვლევის ჩატარება; დოკუმენტების, შუამდგომლობებისა და აქტების ორგანიზება (ხშირად, ასობით გვერდის!); კონკრეტული საკითხებისა და საქმეში არსებული სირთულეების გამოყოფა; საქმის მართვის მიზნებისთვის ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ელექტრონული მართვის პროცედურათა გამოყენების გაუმჯობესება; შემოწმება, რომ კანცელარიის თანამშრომლებისთვის სასამართლოს მიერ მიცემული მითითებები სათანადოდ აღსრულდება და რომ ადვოკატებს, მხარეებს ან/და ექსპერტებს ნამდვილად ეცნობათ კონკრეტულ სხდომაზე მოწვევის შესახებ.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1, გვ. 21).

 გაერთიანებული სამეფო - *ცენტრალური ლონდონის სამოქალაქო მართლმსაჯულების ცენტრი* - სასამართლო ადმინისტრაციის მოვალეობაა მოსამართლეების დახმარება თავიანთი ფუნქციების შესრულებაში, რაც გულისხმობს საქმის ხელმისაწვდომობასა და სისრულეს, ასევე, სასამართლო უწყისების ეფექტიან წარმოებას, რათა დაკმაყოფილდეს ჩამონათვალით გათვალისწინებული მოთხოვნები.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1, გვ. 10).

II. <u>სახელმძღვანელო მითითება კანონმდებლებისა და პოლიტიკის შემმუშავებელი პირებისათვის</u>

ა. რესურსები

1. სასამართლოს სისტემას სჭირდება საკმარისი რესურსები, რათა სათანადო დროში გაუმკლავდეს მუდმივ სამუშაო დატვირთულობას. რესურსები უნდა გადანაწილდეს საჭიროების მიხედვით და ეფექტიანად იქნას გამოყენებული.

ამ ეტაპზე არ არის იდენტიფიცირებული რაიმე კომენტარი და დანერგვის მაგალითი.

2. უნდა არსებობდეს რესურსები, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია სამუშაო დატვირთულობაში მოულოდნელი ცვლილებებისას, ან როცა არ ხერხდება საქმის სწრაფად დამუშავება სისტემის მხრიდან.

კომენტარები და დანერგვის მაგალითები

 საფრანგეთი - შეიძლება მოიწვიონ სასამართლოს პრეზიდენტთან მომუშავე მოსამართლეები (მეტწილად, სასამართლო დეპარტამენტების დირექტორები) ან სააპელაციო სასამართლოს გენერალური პროკურორი - თავიანთი კოლეგების ჩასანაცვლებლად ისეთი შემთხვევებში, როგორიცაა ჯანმრთელობის პრობლემების შექმნა, დეკრეტული შვებულება, ასევე, ტრენინგკურსები და სასამართლოში თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერება საქმის „გონივრულ ვადაში“ დამუშავების მიზნით (მოსამართლეების სტატუტის 3(1) მუხლი). მსგავსი რეგულაცია არსებობს სასამართლოს პერსონალისთვისაც.

(წყარო: “საუკეთესო პრაქტიკის” კრებული სასამართლოს დროის მართვაზე”, CEPEJ (2006), 13, გვ. 24).

 ნიდერლანდები - ნიდერლანდებში შეიქმნა ე.წ. “მფრინავი ბრიგადა” იმ რაიონული სასამართლოების დასახმარებლად, რომლებიც გადატვირთულია დაგროვებული საქმეებით. ეს მოსამართლეებისა და თანამშრომლებისგან შემდგარი პატარა, ცენტრალიზებული დანაყოფია, რომელიც სასამართლოს ეხმარება გადაუწყვეტელ საქმეთა რაოდენობის შემცირებაში.

(წყარო: “საუკეთესო პრაქტიკის” კრებული სასამართლოს დროის მართვაზე”, CEPEJ (2006), 13, გვ. 21).

 შვედეთი - *Huddinge-ის რაიონული სასამართლო* - სასამართლოში არის 2-3 მოსამართლისგან შემდგარი განყოფილებები. მოსამართლეს თითოეული განყოფილებიდან შეუძლია სამუშაოს გადანაწილება ისე, რომ, მაგალითად, ერთი მოსამართლე კონცენტრირდეს დიდ სამოქალაქოსამართლებრივ დავაზე, ხოლო სხვები - უფრო მარტივ დავებზე.

(წყარო: “საუკეთესო პრაქტიკის” კრებული სასამართლოს დროის მართვაზე”, CEPEJ (2006), 13, გვ. 21).

 გაერთიანებული სამეფო - *ინგლისი და უელსი* - უმაღლესი სასამართლოს მიერ დანიშნული მოსამართლეებს საერთო სპეციალიზაცია უნდა ჰქონდეთ. თუმცა, სასამართლოში არსებობს განყოფილებები და სექციები, რომლებიც მოითხოვს კონკრეტულ ექსპერტულ ცოდნას (მაგალითად, სისხლისსამართლებრივი, კომერციული და საოჯახო დავები). ასეთი სფეროს მოსამართლეები გადამისამართდებიან კონკრეტულ სფეროებში. მართალია, უმეტესწილად ექსპერტული ცოდნა ფასდება და განისაზღვრება დანიშვნისას, მაგრამ მოსამართლეებს შეუძლიათ შემდგომი ტრენინგის გავლა ახალი საექსპერტო ცოდნისა და კვალიფიკაციის მოსაპოვებლად.

(წყარო: “საუკეთესო პრაქტიკის” კრებული სასამართლოს დროის მართვაზე”, CEPEJ (2006), 13, გვ. 21).

3. გადაწყვეტილებები რესურსების გამოყენებაზე, რომლებიც მიემართება მოსამართლეთა მუშაობის ხელშეწყობას, უნდა მიიღონ ისე, რომ წახალისდეს დროის ეფექტიანი მართვა. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი უნდა იყოს ამ რესურსების სწრაფი და ეფექტიანი გადანაწილება დაყოვნებისა და საქმეთა დაგროვების თავიდან ასარიდებლად.

კომენტარები და დანერგვის მაგალითები

 ნიდერლანდები - მოსამართლეების გადანაწილების მექანიზმი სხვა რაიონში დავების განსახილველად მოქნილი და მარტივად გამოსაყენებელია. ნიდერლანდელ მოსამართლეებს აქვთ სხვა რაიონებში დავების განხილვის უფლებამოსილება. მართალია, ისინი ერთ რაიონში ინიშნებიან მოსამართლეებად, მაგრამ, ამავდროულად, ყველა სხვა სასამართლოში ასრულებენ მოადგილე მოსამართლის ფუნქციას. ამრიგად, მოსამართლეებს მარტივად შეუძლიათ დავების სხვა სასამართლოებში განხილვა. გადანაწილების ეს მეთოდი ხშირად გამოიყენება.

(წყარო: იუსტიციის საბჭოების ევროპული ქსელი, დროულობის პროექტის გუნდი, 2010-2011 წლების ანგარიში დროულობის თაობაზე, გვ. 21)

ბ. ორგანიზება

1. სასამართლოს ორგანოები იმგვარად უნდა იყვნენ ორგანიზებულნი, რომ წახალისდეს დროის ეფექტიანი მართვა.

კომენტარები და დანერგვის მაგალითები

 იტალია - 1999 წელს განხორციელებული სასამართლოს უნიფიცირების პოლიტიკის ფარგლებში, კანონმდებლებმა გააფართოეს თითოეული მოსამართლის იურისდიქცია სამოქალაქოსამართლებრივ ვადებში (და, ამავდროულად, 1 მოსამართლემდე შემცირდა 3 მოსამართლისგან შემდგარი კოლეგია). შედეგად, სასამართლოებს აქვთ ზოგადი იურისდიქცია, სადაც სხდომას უძღვება 1 მოსამართლე, მცირე გამონაკლისებით, როცა კანონმდებლობით საქმეებში მოთხოვნილია 3 მოსამართლისგან შემდგარი კოლეგია.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 20).

 ნიდერლანდები - სასამართლოები იმართება "საერთო მენეჯმენტის" პრინციპის შესაბამისად. პასუხისმგებლობას სასამართლოს ფუნქციონირებაზე ინაწილებს საბჭოს ყველა წევრი (სასამართლოს პრეზიდენტი, თითოეული დანაყოფის დირექტორი (ვიცე-პრეზიდენტები) და სასამართლოს დირექტორი (არამოსამართლე), რომლებიც აკონტროლებენ და ამოწმებენ მოსამართლეებისა და ადმინისტრაციული თანამშრომლების მუშაობას.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 10).

2. ორგანიზაციაში ნათლად უნდა განისაზღვროს პასუხისმგებლობა დროის მართვასა თუ სასამართლო პროცესზე. უნდა არსებობდეს დანაყოფი, რომელიც მუდმივად გააანალიზებს პროცესის ხანგრძლივობას ტენდენციების გამოსავლენად, ასევე, მასთან დაკავშირებული პრობლემების პრევენციისა და მოსალოდნელი ცვლილებების განსაზღვრისათვის.

ამ ეტაპზე არ არის იდენტიფიცირებული რაიმე კომენტარი და დანერგვის მაგალითი

3. მოსამართლეებთან დაკავშირებული ყველა ორგანიზაციული ცვლილება შესასწავლია სასამართლო პროცესის დროის მართვაზე შესაძლო გავლენის მხრივ.

ამ ეტაპზე არ არის იდენტიფიცირებული რაიმე კომენტარი და დანერგვის მაგალითი

გ. მატერიალური სამართალი

1. კანონმდებლობა უნდა იყოს ნათელი, მარტივი, უბრალო ენით დაწერილი და იოლად დასანერგავი. კარგად უნდა მომზადდეს მატერიალური კანონმდებლობის ცვლილებები.

კომენტარები და დანერგვის მაგალითები

 ჩეხეთის რესპუბლიკა - *პრაღის რაიონი* - იუსტიციის სამინისტრო ახალი კანონმდებლობის მომზადებისას კონსულტაციას გადის მართლმსაჯულების პროცესში ჩართულ ყველა აქტორთან. ამ დროისთვის პრობლემა ის არის, რომ მსგავს ვალდებულებას არ ითვალისწინებს აღნიშნული პირების შრომითი (სამუშაო) მოვალეობები. ამრიგად, საჭიროების შემთხვევაში, ისინი ამ კონსულტაციებს მეტწილად საკუთარ თავისუფალ დროს უთმობენ.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1,გვ. 4).

2. ახალი კანონმდებლობის მიღებისას მთავრობამ ყოველთვის უნდა შეისწავლოს გავლენა ახალი საქმეების მოცულობაზე და თავი აარიდოს იმგვარ წესებსა და რეგულაციებს, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს დაყოვნებები და საქმეთა დიდი ოდენობით დაგროვება.

ამ ეტაპზე არ არის იდენტიფიცირებული რაიმე კომენტარი და დანერგვის მაგალითი

3. როგორც მომხმარებლები, ისე სასამართლო ორგანოები წინასწარ უნდა იყვნენ ინფორმირებულნი საკანონმდებლო ცვლილებების თაობაზე, რათა შეძლონ მათი დროული და ეფექტიანი დანერგვა.

ამ ეტაპზე არ არის იდენტიფიცირებული რაიმე კომენტარი და დანერგვის მაგალითი

დ. პროცედურა

1. სასამართლო საპროცესო წესები უნდა იძლეოდეს ოპტიმალური ვადების დაცვის შესაძლებლობას. უნდა გაუქმდეს ან შეიცვალოს ის წესები, რომლებიც იწვევს პროცესის გაუმართლებელ დაყოვნებას ან ადგენს მეტისმეტად რთულ პროცედურებს.

კომენტარები და დანერგვის მაგალითები

 საქართველო - *თბილისის სააპელაციო სასამართლო* - 2010 წლის დეკემბერში პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილებები სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, რომელთა მიხედვითაც, თუ მხარე ესწრება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებას (რომელზეც უშუალოდ მიიღო გადაწყვეტილება სასამართლომ - ანუ სასამართლოს დასკვნას), ან მას სათანადოდ ეცნობა გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღზე, გასაჩივრების მსურველი მხარე ვალდებულია, სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არაუადრეს 20 და არაუგვიანეს 30 დღეში გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში, გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია. საგულისხმოა, რომ ეს წესი მოქმედებს მხოლოდ სააპელაციო სასამართლოების შემთხვევაში (საქართველოში სულ 2 სააპელაციო სასამართლოა) და სამოქალაქოსამართლებრივი დავებში.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1, გვ. 13).

 იტალია - *ტურინის პირველი ინსტანციის სასამართლო* - დღესდღობით, იტალიის სამოქალაქო საპროცესო წესები მოსამართლეს ავალდებულებს პროცედურული კალენდარის განსაზღვრას თითოეულ საქმეში. გარდა ამისა, ტარდება სპეციალური სხდომა, რომელიც ემსახურება მხარეთა დარწმუნებას, რომ მორიგებით დაასრულონ დავა ან, სულ მცირე, თავი აარიდონ პრაქტიკას, რომელიც არასაჭიროდ ახანგრძლივებს პროცესს. რამდენიმე თვის წინათ ჩვენ პირველად ვცადეთ, დაგვენერგა პროცედრულ

კალენდართან დაკავშირებული დებულებები, თუმცა აღმოვაჩინეთ, რომ ეს არც ისე მარტივი ყოფილა. თითქმის შეუძლებელია 1 ან 2 წლით ადრე საქმის მიმდინარეობის წინასწარ განჭვრეტა და კონკრეტული თარიღის განსაზღვრა თითოეული შესაძლო პროცედურული ქმედებისათვის. ამრიგად, გთავაზობთ გამოსავალს, რომელსაც იყენებს ჩემი ბევრი კოლეგა: უნდა განისაზღვროს არა კონკრეტული თარიღები, არამედ ზუსტი ვადები, როგორიცაა, მაგალითად: ა) მოწმეთა დაკითხვის დასრულების ვადა: არაუგვიანეს 2011 წლის 30 ივნისისა; ბ) ექსპერტიზის (თუ საქმეში საჭიროა) დასრულების ვადა: არაუგვიანეს 2011წლის 11 დეკემბრისა; გ) ვადა ბოლო სხდომის გასამართად, სადაც მხარეები წარადგენენ თავიანთ საბოლოო მოთხოვნებსა და შუამდგომლობებს მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე: არაუგვიანეს 2012 წლის 30 ივნისისა.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1,გვ. 21).

2. სასამართლო საპროცესო წესები უნდა ითვალისწინებდეს ევროპის საბჭოს რეკომენდაციებს, კერძოდ:

- R(81)7 მართლმსაჯულებაზე წვდომის გამარტივების ღონისძიებების შესახებ;

- R(84)5 სამოქალაქო პროცესის პრინციპის შესახებ, რომელიც შემუშავებულია მართლმსაჯულების ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად;

- R(86)12 სასამართლოების მეტისმეტი გადატვირთულობის პრევენციისა და შემცირების ღონისძიებების შესახებ;

- R(87)18 სისხლის სამართლის მართლმსაჯულების გამარტივების შესახებ;

- R(95)5 სამოქალაქო და კომერციული სამართლის დავებში გასაჩივრების სისტემებისა და პროცედურების შემოღება და ფუნქციონირების გაუმჯობესება;

- R(95)12 სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მენეჯმენტის შესახებ;

- R(2001)3 მოქალაქეებისთვის სასამართლო და სხვა სამართლებრივი სერვისების ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით მიწოდების შესახებ.

ამ ეტაპზე არ არის იდენტიფიცირებული რაიმე კომენტარი და დანერგვის მაგალითი

3. საპროცესო წესების შემუშავებისა ან ცვლილებისას სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს იმ პირთა მოსაზრებებს, რომლებიც იყენებენ მათ.

კომენტარები და დანერგვის მაგალითები

 დანია - *Esbjerg-ის რაიონული სასამართლო* - იმართება ყოველწლიური საერთო შეხვედრები პროკურატურის წარმომადგენლებსა და სასამართლო რაიონების ადვოკატებთან.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 15).

 იტალია - *ტურინის პირველი ინსტანციის სასამართლო* - სამუშაო გადატვირთულობასთან გასამკლავებლად, სასამართლომ დაადგინა ადგილობრივი სახელმძღვანელო მითითებები, რომლებიც მიეწოდათ დაინტერესებულ პირებს.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1, გვ. 21).

 ნორვეგია - *Frostating Lagmannsrett-ის სააპელაციო სასამართლო* - ორივე მხარის წარმომადგენელს ეგზავნება წერილი, სადაც მითითებულია ვადები ახალი შუამდგომლობებისთვის, ასევე, მტკიცებულებათა სია და მასალები სააპელაციო საქმისწარმოებისთვის. წერილს მოჰყვება სატელეფონო ზარები სხდომის თარიღსა და ხანგრძლივობაზე შესათანხმებლად. სააპელაციო სხდომამდე 1 ან 2 კვირით ადრე მოსამართლე უშუალოდ ეკონტაქტება ადვოკატებს (ელექტრონული ფოსტის საშუალებით) სააპელაციო საქმისწარმოებისთვის დეტალური საერთო განრიგის განსაზღვრის მიზნით (მოწმეების წარდგენა და ა.შ.). ეს მნიშვნელოვნად ზოგავს დროს, ვინაიდან ადვოკატებს ავალდებულებს ერთმანეთთან გასაუბრებასა და პრაქტიკულ საკითხებზე შეთანხმებას. ყველაზე რთულ სისხლისსამართლებრივ დავებში ორგანიზება გაეწევა არაფორმალურ მოსამზადებელ კონფერენციებს, რათა განიხილონ პროკურორებთან მტკიცებულებების წარდგენა, გონივრული და რეალისტური განრიგის შედგენა და ა.შ. ადვოკატთა ასოციაცია და სასამართლო წერილობით განსაზღვრავენ და ამტკიცებენ საქმის დამუშავების სახელმძღვანელო მითითებებს, რაც საერთო დისკუსიებისა და კონსენსუსის შედეგია. გარდა ამისა, არსებობს მჭიდრო კონტაქტი ადვოკატებთან და ერთობლივად განისაზღვრება სასამართლო საქმისწარმოების წესები.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 11).

4. პროცესი პირველი ინსტანციის სასამართლოში უნდა იყოს კონცენტრირებული და, ამავდროულად, უზრუნველყოფდეს მომხმარებლებს საქმის სამართლიანი და საჯარო განხილვის უფლებით.

კომენტარები და დანერგვის მაგალითები

 ჩეხეთის რესპუბლიკა - *პრაღის რაიონი* - ახალი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დაინერგა ე.წ. „პროცესის სამართლებრივი კონცენტრაცია“, რაც გულისხმობს, რომ მხარეებმა ყველა რელევანტური ფაქტი და მტკიცებულება უნდა წარმოადგინონ სამართალწარმოების მხოლოდ პირველ სხდომაზე, სხვა შემთხვევაში, სასამართლო არ გაითვალისწინებს მათ (სამოქალაქო საპროცესო კანონის 118 (ბ) მუხლი).

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 9).

 დანია - *Esbjerg-ის რაიონული სასამართლო* - სამოქალაქოსამართლებრივ საქმეებში შეხვედრა ტარდება პროცესის საწყის ეტაპზე, სადაც მხარეები თანხმდებიან საქმის შემდგომი განვითარების შესახებ.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 15).

 ნორვეგია - Midhordland Tingrett-ის რაიონული სასამართლო - შეხვედრები სრულდება მორიგებით.
(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 15).

5. სათანადო შემთხვევებში გასაჩივრების ალტერნატივები შეიძლება შეიზღუდოს. ცალკეულ საქმეებში (მაგ.: მცირე დავები) გასაჩივრება შეიძლება გამოირიცხოს, ან მოითხოვონ სააპელაციო საჩივრის დასაშვებობა. აშკარად დაუსაბუთებული სააპელაციო საჩივარი შეიძლება დაუშვებლად ცნონ, ან მას უარი ეთქვას გამარტივებული წარმოებით.

კომენტარები და დანერგვის მაგალითები

 ჩეხეთის რესპუბლიკა - *პრაღის რაიონი* - ახალმა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობამ გააფართოვა იმ საქმეთა ჩამონათვალი, სადაც გასაჩივრება დაუშვებელია.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 6).

 საქართველო - *თბილისის სააპელაციო სასამართლო* - საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, სასამართლოში მიღებისას საქმემ უნდა გაიაროს დასაშვებობის ეტაპი, რაც ნიშნავს, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა აკმაყოფილებდეს კონკრეტულ წინაპირობებს და გადახდილი იყოს სახელმწიფო ბაჟი (სასამართლოს მოსაკრებელი), თუკი მხარე არ არის გათავისუფლებული მისგან. ამ მოთხოვნათა დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, საჩივარს დაუშვებლად ცნობენ. საჩივრის დასაშვებად ცნობაზე სასამართლოს გამოაქვს შესაბამისი განჩინება და განსაზღვრავს ზეპირი განხილვის თარიღს, რომელიც, ჩვეულებრივ, დასაშვებად ცნობის დღიდან 1-2 თვეში დგება.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1,გვ. 13).

 ნორვეგია - *Frostating Lagmannsrett-ის სააპელაციო სასამართლო* - ეს სასამართლო ფილტრავს ნაკლებად მნიშვნელოვან საქმეებს წინასწარი შემოწმების გზით, რასაც ახორციელებს 3 მოსამართლე. თუ სამივე მათგანი თანხმდება, რომ სააპელაციო საჩივარი აშკარად წარუმატებელი იქნება, შეიძლება დაუშვებლად ცნონ იგი. შედეგად, რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. ეფექტიანი პროცესისთვის, 3 მოსამართლისგან შემდგარი გუნდი ყოველთვის მზადაა სააპელაციო საჩივრის განსახილველად. ამრიგად, საქმეთა უმეტესობა განიხილება და იფილტრება 2-3 დღეში.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 19).

 ნიდერლანდები - ნიდერლანდებში არსებობს სასამრათლო პროცესი მცირე დავებისთვის, სადაც დავის საგნის ღირებულება 5,000 ევროზე ნაკლებია. ასეთ საქმეებს განიხილავს მოსამართლე და სამართლებრივი წარმომადგენლობა სავალდებულო არ არის. ამ საქმეთა უმეტესობაში გადაწყვეტილება სასამართლო სხდომაზე ცხადდება ზეპირად. აღნიშნული რეგულაციის წყალობით, მთლიანი საქმეების, სულ მცირე, 75%-ის დასრულება შესაძლებელია 6 თვეზე ნაკლებ დროში.

(წყარო: იუსტიციის საბჭოების ევროპული ქსელი, დროულობის პროექტის გუნდი, 2010-2011 წლების ანგარიში დროულობის თაობაზე ,გვ. 25).

6. უმაღლეს ინსტანციებზე წვდომა უნდა შემოიფარგლოს იმ საქმეებით, რომლებიც სასამართლოს მხრიდან ყურადღებასა და განხილვას იმსახურებს.

კომენტარები და დანერგვის მაგალითები

 ჩეხეთის რესპუბლიკა - *პრაღის რაიონი* - ამჟამად უზენაეს სასამართლოზე წვდომა შემოიფარგლება ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეებით და ისეთი დავებით, რომლებიც აქამდე განუხილავს ამ სასამართლოს.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1,გვ. 11).

III. <u>სახელმძღვანელო მითითებები მართლმსაჯულების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი ხელისუფლებისათვის</u>

ა. სამუშაოს განაწილება

1. დროის სათანადო მართვაში წვლილის შეტანის ვალდებულებას ინაწილებს ყველა ხელისუფლება, რომელიც პასუხისმგებელია მართლმსაჯულების ადმინისტრირებაზე (სასამართლოები, მოსამართლეები, ადმინისტრატორები), ასევე, სამართალწარმოებაში პროფესიულ დონეზე ჩართული ყველა პირი (მაგ.: ექსპერტები და ადვოკატები), თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

კომენტარები და დანერგვის მაგალითები

 ჩეხეთის რესპუბლიკა - *პრაღის რაიონი* - იუსტიციის სამინისტრო ახალი კანონმდებლობის მომზადებისას კონსულტაციას გადის მართლმსაჯულების პროცესში ჩართულ ყველა აქტორთან. ამ დროისთვის პრობლემა ის არის, რომ მსგავს ვალდებულებას არ ითვალისწინებს აღნიშნული პირების შრომითი (სამუშაო) მოვალეობები. ამრიგად, საჭიროების შემთხვევაში, ისინი ამ კონსულტაციებს მეტწილად საკუთარ თავისუფალ დროს უთმობენ.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1, გვ. 6).

 იტალია - *ტურინის პირველი ინსტანციის სასამართლო* - „გონივრული ვადის“ მოთხოვნათა დაუცველობის ერთ-ერთი მიზეზი გახლავთ სასამართლოს გეოგრაფიული განაწილება ტერიტორიაზე. ხშირია, როცა სასამართლოს ადგილობრივი სექციები პროვინციის ტერიტორიაზეა მიმოფანტული (ტურინს, მაგალითად, 4 ასეთი სექცია აქვს რაიონის გარშემო მდებარე პატარა ქალაქებში), ანდა, დროებითი პრობლემების გამო (ორსულობა, უბედური შემთხვევები, ვაკანტური ადგილები, ვიდრე იუსტიციის უმაღლესი საბჭო ახალ მოსამართლეს დანიშნავს და ა.შ.), პოზიციები

ვაკანტურია. ხშირად „ცენტრალურ“ ერთეულებში მომუშავე მოსამართლეები აცხადებენ დახმარებისთვის მზადყოფნას და თავიანთ მხრებზე იღებენ ამ სექციებიდან მომდინარე დავათა განხილვის ტვირთს (განსაკუთრებით, ყველაზე სასწრაფო დავებს). თუმცა, დავების 10-15-კილომეტრის მოშორებით განხილვის თავიდან ასარიდებლად, ადვოკატები აპროტესტებენ საქმეთა გადანაწილებას „ცენტრალურ“ ერთეულებში მომუშავე მოსამართლეებისთვის და სთხოვენ პრეზიდენტს, დედაქალაქიდან გაგზავნონ მოსამართლეები რაიონის პატარა ქალაქებში. ეს, ცხადია, იწვევს ძვირფასი დროის მნიშვნელოვან და უსარგებლო ხარჯვას, ვინაიდან მოსამართლეებს, რომლებიც ცენტრიდან რაიონში მიემგზავრებიან, უხდებათ ცენტრალურ ერთეულებში საქმის განხილვის გადადება, ამ ყველაფერს კი ემატება მგზავრობისთვის დახარჯული დრო. ყველაფერი უკეთესად იქნებოდა, სამუშაოც უკეთ შესრულდებოდა და საქმის თანამედროვე და ეფექტიანი მართვის კრიტერიუმებიც მეტად დაკმაყოფილდებოდა, თუ ადვოკატები არ გააპროტესტებდნენ თავიანთი დავების განხილვას 10-15 კილომეტრის მოშორებით (მხოლოდ რამდენიმე თვით)! ადვოკატთა ასოციაციის მხრიდან თანამშრომლობის არარსებობის ეს ნათელი მაგალითი აჩვენებს, რა მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ იტალიელ ადვოკატებს, სასამართლოს ვადების შემცირებით გულწრფელად რომ იყვნენ დაინტერესებულნი.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1, გვ. 21).

 ლატვია – სასამართლოები სამოქალაქოსამართლებრივ დავას სხვა სასამართლოს გადასცემენ, თუკი ეს ხელს უწყობს საქმის უფრო მოკლე დროში განხილვას. აღნიშნული ზომა შეესაბამება 2014 წლის 1 იანვრის საკანონმდებლო ცვლილებებს სამოქალაქო საპროცესო კანონში.

1. მართლმსაჯულების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი ყველა ხელისუფლება ვალდებულია, ითანამშრომლოს სტანდარტებისა და მიზნების განსაზღვრისას. მათი შემუშავების დროს ასევე საჭიროა კონსულტაციის გავლა სხვა დაინტერესებულ პირებსა და მართლმსაჯულების სისტემის მომხმარებლებთან.

კომენტარები და დანერგვის მაგალითები

 გაერთიანებული სამეფო - *ლონდონის საოლქო სასამართლო* - შექმნილია მომხმარებელთა სხვადასხვა ჯგუფი, რომლებიც იზიარებენ მიზნებს და ახორციელებენ საერთო ქმედებებს.

(წყარო: “საუკეთესო პრაქტიკის” კრებული სასამართლოს დროის მართვაზე”, CEPEJ (2006), 13, გვ. 10).

ბ. მონიტორინგი

1. სასამართლო პროცესის ვადები უნდა მოწმდებოდეს სტატისტიკის გამოყენებით. უნდა არსებობდეს საკმარისი ინფორმაცია კონკრეტული ტიპის საქმეებისა და სასამართლო პროცესის თითოეული ეტაპის ხანგრძლივობებზე.

კომენტარები და დანერგვის მაგალითები

 ჩეხეთის რესპუბლიკა - *პრაღის რაიონი* - ძველი საქმეების (3 წელზე მეტი ხანგრძლივობის) პერიოდულ კონტროლს (ყოველ 6 თვეში) ახორციელებს თითოეული სასამართლოს პრეზიდენტი. ყველა მოსამართლე ვალდებულია, შესაბამისი დასაბუთება წარმოადგინოს. პრეზიდენტს აქვს სათანადო ზომების მიღების უფლებამოსილება, რაც, ჩვეულებრივ, გულისხმობს მოსამართლისთვის მითითების მიცემას, არ დააყოვნოს საქმე. არსებობს კონტროლის სხვა მექანიზმებიც უფრო მაღალი ინსტანციის სასამართლოებისა და იუსტიციის სამინისტროს მხრიდან.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1,გვ. 6).

1. ნათლად უნდა განიმარტოს, რომ კმაყოფილდება სტანდარტები და მიზნები კონკრეტული ტიპის საქმეებისა და სასამართლოებისთვის.

ამ ეტაპზე არ არის იდენტიფიცირებული რაიმე კომენტარი და დანერგვის მაგალითი.

3. ინდივიდუალურ პროცესზე პასუხისმგებელმა ორგანომ მონიტორინგი უნდა გაუწიოს იმ ვადების დაცვას, რომლებიც დადგენილია ან შეთანხმებულია პროცესის სხვა მონაწილეებთან.

ამ ეტაპზე არ არის იდენტიფიცირებული რაიმე კომენტარი და დანერგვის მაგალითი.

4. მონიტორინგი უნდა განხორციელდეს სასამართლო განხილვის ვადებზე მონიტორინგის ერთიანი **ევროპული წესების** - EUGMONT-ის შესაბამისად.

ამ ეტაპზე არ არის იდენტიფიცირებული რაიმე კომენტარი და დანერგვის მაგალითი.

გ. ინტერვენცია

1. თუ გამოვლინდება ან მოსალოდნელია სასამართლო ვადების სტანდარტებიდან და მიზნებიდან გადახვევა, დაუყოვნებლივ უნდა მიიღონ ზომები მისი გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად.

ეს სახელმძღვანელო მითითება ერთ-ერთია Saturn-ის 15 პრიორიტეტს შორის.

2. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემთხვევებს, როდესაც მთლიანი ხანგრძლივობის გამო შეიძლება დადგინდეს საქმის „გონივრულ ვადაში“ განხილვის უფლების დარღვევა.[12]

ეს სახელმძღვანელო მითითება ერთ-ერთია Saturn-ის 15 პრიორიტეტს შორის.

3. მონიტორინგმა უნდა უზრუნველყოს, რომ სამართალწარმოების პასიური პერიოდები (ლოდინის დრო) არ იყოს გადაჭარბებულად ხანგრძლივი და, ასეთის არსებობის შემთხვევაში, კონკრეტული მცდელობები განხორციელდეს სამართალწარმოების დასაჩქარებლად და დაყოვნების კომპენსაციისათვის.

ეს სახელმძღვანელო მითითება ერთ-ერთია Saturn-ის 15 პრიორიტეტს შორის.

დ. ანგარიშვალდებულება

1. პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს ყველა პირს, რომლებიც თავიანთი ქმედებით ან უმოქმედობით იწვევენ დაყოვნებას და უარყოფით გავლენას ახდენენ დროის მართვასთან დაკავშირებით დადგენილი სტანდარტებისა და მიზნების დაცვაზე.

კომენტარები და დანერგვის მაგალითები

 გაერთიანებული სამეფო - *მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს სამეფო კარის განყოფილება* - სასამართლოში საქმის მართვისას მოსამართლე გადაწყვეტილებას იღებს იმ მხარესთან დაკავშირებით, რომლის მიზეზითაც გამოწვეულია დაყოვნება და მას სანქციებს აკისრებს, ან მიუთითებს მეორე მხარის ხარჯების ანაზღაურებაზე. თუ დაყოვნებაზე პასუხისმგებელია სასამართლო, შეიძლება განისაზღვროს კომპენსაცია დაყოვნების მიზეზით გამოწვეული დამატებითი ხარჯების დასაფარავად. გარდა ამისა, შესაძლოა, მოსამართლემ მხარეთა წარმომადგენლებს მიუთითოს დაყოვნებით გამოწვეული ხარჯების ანაზღაურება მეორე მხარისათვის, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, განუხილველად დატოვოს სარჩელი ან შესაგებელი და გადაწყვეტილება მიიღოს მეორე მხარის სასარგებლოდ. თუ დაყოვნებაზე პასუხისმგებელნი არიან სასამართლოს თანამშრომლები ანდა მენეჯმენტი, ამის იდენტიფიცირება მოხდება

[12] იხ: CEPEJ-ის კვლევა No. 3: “ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში სამართალწარმოების ხანგრძლივობა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით”.

სასამართლო ანგარიშებით და აისახება თანამშრომელთა შეფასებაში, რაც პოტენციურად გავლენას მოახდენს მათ ანაზღაურებასა თუ დაწინაურების პერსპექტივაზე.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1, გვ. 8).

 გაერთიანებული სამეფო - *ცენტრალური ლონდონის სამოქალაქო მართლმსაჯულების ცენტრი* - დავის მხარეები ანგარიშვალდებულნი არიან. ვადებისგან გადახვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს შეიძლება დაეკისროს სანქციები და ხარჯების ანაზღაურება. სასამართლო წესების მიხედვით, თითოეულ მხარეს შეუძლია შუამდგომლობის წარდგენა პროცესის ზეპირი განხილვის ან მის გარეშე ჩატარების შესახებ და მოსამართლემ განჩინების გამოტანისას უნდა გაითვალისწინოს გავლენა საქმის მიმდინარეობაზე. გარდა ამისა, მხარემ, რომელიც შუამდგომლობს პროცესის გადადებისა და ვადების შეცვლის საკითხზე, მოთხოვნა უნდა დაასაბუთოს საკმარისი და სამართლიანი საფუძვლით; მოსამართლე არ დააკმაყოფილებს შუამდგომლობას, თუკი მეორე მხარე ამის გამო არაგონივრულად არასახრბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდება.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1,გვ. 10).

2. პროცესის არაგონივრული ხანგრძლივობით გამოწვეული შედეგების გამო, დროის არაეფექტიან მართვასთან დაკავშირებულ ინდივიდუალურ პასუხისმგებლობასთან ერთად, სახელმწიფომ შეიძლება დააწესოს მომხმარებელთა სოლიდარული პასუხისმგებლობა.

კომენტარები და დანერგვის მაგალითები

 გაერთიანებული სამეფო - *ცენტრალური ლონდონის სამოქალაქო მართლმსაჯულების ცენტრი* - სახელმწიფო უზრუნველყოფს სასამართლოს თავისი ფუნქციების შესრულებისათვის საჭირო რესურსებით. ამრიგად, თუ დადგინდება, რომ პროცესის ხანგრძლივობა არაგონივრულია, ადმინისტრაციამ წინასწარ უნდა განჭვრიტოს შესაძლო შედეგები. ამის შემდეგ, როგორც ადმინისტრაცია, ისე სახელმწიფო, განიხილავს დამატებით რესურსებს, რომელთა მიწოდებაც საჭიროა პრობლემის აღმოსაფხვრელად. გარდა ამისა, ადმინისტრაცია კმაყოფილი უნდა იყოს იმით, რომ სასამართლო დროის ეკონომიური გამოყენება, ჩამონათვალის შედგენა და მასთან დაკავშირებული სხვა ფაქტორები ეფექტიანად იმართება.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1,გვ. 11). 50

IV. <u>სახელმძღვანელო მითითებები სასამართლოს მენეჯერებისთვის</u>

ა. ინფორმაციის შეგროვება

1. სასამართლოს მენეჯერებმა უნდა შეაგროვონ ინფორმაცია.

სასამართლოს მენეჯერებმა უნდა შეაგროვონ ინფორმაცია სამართალწარმოების ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპების შესახებ და აღრიცხონ ხანგრძლივობა მათ შორის. ეტაპების მონიტორინგის მხრივ, სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს დროის მართვის საკონტროლო სიას, კერძოდ, მეოთხე ინდიკატორს.[13]

ეს სახელმძღვანელო მითითება ერთ-ერთია Saturn-ის 15 პრიორიტეტს შორის.

2. შეგროვებული ინფორმაცია უნდა იყოს ხელმისაწვდომი, რათა მას ეფუძნებოდეს სასამართლოს ადმინისტრატორების, მოსამართლეებისა და მართლმსაჯულების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი ცენტრალური ხელისუფლების მუშაობა. სათანადო ფორმით ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს მხარეებისა და ფართო საზოგადოებისათვის.

ეს სახელმძღვანელო მითითება ერთ-ერთია Saturn-ის 15 პრიორიტეტს შორის.

ბ. განგრძობადი ანალიზი

1. ყველა შეგროვებული ინფორმაცია გამუდმებით უნდა გაანალიზდეს და გამოიყენებოდეს სამუშაოს შესრულების მონიტორინგისა და გაუმჯობესებისათვის.

ეს სახელმძღვანელო მითითება ერთ-ერთია Saturn-ის 15 პრიორიტეტს შორის.

1. შეგროვებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს სტატისტიკური შეფასებისათვის. სამეცნიერო ანალიზის მიზნით, ამ ინფორმაციაზე ხელი უნდა მიუწვდებოდეთ დამოუკიდებელ მკვლევარებსა და კვლევით ინსტიტუტებს, მონაცემთა კონფიდენციალობის დაცვით.

---

[13] დროის მართვის საკონტროლო სია (CEPEJ(2005)12Rev).

ეს სახელმძღვანელო მითითება ერთ-ერთია Saturn-ის 15 პრიორიტეტს შორის.

3. ანგარიშები ანალიზის შედეგებზე უნდა მომზადდეს რეგულარული ინტერვალებით, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ და ერთვოდეს სათანადო რეკომენდაციები.

ეს სახელმძღვანელო მითითება ერთ-ერთია Saturn-ის 15 პრიორიტეტს შორის.

გ. დადგენილი მიზნები

1. ზედა დონეზე (ეროვნულ, რეგიონულ) დადგენილი სტანდარტებისა და მიზნების გარდა, უნდა არსებობდეს ცალკეული სასამართლოების დონეზე განსაზღვრული ამოცანები. სასამართლოს მენეჯერებს უნდა ჰქონდეთ საკმარისი უფლებამოსილება და ავტონომია, რომ აქტიურად განსაზღვრონ ეს მიზნები, ან მონაწილეობა მიიღონ ამ პროცესში.

ეს სახელმძღვანელო მითითება ერთ-ერთია Saturn-ის 15 პრიორიტეტს შორის.

2. მიზნები ნათლად უნდა განსაზღვრავდეს შესასრულებელ ამოცანებს და იყოს მიღწევადი. ისინი უნდა გამოქვეყნდეს და პერიოდულად გადაფასდეს.

ეს სახელმძღვანელო მითითება ერთ-ერთია Saturn-ის 15 პრიორიტეტს შორის.

3. შესაძლოა, სასამართლოს მუშაობა შეფასდეს მიზნებთან მიმართებით. თუ ისინი არ არის მიღწეული, მდგომარეობის გამოსასწორებლად უნდა გადაიდგას და განხორციელდეს კონკრეტული ნაბიჯები და ქმედებები.

ეს სახელმძღვანელო მითითება ერთ-ერთია Saturn-ის 15 პრიორიტეტს შორის.

დ. კრიზისის მართვა

1. სასამართლოს დონეზე დასახული მიზნებიდან მნიშვნელოვანი გადახვევის შემთხვევებში, უნდა არსებობდეს კონკრეტული ზომები პრობლემის მიზეზთა სწრაფად და ადეკვატურად აღმოფხვრისათვის.

ეს სახელმძღვანელო მითითება ერთ-ერთია Saturn-ის 15 პრიორიტეტს შორის.

V. <u>სახელმძღვანელო მითითებები მოსამართლეებისთვის</u>

ა. საქმის აქტიური მართვა

1. მოსამართლეს უნდა ჰქონდეს საკმარისი უფლებამოსილება პროცესის აქტიური მართვისათვის.

კომენტარები და დანერგვის მაგალითები

 ირლანდია - უმაღლესი სასამართლოს საქმეები დაყოფილია რამდენიმე ჩამონათვალის სახით. ზოგიერთი ყველაზე მჭიდრო ჩამონათვალისთვის (განსაკუთრებით, ისეთი საქმეების შემთხვევაში, რომლებიც უკავშირდება პირად ზიანს, ნაფიც მსაჯულთა გარეშე სასამართლო განხილვასა და კომერციულ დავებს) გამოიყენება ჩამონათვალის მართვის სისტემები მასში შეტანილ დიდი მოცულობით საქმეებთან გასამკლავებლად. მოსამართლე, რომელიც მართავს სასამართლოს ჩამონათვალებს, ხშირად იყენებს „პოზიტიური მოწვევის“ მექანიზმს, რათა უზრუნველყოს სისტემაში საქმეების რაც შეიძლება სწრაფი წარმოება. ეს, ჩვეულებრივ, ხდება მაშინ, როცა ადგენენ სამართალწარმოების თარიღების ჩამონათვალს, ასევე იმ ეტაპზე, როდესაც წინასწარი წარმოება დასრულებულია და მხარეს ჩაბარდება სასამართლო უწყება. შესაძლოა, ერთი ან ორივე მხარე ადასტურებდეს, რომ საქმე მზადაა განსახილველად და, შესაბამისად, ის განთავსდეს ჩამონათვალში სამართალწარმოების თარიღების განსაზღვრისათვის, თუმცა, ხშირად რჩება გადაუწყვეტელი პროცედურული საკითხები - ჩვეულებრივ, დოკუმენტების გამოკვლევა. „პოზიტიური მოწვევისას“ მხარეთა სამართლებრივ წარმომადგენლებს მოეთხოვებათ სასამართლოში გამოცხადება, რათა დაადასტურონ, რომ დავა კლავაც „ცოცხალია“ და აცნობონ სასამართლოს, არიან თუ არა მზად საქმისწარმოების შემდგომ ეტაპზე გადასასვლელად. ნებისმიერი საქმე, სადაც მხარეები არ გამოცხადდებიან სასამართლოში, განუხილველი დარჩება და მისი თავიდან მიღება შეიძლება მხოლოდ სასამართლო ორდერის საფუძველზე. ამგვარი მოწვევების დროს ხშირად იკვეთება საქმის წარმოების დამაყოვნებელი პრობლემები და შესაძლებელია გამოიყენონ საქმის არაფორმალური მართვის ფორმები. ამრიგად, სასამართლომ შეიძლება გამოსცეს შესაბამისი ორდერები იმ მხარის მიმართ, რომელიც აჭიანურებს სავალდებულო პროცედურების შესრულებას. ხშირად საქმე ყოვნდება იმ მიზეზით, რომ მხარე აწყდება პრობლემებს, ანუ დაყოვნება არ ხდება ბრალეული ქმედებით. მხარეებსა და მოსამართლეს შორის მსჯელობით შეიძლება პრობლემიდან გამოსავლის მოძებნა ისე, რომ საჭირო არ გახდეს სასამართლო ორდერის გამოყენება. ამ მოწვევებს მიმართავენ წელიწადში 3-ჯერ ან 4-ჯერ და ძალიან სასარგებლო გზაა იმისთვის, რომ რიგი საქმეები კონკრეტულ ჩამონათვალში აქტიური ზედამხედველობის ქვეშ იყოს და შეიძლებოდეს მათი მართვა დაყოვნებების მინიმუმამდე შესამცირებლად.

(წყარო: იუსტიციის საბჭოების ევროპული ქსელი, დროულობის პროექტის გუნდი, 2010-2011 წლების ანგარიში დროულობის თაობაზე ,გვ. 26).

 იტალია - *ტურინის პირველი ინსტანციის სასამართლო* - იტალიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით, მოსამართლეს მცირე უფლებამოსილება აქვს (ან საერთოდ არ აქვს) საქმის განხილვის "სწრაფად დაწყებისათვის". საერთოდაც, 163-*bis* მუხლის მიხედვით, მოპასუხისთვის სასამართლო უწყების ჩაბარებიდან პირველ სხდომამდე, სულ მცირე, 90 დღე უნდა გავიდეს (თუ სასამართლო უწყება ბარდება უცხო ქვეყანაში, ეს პერიოდი 150 დღეა). პირველ სხდომაზე მხარეებს უფლება აქვთ, მოითხოვონ პროცესის გადავადება, სულ მცირე, 80 დღით, რათა წარმოადგინონ თავიანთი შუამდგომლობები და მოთხოვნები (საკმარისია, ერთმა მხარემ მაინც მოითხოვს ეს; მოსამართლე არ არის უფლებამოსილი, უარი თქვას გადადებაზე). ამის გათვალისწინებით ცხადი ხდება, რომ "ყველაზე სწრაფ" შემთხვევაში სასამართლო უწყების ჩაბარების დღიდან (რომელიც *inter alia* პროცესის მიზნებისთვის მიიჩნევა საქმისწარმოების ოფიციალურ დასაწყისად), პრაქტიკულად, მოსამართლე საქმეს 6 თვეზე ადრე ვერ განიხილავს. ეს ნიშნავს, რომ მოსამართლეს პროაქტიული როლის შესრულების დაწყება (სულ მცირე!) შეუძლია მხოლოდ მას შემდეგ, რაც "გონივრული ვადის" 2 წლიდან (ან 3 - სტრასბურგის პროგრამის მიხედვით) პირველი ნახევარი უკვე გასულია.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1,გვ. 20).

 გაერთიანებული სამეფო - *ცენტრალური ლონდონის სამოქალაქო მართლმსაჯულების ცენტრი* - სამოქალაქო საპროცესო წესები მოსამართლეს ანიჭებს საქმის მართვისთვის საკმარის უფლებამოსილებებს. მათ შეუძლიათ ორდერების გამოცემა "საკუთარი ინიციატივით" და საქმის ეკონომიური და ეფექტიანი გადაწყვეტისათვის დამატებითი მითითებების მიცემა ისე, როგორც საჭიროდ მიიჩნევენ.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1,გვ. 10).

2. ზოგადი წესების მოთხოვნათა დაცვით, მოსამართლეს უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება, განსაზღვროს სათანადო ვადები და მოარგოს დროის მართვა ზოგად თუ კონკრეტულ მიზნებსა და ცალკეული საქმეების გარემოებებს.

კომენტარები და დაენრგვის მაგალითები:

 ირლანდია - ირლანდიაში უმაღლესი სასამართლო იყენებს საქმის მართვის სისტემას სამართალწარმოებისას დაყოვნებების შესამცირებლად. ის ფართოდ არის დანერგილი ისეთ საქმეებში, რომელთა სამართალწარმოებაც, სავარაუდოდ, დიდხანს გაგრძელდება, სისტემა კი შესაძლებელს ხდის ამ ხანგრძლივობის მნიშვნელოვნად შემცირებას. შესაგებლის მიღების შემდეგ, მოსამართლეს შეუძლია სადავო საკითხების დაზუსტება, სათანადო წინასასამართლო ზომების განსაზღვრა (მაგ.: მოკლვევის), მათი ფარგლების შეზღუდვა და მორგება სადავო საკითხებზე. შესაძლებელია როგორც წინასასამართლო პროცედურების, ისე უშუალოდ სასამართლო პროცესის განრიგის დადგენა, რათა ეს პროცესი, მტკიცებულებები და სამართლებრივი არგუმენტები შემოიფარგლებოდეს უშუალოდ სადავო საკითხებით. მოსამართლეს შეუძლია: განსაზღვროს მოსამზადებელი სხდომის დასრულების განრიგი, თუკი ის გაუმართლებლად ყოვნდება; ასევე, მოსთხოვოს მხარეს დაყოვნების მიზეზების განმარტება, გამოიტანოს განჩინება ან გასცეს მითითება პროცესის დასაჩქარებლად; პროცესის მიმდინარეობით უკმაყოფილების შემთხვევაში, დაუშვებლად ცნოს არარელევანტურ ან გადაჭარბებულად ხანგრძლივ პროცესთან დაკავშირებული ხარჯები. საქმის მართვა შესაძლებელია საქმის მართვის კონფერენციებზეც, რომლებსაც ატარებს მოსამართლე და ესწრებიან მხარეთა იურისტები და წარმომადგენლები. ამ კონფერენციებს ნიშნავს მოსამართლე - მოსამზადებელ პერიოდის განმავლობაში; თუ აღნიშნულ ეტაპზე მოსამართლე კონფერენციას არ ჩანიშნავს, თითოეული მხარე უფლებამოსილია, მთავარ სხდომამდე ნებისმიერ დროს შუამდგომლობით მიმართოს სასამართლოს ამგვარი კონფერენციის ჩანიშვნის თაობაზე. კონფერენციების ზოგადი მიზანია საქმის მომზადება მთავარი სხდომისთვის - სამართლიანი და დაჩქარებული გზით, ისე, რომ პროცესის ხარჯები მინიმუმამდე შემცირდეს. მოსამართლე ფოკუსირდება სამართალწარმოების დროულ მიმდინარეობაზე და მისი მზაობა, არ დაუშვას მსგავსი ხარჯები, მხარეებს უკარგავს საპროცესო მოქმედებებში (მაგ.: მოკვლევაში) ზედმეტად ჩართვის მოტივაციას. თითოეული საქმეში – იმისგან დამოუკიდებლად, ინიშნება თუ არა საქმის მართვის კონფერენცია – ტარდება წინასასამართლო კონფერენცია, სადაც მოსამართლე განსაზღვრავს დარჩენილ ნაბიჯებს მთავარი სხდომისთვის მოსამზადებლად. მოსამართლემ უნდა დაადგინოს ამ სხდომის ხანგრძლივობა და მასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები. თუ მიაჩნია, რომ საქმე მზადაა მთავარი სხდომისთვის, იგი განსაზღვრავს თარიღს. მოსამართლეს შეუძლია მოსთხოვოს მხარეებს, გაეცნონ მთავარი სხდომის დოკუმენტაციას და შეთანხმდნენ მასზე.

(წყარო: იუსტიციის საბჭოების ევროპული ქსელი, დროულობის პროექტის გუნდი, 2010-2011 წლების ანგარიში დროულობის თაობაზე ,გვ. 25)

 იტალია - *ტურინის პირველი ინსტანციის სასამართლო* - იტალიის სამოქალაქო საპროცესო კოდექსი ამ მხრივ სასამართლოს მცირე დისკრეციას ითვალისწინებს. მაგალითად, 183-ე მუხლის მიხედვით, პროცესის გადადება სავალდებულოა, თუ, სულ მცირე, ერთი მხარე მაინც მოითხოვს ამას, მაშინაც კი, როცა აშკარაა, რომ ეს ყოვლად უსარგებლოა და ადვოკატებს უბრალოდ გადავადებათა (და თითოეული მათგანისთვის მომზადებულ შუამდგომლობათა) "წასამატებლად" სჭირდებათ ანაზღაურებისა და ბონუსების საბოლოო ქვითარზე. თუმცა, სასამართლოს პრეზიდენტის წესები ვადების თაობაზე – როგორიცაა "სტრასბურგის პროგრამა" – დაეხმარება მოსამართლეს მხარეთა დარწმუნებაში, რომ თავი აარიდონ არასაჭირო მოთხოვნებს და ეცადონ "თავიანთი ტემპის მორგება" სწრაფი პროცესის მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1,გვ. 20).

 გაერთიანებული სამეფო - *ცენტრალური ლონდონის სამოქალაქო მართლმსაჯულების ცენტრი* - ჩვეულებრივ, ასე ხდება, თუმცა, მოსამართლისთვის პრიორიტეტი უნდა იყოს ორდერების გამოცემა საქმისთვის სათანადო ვადებში. ჩამონათვალის შედგენისას, საქმის მიზნის ფარგლებში განსაზღვრა ყოველთვის შესაძლებელი არ არის და ამ მიზეზით, ჩვენი მიზნების დონე განისაზღვრება 70 ან დაახლოებით 70 პროცენტით.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1, გვ. 10).

 გაერთიანებული სამეფო - *მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს სამეფო კარის განყოფილება* - ამას ითვალისწინებს სამოქალაქო წესები, რომელიც მოსამართლეს ანიჭებს სრულ დისკრეციას, რათა მართოს საქმე, განსაზღვროს ვადები და განუსაზღვროს შეზღუდვები მხარეებს საქმის საჭიროებებიდან გამომდინარე.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1, გვ. 8).

ბ. შეთანხმება დროზე მხარეებსა და ადვოკატებთან.

1. დროის მართვის პროცესში სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს მომხმარებელთა ინტერესებს. მათ აქვთ უფლება, ადრეულ ეტაპზევე ჩაერთონ პროცესის დაგეგმვაში.

კომენტარები და დანერგვის მაგალითები:

 ნიდერლანდები - შექმნილია მედიაციის პროგრამა, რომელიც, პროფესიონალ მედიატორთა ჩართულობით, მიზნად ისახავს მედიაციის გამოყენებას საქმის (სამოქალაქო, საოჯახო და საგადასახადო დავები) განხილვამდე და პროცესის განმავლობაში.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 19).

 ნორვეგია - *Midhordland-ის რაიონული სასამართლო* - ნორვეგიული სასამართლო მედიაციის პროგრამა მიზნად ისახავს ისეთი შეთანხმების მიღწევას, რომელსაც მხარეები დაეთანხმებიან სასამართლოში მთავარი სხდომის გამართვამდე. სასამართლო მედიატორი, რომელიც უმეტესწილად მოსამართლეა, ეხმარება მხარეებს შეთანხმების მიღწევაში. სასამართლო მედიაცია საქმეთა 70-80%-ში წარმატებით სრულდება. თუ დავის მხარეები ვერ შეძლებენ შეთანხმებას, საქმე გადაეცემა სხვა მოსამართლეს შემდგომი წარმოებისათვის. ვინაიდან სასამართლო მედიატორს ეკისრება კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება, მოსამართლეს, რომელსაც გადაეცემა საქმე, არ ეცოდინება მედიაციის დეტალები. ამ პროექტში ჩართულმა მხარემ ბევრი დადებითი ასპექტი ნახა, მათ შორის, განრიგის უფრო სწრაფად შედგენა და ნაკლები დროის ხარჯვა თითოეულ საქმეზე. ეს განპირობებულია, ერთი მხრივ, მთავარი სხდომებისგან თავის არიდებით, რომლებიც დიდ დროის მოითხოვს და, მეორე მხრივ, იმით, რომ მოსამართლეს აღარ უხდება გადაწყვეტილების დაწერა.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 19).

 სლოვენია - *ნოვა გორიკას რაიონული სასამართლო* - სასამართლომ სამოქალაქოსამართლებრივი დავებისთვის შეიმუშავა მათი ალტერნატიული მოგვარების პროგრამა. მიზანი გახლავთ დავების გადაწყვეტა სასამართლოს გარეშე. თუ ორივე მხარე თანახმაა, სასამართლო მედიაციის პირველ შეხვედრას ჩანიშნავს 90 დღის განმავლობაში. პროცესი უფასოა ორივე მხარისთვის. სპეციალურად გაწვრთნილი მედიატორების ამოცანაა, მოლაპარკების ტექნიკის გამოყენებით, მხარეთა დახმარება შეთანხმების მიღწევაში.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 18).

 გაერთიანებული სამეფო - *მართლმსაჯულების უმაღლესი სასამართლოს სამეფო კარის განყოფილება* – პროცესზე მხარეები ცხადდებიან პირადად, ან ტელეფონის საშუალებით

ერთვებიან განხილვებში ვადებსა და სამომავლო სხდომებთან დაკავშირებით. თუ მხარე არ ესწრება სხდომას, სასამართლოს გამოაქვს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ასევე, მან შეიძლება მიიღოს მხარეთა მიერ შემოთავაზებული მორიგების აქტი, რომელსაც განიხილავს და დასაშვებად ცნობს, თუკი გონივრულია; სხვა შემთხვევაში, მხარეებს მოეთხოვებათ სხდომაზე გამოცხადება.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1, გვ. 7).

გ. აქტორების (ექსპერტების, მოწმეების და ა.შ.) თანამშრომლობა და მათზე მონიტორინგი.

1. პროცესის ყველა მონაწილეს ეკისრება სასამართლოსთან თანამშრომლობის ვალდებულება, დადგენილი სტანდარტებისა და ვადების დაცვით.

კომენტარები და დანერგვის მაგალითები:

 ფინეთი - იუსტიციის სამინისტრომ 2000 წელს შეიმუშავა საპილოტე პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პროცესის ხანგრძლივობის განახევრებას იმ თანამდებობის პირთა ეფექტიანი თანამშრომლობით, რომლებიც მუშაობდნენ არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ ნაკლებად მძიმე დანაშაულებზე. Matti Marttunen-ის მიხედვით (2002, ფინეთი), ექსპერიმენტის ფარგლებში ყველა ეტაპზე შემცირდა პროცესის ხანგრძლივობა, რამაც გავლენა იქონია პოლიციის მიერ ჩატარებულ გამოძიებაზე, სისხლისსამართლებრივ დევნაზე, სასამართლო პროცესსა და გადაწყვეტილების აღსრულებაზე. გარდა ამისა, სხვადასხვა ტიპის მხარდაჭერის ზომები უფრო უკეთ გაერთიანდა სისხლის სამართლის პროცესთან. პრაქტიკაში, პოლიცია, პროკურორი, მოსამართლე, პრობაციისა და შემდგომი მზრუნველობის ასოციაცია და სოციალური კეთილდღეობის სფეროს ხელმძღვანელი პირები თანამშრომლობდნენ სისხლისსამართლებრივი გამოძიების დასაწყისიდანვე.

(წყარო:“დროის მართვა მართლმსაჯულების სისტემებში: ჩრდილოეთ ევროპის კვლევა”, CEPEJ (2007), გვ. 26).

 ნორვეგია - მოსამართლე პასუხისმგებელია მთავარი სხდომის აქტიურ ხელმძღვანელობაზე. ეს გულისხმობს, რომ პროცესი კონცენტრირებული იყოს და ჩატარდეს სასამართლოს ან ჩართული მხარეების დროის ხარჯვის გარეშე. ნორვეგიაში წამოწეულია წინადადებები: პროცესის დასაწყისში მოსამართლემ ჩართულ მხარეებთან

ერთად განიხილოს ვადები და დააზუსტოს სადავო საკითხთან, მტკიცებულებასა და სხვა ასპექტებთან მიმართებით არსებული ბუნდოვანებები; ასევე, სასამართლოებმა ორგანიზება გაუწიონ შეხვედრებს ადვოკატთა ადგილობრივი ასოციაციების წარმომადგენლებთან, რათა შეიქმნას საშუალებები, რომლებიც გააძლიერებს და ხელს შეუწყობს სამოქალაქოსამართლებრივი დავების დამუშავებას. ასევე შემოთავაზებულია, ადვოკატებთან ერთად დაიგეგმოს და შემუშავდეს სახელმძღვანელო მითითებები სამოქალაქოსამართლებრივ დავებში მოსამზადებელი სამუშაოსა და მთავარი სხდომების ჩატარებასთან დაკავშირებით. როცა მიიღება ახალი სახელმძღვანელო მითითებები, ან სხვა ცვლილებები განხორციელდება სასამართლო პრაქტიკაში, სასურველია, სასამართლოს წარმომადგენელი მონაწილეობდეს ადვოკატთა ადგილობრივი ასოციაციების წევრთა შეხვედრებში. მნიშვნელოვანია ადვოკატთა ჩართვა თანამშრომლობაში. გაკეთდა მოწოდებები სხვადასხვა სასამართლოს შორის თანამშრომლობაზე, რათა შემუშავდეს სახელმძღვანელო მითითებები საუკეთესო პრაქტიკის დასანერგად.

(წყარო:“დროის მართვა მართლმსაჯულების სისტემებში: ჩრდილოეთ ევროპის კვლევა”, CEPEJ (2007), გვ. 23).

2. პროცესის განმავლობაში მოსამართლე ვალდებულია, მონიტორინგი გაუწიოს ვადების დაცვას ყველა მონაწილის, განსაკუთრებით კი სასამართლოს მიერ მოწვეული ან ჩართული პირების მხრიდან, როგორებიც არიან მოწმეები ან ექსპერტები.

კომენტარები და დანერგვის მაგალითები:

 ანდორას სამთავრო - *უმაღლესი სააპელაციო სასამართლო* - ადვოკატებმა თავიანთი დასკვნები უნდა წარადგინონ არაუგვიანეს 15 დღეში.

(წყარო: “საუკეთესო პრაქტიკის” კრებული სასამართლოს დროის მართვაზე”, CEPEJ (2006) 13, გვ. 16).

 ჩეხეთის რესპუბლიკა - *პრაღის რაიონი* - მხარეთა მოთხოვნები ვადის გაგრძელების თაობაზე არ კმაყოფილდება, თუ შესაძლებელია საქმეში უკვე არსებული მტკიცებულებების გამოყენება (სამოქალაქო საპროცესო კანონის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილი). როცა საჭიროა ექსპერტის დასკვნა, სასამართლო განსაზღვრავს შესაბამის ვადას. დაყოვნების შემთხვევაში, იგი დაჟინებით შეახსენებს ექსპერტს, წარადგინოს დასკვნა. სხვა შემთხვევაში მას დაეკისრება ჯარიმა.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1,გვ. 4).

 ფინეთი - *Turku-ს რეგიონული ადმინისტრაციული სასამართლო* - საქმის მართვის სისტემიდან ყოველთვიურად იწარმოება იმ საქმეთა სია, რომლებზეც სასამართლოს ექსპერტის დასკვნა არ მიუღია მის მიერ დადგენილ ვადებში და იგზავნება შეტყობინებები დაჩქარების თაობაზე.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006) 13, გვ. 16).

 ირლანდია - *დუბლინის კომერციული სასამართლო* – დაყოვნებების პრობლემა სამართალწარმოებებში ასევე მოგვარდა ისეთი ინიციატივების გამოყენებით, როგორიცაა მტკიცებულებების მიღება ვიდეოკავშირის გზით. მისი გამოყენება მოწმეებს აძლევს ჩვენების მიცემის საშუალებას, რის შედეგადაც აღარ არსებობს მოწმეთა სასამართლოში გამოცხადების საჭიროება.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006) 13, გვ. 17).

 ირლანდია - *დუბლინის კომერციული სასამართლო* - დანერგილია საქმის მართვის ინტენსიური სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს ვადების შემცირებას. სასამართლოს მითითებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია საქმის განუხილველად დატოვება ან ხარჯებთან დაკავშირებული ჯარიმების დაკისრება. სასამართლოს წესების ფორმულირება განსაზღვრავს სწრაფ სააპელაციო პროცესს.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006) 13, გვ. 4).

 იტალია - *ტურინის პირველი ინსტანციის სასამართლო* - სასამართლოების დირექტორთა მიერ გამოცემული სახელმძღვანელო მითითებები (როგორც ტურინის სასამართლოს შემთხვევაშია) უნდა ფოკუსირდებოდეს საჭიროებაზე, რომ მოსამართლეებმა გულმოდგინე მონიტორინგი გაუწიონ ექსპერტთა მხრიდან ვადების დაცვას. ხშირად, ექსპერტები - ვინაიდან ძალიან ბევრი საქმე აქვთ (და არ არიან მიჩვეულები სამუშაო გადატვირთულობასა და მოსამართლეების სამუშაო დროებს...) - ითხოვენ მოსამართლის მიერ ექსპერტის დასკვნისთვის თავდაპირველად დადგენილი ვადის გაგრძელებას. მოსამართლეებმა უნდა იზრუნონ, რომ ამგვარი მოთხოვნები გადავადებებზე დაკმაყოფილდეს მხოლოდ მკაცრად საჭირო შემთხვევებში (მაგ.: როდესაც მხარეები განიხილავენ - ექსპერტის კონტროლქვეშ და მისი დახმარებით - დავაზე მორიგების მიღწევას). რაც შეეხება მოწმეებსა და მხარეებს, მოსამართლეებს უნდა ჰქონდეთ უფრო ეფექტიანი უფლებამოსილებები, რათა მათ განუსაზღვრონ სხდომაზე დასწრების ვალდებულება. თუმცა, კიდევ ერთხელ შევნიშნავთ, რომ არსებული კანონმდებლობის ცვლილება კანონმდებლებზეა დამოკიდებული. ბოლო

რეფორმის შედეგად შეინიშნება მცირე გაუმჯობესება, რომლის მიხედვითაც, მოსამართლის მიერ დანიშნული ექსპერტი ვალდებულია, დასკვნის წარდგენამდე ის მიაწოდოს მხარეებს, რომელთაც ეძლევათ ვადა თავიანთი შენიშვნების გადასაგზავნად; ასევე, თავისი დასკვნა, მხარეების შენიშვნებსა და ამ შენიშვნებზე მის საბოლოო კომენტარებთან ერთად წარუდგინოს სასამართლოს. შემდგომი სხდომა საჭირო აღარ იქნება, თუკი მოსამართლე არ მიიჩნევს, რომ დასკვნის ერთი ან მეტი საკითხი უფრო დეტალურად უნდა განიმარტოს. მას შემდეგ, რაც ექსპერტის დასკვნა და კომენტარები ოფიციალურ საქმეს დაერთვება, მოსამართლეს შეუძლია საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანა.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1, გვ. 20).

 სლოვაკეთის რესპუბლიკა - *ბრატისლავის რაიონული სასამართლო* - არსებობს საქმის პირველ სხდომაზე განხილვისა და გადაწყვეტის ვალდებულება. გადავადება დასაშვებია მხოლოდ სერიოზული მიზეზების გამო, რომელთაც სასამართლო განუმარტავს მხარეებს და დოკუმენტურად აღირიცხება. განსაზღვრულია კონკრეტული ვადა ექსპერტის დასკვნის წარსადგენად, რომლის დარღვევის შემთხვევაში, მას ეკისრება ჯარიმა.

(წყარო: "საუკეთესო პრაქტიკის" კრებული სასამართლოს დროის მართვაზე", CEPEJ (2006), 13, გვ. 16).

 შვეიცარია - *Lausanne/Dornach-ის სასამართლო* - თუ საჭიროა ექსპერტიზა, ვადები განისაზღვრება ექსპერტთან შეთანხმებით (მათ შორის, სატელეფონო ინტერვიუთი). დაყოვნების შემთხვევაში, მას დაჟინებით შეახსენებენ, რომ წარადგინოს დასკვნა. ჩვეულებრივ, ექსპერტიზის დაყოვნება პრაქტიკაში იშვიათია. თარიღების დამთხვევისა და დაყოვნების თავიდან ასაცილებლად, სხდომების ვადები და დრო განისაზღვრება ადვოკატებთან შეთანხმებით.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1, გვ. 41).

დ. პროცედურული დარღვევების აღმოფხვრა

1. საჭიროა პროცესის ნებით და განზრახ გაჭიანურების ყველა მცდელობის პრევენცია.

ამ ეტაპზე არ არის იდენტიფიცირებული რაიმე კომენტარი და დანერგვის მაგალითი

2. უნდა არსებობდეს პროცედურული სანქციები გაჭიანურებისა და არაკეთილსინდისიერი ქცევისათვის. ამ სანქციების გამოყენება შეიძლება როგორც მხარეების, ისე მათი წარმომადგენლების მიმართ.

ამ ეტაპზე არ არის იდენტიფიცირებული რაიმე კომენტარი და დანერგვის მაგალითი

1. თუ სამართლებრივი პროფესიის წარმომადგენელი მძიმე ფორმით ბოროტად იყენებს პროცედურულ უფლებებს, ან მნიშვნელოვნად აჭიანურებს პროცესს, ამის თაობაზე უნდა ეცნობოს შესაბამის პროფესიულ ორგანიზაციას შემდგომი ზომების მისაღებად.

კომენტარები და დანერგვის მაგალითები

 იტალია - *ტურინის პირველი ინსტანციის სასამართლო* - ამ სფეროში საჭიროა მოსამართლეთა უფრო მეტი უფლებამოსილებების ადვოკატირება და ეს საკითხი უნდა მოწესრიგდეს საკანონმდებლო ხელისუფლების დონეზე. იგი ეხება სასამართლო პროცესის ყველა აქტორის და, პირველ რიგში, ადვოკატების სამართლებრივი წვრთნის დელიკატურ თემას. კარგად გაწვრთნილი ადვოკატი იაზრებს, რა რისკიანი ან უსარგებლო შეიძლება იყოს სასამართლოსთვის მიმართვა დაუსაბუთებელი საქმით. პროცესის დაწყების შემდეგ მოსამართლისთვის რთულია მხარეების დარწმუნება დავის მორიგებით დასრულებაზე, ვინაიდან ამ ეტაპისთვის მათ უკვე გაღებული აქვთ ხარჯები, ადვოკატებმა კი იციან, რომ რაც უფრო დიდხანს გასტანს პროცესი, მით მეტ შემოსავალს მიიღებენ. ამრიგად, პირველი რეფორმა უნდა შეეხოს სასამართლო ხარჯების საკითხს, რაც გულისხმობს, რომ ადვოკატთა ანაზღაურება არ უკავშირდებოდეს არც შედგენილი დოკუმენტების და არც იმ სხდომების რაოდენობას, რომლებსაც ისინი ესწრებიან. ეს ძალიან კარგი ნაბიჯი იქნებოდა წინ, თუმცა, კიდევ ერთხელ შევნიშნავთ, რომ მას ვერ განახორციელებენ მოსამართლეები. მათ, თავის მხრივ, უფრო მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ გზების პოვნას მხარეთა და ადვოკატთა არასწორი ქცევის "დასასჯელად". ამჟამად, საპროცესო წესები ამ თვალსაზრისით გარკვეულ უფლებამოსილებებს ანიჭებს მოსამართლეებს. შედარებით ძველი თაობის მოსამართლეები წარსული „შემწყნარებლური" პრაქტიკისკენ უფრო იხრებიან, თუმცა მჯერა, რომ მოსამართლეთა ახალ თაობას მეტი მზაობა ექნება არალოიალური მხარეებისა და ადვოკატებისთვის სანქციების დასაკისრებლად. კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს: სასამართლოს დირექტორის სპეციალური სახელმძღვანელო მითითებები ამ თემაზე სასარგებლო იქნება "შედარებით ძველი თაობის" მოსამართლეთა დასარწმუნებლად, რომ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინონ მხარეებისა და ადვოკატების ქცევა.

(წყარო: ანგარიშები 7 საპილოტე სასამართლოში/დაწესებულებაში სასამართლოს დროის მართვის შესახებ CEPEJ-ის სახელმძღვანელო მითითებების დანერგვაზე, CEPEJ (2011) 1, გვ. 24).

ქვეყნების სია

ალბანეთი

ანდორას საგრაფო

ავსტრია

ჩეხეთის რესპუბლიკა

დანია

ესტონეთი

ფინეთი

საფრანგეთი

საქართველო

გერმანია

უნგრეთი

ირლანდია

იტალია

ლატვია

ლიტვა

მალტა

ნიდერლანდები

ნორვეგია

სლოვაკეთის რესპუბლიკა

სლოვენია

ესპანეთი

შვედეთი

შვეიცარია

გაერთიანებული სამეფო